

F 14023  
3

ფ. 1—80 კ.



ა. ფ. გოცირიძე

14.023  
3

ბ ა ვ უ ვ ი ს  
გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა

ს ა ს ე ლ მ შ ი ფ რ ტ ფ ი ლ ი ს ი ს ა მ ე ც ნ ი ე რ მ  
გ ა მ რ მ ც ე მ ლ მ ბ ა 1 9 3 5 ს ე მ მ ტ მ რ ი

ა. ფ. გოცირიძე

საქ. მედინსტიტუტის პედოლოგიური კათედრის გამგე  
ტფილ. ქალაქის ფ.-ნევროლოგიური ინსტიტუტის დირექტორი

# გ ა ვ უ ვ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა

(ძირითადი მოვლენები და კონსტატაციები)

F 14. 023  
3



ს ა ხ ე ლ მ ვ ი ფ რ ტ ფ ი ლ ი ს ი ს ა მ ე ც ნ ი მ რ ო  
გ ა მ ო მ ც ე მ ლ რ ბ ა 1 9 3 5 ს ე მ ტ ო რ ი



8-6

135.7  
მ. 85.ბ

ბოლიტრედაქტორი — შ. ქორიძე  
სტილისტი — ი. აღლაძე  
გამომწვეები — ალ. სიგუა  
კორექტორი — ტ. სანიკიძე  
გადაეცა წარმოებას 21/III.35 წ.

ხელმ. დასაბეჭდად 13/VIII—35 წ.  
ზომა  $6\frac{1}{2} \times 10\frac{1}{2}$   
ტირაჟი 2,000  
შეკვეთა № 97  
მთავლ რწმ. № ა-2016

## ახტორისაგან

ყოველი მოქალაქე ამათუიმ სახით დაკავშირებულია ბავშვთან. გამოწინილი საბჭოთა პედოლოგის ბასოვის სიტყვით, „არც ერთი სხვა საგანი არ წარმოადგენს ასეთი მრავალმხრივი სასიცოცხლო ინტერესების გადამჭრელ წერტილს“, დაწყებული დედის ვიწრო და ამასთანავე ღრმა სიყვარულით და გათავებული იმ სოციოლოგთა ინტერესით, რომელნიც ბავშვებში ხედავენ შემცვლელ თაობას“. ჩვენ თვალწინ იშლება ბავშობის მრავალი წლის რთული ისტორია, აღსავსე მრავალფეროვანი ფაქტებით და მოვლენებით, „დრამა, სადაც სხვადასხვა სახის საგნები სწრაფად სცვლიან ერთიმეორეს“ (გეზელი). ყოველი მოქალაქის მოვალეობას შეადგენს გაერკვეს ამ დრამის ვითარებაში. ამას ავალებს მას ჩვენი ისტორიული ეპოქა, რომელიც ქმნის ცხოვრების ახალ ფორმებს საზოგადოების თვითაქტიუობის საფუძველზე. იგივეა აუცილებელი პირობა მომავალი თაობის სწორი აღზრდისათვისაც. ამ საქმეს ჩვენ ვერ დავევალებთ მარტო „სპეციალისტებს“. მშრომელთა ფართო მასები ქმნიან ჩვენს პირობებში ახალ ცხოვრებას და მათი თვითმოქმედებითვე უნდა მიმდინარეობდეს მომავალი თაობის აღზრდაც. ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა იმ მოვალეობის შეგნება, რომელსაც გვაკისრებს სოციალისტური ადამიანის აღზრდის საქმე. „აღზრდა ბავშვისადმი პატივისცემით იწყება“—ო ამბობს ემერსონი და ამას ჩვენის მხრით უნდა დაემატოთ საკითხის შესწავლაც. მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენ ამ დიდი მოვალეობის შესრულებას, როდესაც გზას გაგვიკაფავს „**შეგნება და შრომისათვის მზად ყოფნა**“ რაიც, გარდა ინტერესებისა, გულისხმობს აგრეთვე ცოდნასაც. ჩვენი შრომის მიზანს შეადგენს შეძლებისდაგვარად გაუწიოს სამსახური ამ ამოცანას.

წამოყენებული საკითხი — ბავშვის განვითარება შეადგენს „ბავშვის ცხოვრების ძირითად მოვლენას“ (ლ. ვიგოტსკი) და, როგორც ასეთი იგი შემოუფარგლავია. ჩვენს პედოლოგიურ ნარკვევს მეტად მცირე როლი აქვს დასახული. ჩვენი ამოცანაა — გაფუზიაროთ მკითხველს ძირითადი ცნობები ბავშვის განვითარების მოვლენების შესახებ, რომ ამით ხელი შევუწყოთ მათზე სწორი წარმოდგენის გამომუშავებას ზოგად ხაზებში. ჩვენ ვიცით, რომ ათწლობით წარმოებული ნამუშევარი ამ დარგში, გადმოცემული ბურჟუაზიული მკვლევარების მიერ, ვერ გვაძლევს სწორ წარმოდგენებს. საბჭოთა პედოლოგიის ვალდებულებას შეადგენს არ გაჰყვეს მათს ყალბ იდეოლოგიას და გააშუქოს თავისი დარგის საკითხები დიალექტიკური

მატერიალიზმის ნათელი სხივებით. მხოლოდ ასეთი ცოდნა შეიძლება ფუძედ დაედოს მომავალი სოციალისტური თაობის აღმზრდელობას. ჩვენთვის ურომაც იქით არის მიმართული, რომ დაიკაუოს პატარა ადგილი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, რაიც, ვიგოტსკის თქმით, იმავე „განვითარების დაცვაში“ მდგომარეობს.

ა. გოცირიძე

ტფილისი, 1934 წ. ოქტომბერი

I

## განვითარების პრობლემა კედოლოგიაში

ბავშვის განვითარება ის მოვლენაა, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების ერთი მესამედის — ბავშობის მთავარ ფაქტს და რომელიც ზუსტად განასხვავებს მის ამდროინდელ პიროვნებას დანარჩენი პერიოდის (სრულ ასაკოვნობის) მონაცემებისაგან. ამიტომ ბავშვის განვითარების მთავარი მოვლენებისა და ფაქტების სწორი შესწავლა-შეგნება აუცილებელი პირობაა ადამიანის პიროვნების შესწავლისა და მისი სწორი აღზრდისათვის. ამასთან ერთად განვითარების იდეის მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ ბავშვის ფარგლებით. იგი გაცილებით უფრო ფართოა; იგი შემოუფარგლავია თავის მნიშვნელობაში ბუნებისა და ადამიანის მიმართ; იგი მთავარია საერთოდ სიცოცხლის სფეროში. ვითარდება მოზრდილი ადამიანი, ვითარდება მისი ცხოვრებისა და საზოგადოებრიობის ყველა ნაწილი, ვითარდება საერთოდ ორგანული და არაორგანული სიცოცხლის ყველა მხარე. ამ შემთხვევაში ბავშვი „სიცოცხლის დიდებული ნაკადის განუყრელი ნაწილია“ (გეზელი). ყოველ მოვლენას აქვს განვითარების საერთო იდეის სპეციფიკური გამოხატულება. ბავშვის განვითარებასაც აქვს თავისი სპეციფიკურობა და ამ შემთხვევაში იგი ასრულებს ბავშობის მთავარ ღერძის როლს.

რას წარმოადგენს განვითარების იდეა თავისი საერთო გაგებით?

ცხოვრების შემეცნების ეს უდიდესი საკითხი არ შედის ჩვენს თემაში. ჩვენ მხოლოდ ვაკვრით ვეხებით მას.

„განვითარების იდეა,“ კარამანენკოს სიტყვით, ახალი ხანის მეცნიერებისა და ფილოსოფიის პროდუქტია“, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცნების გაფორმების გარეშეც აუცილებლივ შედიოდა ამათუიმ დროს არსებულ მსოფლმხედველობაში. მისი ისტორია იწყება იქიდან, საიდანაც იწყება კაცობრიობის ინტერესი ცხოვრების მოვლენებისადმი, ქვეყნისა და სიცოცხლის წარმოშობის საკითხებისადმი. იმისდა მიხედვით, თუ რა სახით განიხილებოდა აღნიშნული მოვლენები, ჩვენ ვღებულობთ განვითარების საკითხის თავისებურ გადაჭრასაც. ერთ შემთხვევაში ჩვენ — დაწყებული უძველესი დროიდან დღემდე — გვაწვდიან იმ შეხედულებას, რომ ცხოვრება, ადამიანის სიცოცხლე, სამყარო, წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ დაწყებულ, წინასწარ მოცემულ ფორმებს, ერთსახოვანსა და უცვლელს. ასეთი მოძღვრება, როგორც ვხედავთ, განვითარების იდეას არსებითად არ იზიარებს ან ცნობს მას მხოლოდ რაოდენობით კატეგორიად. ასეთ

შეხედულებას ჩვენ ვხვდებით ანტიკური ქვეყნის ელემენტების სკოლის (პარმენიდის), რომლის წარმოდგენითაც სამყარო უძრავი და უცვლელია. „დღესაც ჩვენ იმავე სახეობებს ვიცნობთ, რა სახეობის ცხოველებიც და მცენარეებიც იყო შექმნილი თავიდანვე, — ამბობს ლინეი. მათვე მიეკუთვნება თანამედროვე ბურჟუაზიული იდეალისტური და მეტაფიზიკური მიმართულებანი.

საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენენ ის მოძღვრებანი, რომელნიც სრულიად უარყოფენ რაიმე წინასწარ განსაზღვრულობას ცხოვრებაში და ყოველ მის მოვლენას განიხილავენ როგორც განვითარების პროცესებს. ამ მიმართულების გამომხატველია **ემპირიზმი**, ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის მოძღვრება ბეკონის ფსიქოლოგიის საფუძვლებზე. ცნობილია ლოკის ფორმულა: ბავშვის ფსიქიკა დაბადებისას არის „tabula rasa“, — სუფთა დაფა, რომელზედაც არაფერი წერია, და რომელიც შემდეგ შეივსება გარეგან შთაბეჭდილებათა საშუალებით. როგორც ვხედავთ, აქ სრულიად უარყოფილია თანდაყოლილი იდეები. თავისთავად ნათელია ამ მოძღვრების უკიდურესი ცალმხრივობა. განვითარების იდეა აქ მოცემულია თითქოს მთელი თავისი მნიშვნელობით, მაგრამ ქვევით დავინახავთ, რომ ეს იდეა აქ მოწოდებულია იმავე რაოდენობითი, მექანიკური თვალსაზრისით.

მესამე მიმართულებას განვითარების იდეის შესახებ წარმოადგენს მატერიალისტური მიმართულება, რომლის უმადლეს გამომხატულებას ვღებულობთ მარქს-ენგელს-ლენინის დიალექტიკური მატერიალიზმის კონცეპციაში. შესაძლო ფარგლებში ეს მოძღვრება განხილული იქნება ქვემოთ ბავშვის განვითარების საკითხთან დაკავშირებით. ცხოვრების მოვლენებს მარქსიზმი იხილავს როგორც მუდმივ დინამიკურ, ცვალებად პროცესებს. იმპულსი, წინსვლა-განვითარებისათვის იბადება ცხოვრების მოვლენებში არსებულ წინააღმდეგობათა საფუძველზე; საბოლოოდ ასეთი განვითარება წარმოგვიდგება, როგორც რაოდენობითი პროცესების თვისობრივ პროცესებში გადასვლა, რაიც ყოველთვის გვაძლევს მოვლენის ახალ ფორმაციას, თვისობრივად უფრო მაღალს; ხორციელდება ცხოვრების მოვლენათა განვითარება, ხდება „ამაღლება სპირალით“. საერთო სახით ასეთია განვითარების იდეის დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება.

ზემოაღნიშნულ კონცეპციებს ჩვენ ვხვდებით ბავშვის განვითარების მიმართაც. „ადამიანი გადის განვითარების გარკვეულ გზას“, — ამბობს ბასოვი; „ბავშვი იმყოფება ცვლილებისა და ზრდის განუწყვეტელ პროცესებში“, — დასძენს ვიგოტსკი. როგორ უნდა გავიგოთ ეს ცვლილებები და ზრდა? ამ ცვლილებების გარეგნული გამომხატულებაა ზრდის პროცესები, ე. ი. ბავშვის ტანის მატერიალური ოდენობის მატება. ეს გარემოება პირველი შეხედვით თითქოს ამოსწურავს ბავშვის განვითარების საკითხს, და მართლაც, განვითარების ასეთი მექანიკური გაგება ედება საფუძვლად იმ მოძღვრებებს, რომლებიც ჩვენ ზევით დავასახელებთ ნატივიზმის (პრე-





ფორმიზმი) და ემპირიზმის სახით. განვითარების ბუნების ასახსნელად ეს და აგრეთვე სხვა მოძღვრებები, რომლებზედაც ქვევით ვილაპარაკებთ, უპირველეს ყოვლისა ეხებიან საკითხს: როგორია ის ფაქტორები, რომელნიც განსაზღვრავენ ბავშვის განვითარებას, და როგორია მათი შედარებითი მნიშვნელობა ბავშვის ფსიქო-ფიზიკური პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში.

„განვითარება მიმდინარეობს ინდივიდში, ინდივიდი იმყოფება განცდათა და ზეგავლენათა სამყაროში. როგორი დამოკიდებულებაა ინდივიდსა და სამყაროს შორის? სად პოულობს განვითარება თავის არსებით წყაროს: თვით ინდივიდში თუ გარემო სამყაროში?“ (ვ. შტერნი). ასეთია საკითხის პრინციპული დაყენება. სად იმყოფება ფილოგენეტიკური განვითარების მიზეზები, ინდივიდში თუ „გარემო სამყაროში“, შიგნით თუ გარედ? ერთმანეთს ეპირისპირება პრეფორმიზმი და ეპიგენეზისი: განვითარება იმანენტური მემკვიდრეობით, თუ გარემო წრის ზეგავლენით? არის კიდევ საკითხის სხვაგვარი დაყენება, სადაც ეს „ორი ფაქტორი“ არ უპირისპირდება ერთი მეორეს და აღებულია სხვა დამოკიდებულებაში (დიალექტიკური მთლიანობა). აი ის საკითხები, რომლებიც ყოფს მეცნიერებას სხვადასხვა ბანაკად.

ამ საკითხთა შორის გარკვეულად წინ წამოყენებულია ინდივიდისა და მისი მოდემის ურთიერთ-დამოკიდებულების საკითხი ანუ ონტოგენეზის (ინდივიდის განვითარების) და ფილოგენეზის (მოდემის განვითარების ისტორია) ურთიერთგანწყობილება. ამ საკითხზე წარმოდგენილია რამდენიმე თეორია, რომელთაგან შევჩებთ შემდეგს.

**ე. წ. ბიოგენეტიკური კანონის თეორია ანუ გამეორების თეორია.**

ამ თეორიის მიხედვით, ინდივიდის განვითარება განსაზღვრულია მემკვიდრეობითი მონაცემებით. დაბადებიდანვე მას დაჰყვება წინასწარ მოცემული თვისებები, რომლებიც განვითარების გზაზე „თავისთავად“, „შიგნიდან“ გაიშლება. ბავშობის განვითარებას აქვს გარკვეული რიცხვის ცალკეული პერიოდები, საფეხურები. ყოველ საფეხურს შეეფერება გარკვეული შინაარსი. ეს არის ამ თეორიის ერთი წყების დებულებები, რომლებშიც ჩვენ ვხედავთ გარკვეულ პრეფორმისტულ იდეას. შემდეგი დებულება ეხება განვითარების წარმოშობის საკითხს. იგი შემდეგში მდგომარეობს: **ინდივიდის განვითარება იმეორებს მოდემის განვითარებას**, ე. ი. ონტოგენეზი იმეორებს ფილოგენეზს.

ასეთი კანონი მეცნიერებაში ცნობილია ჰეკელ-მიულერის კანონის სახელით (შემდეგ მათ მიემატა კიდევ მენიერტის სახელი). ეს კანონი ეხება ბავშვის ანტენატალურ განვითარებას და გულისხმობს, რომ ადამიანის ჩანასახი დედის წიაღში მოკლდ იმეორებს ორგანიზმების ევოლუციის მთავარ საფეხურებს. სიცოცხლე დედამიწაზე დაიწყო ერთუჯრედიანი ცხოველებით — ჩანასახის პირველი სახეობაც ერთი უჯრედიანი (თესლი); შემდეგი საფეხური ცხოველების განვითარებაში არის მრავალუჯრედიანი ორგა-



ნიზმი, ჩანასახი ამ სახეს ლეზულობს. შემდეგ ჩანასახი თანდათანობით წარმოგვიდგება როგორც მატლის მავარი ფორმაცია, მერე თევზი, ფრინველი, სხვადასხვა ძუძუმწოვარა (ძალი, მაიმუნი) და მხოლოდ შეექვსე კვირიდან ლეზულობს ჩანასახი ადამიანისათვის დამახასიათებელ სახეობას (ვიგოტსკის მიხედვით). დარვინი ამ მოვლენაში ხედავს თავის თეორიის (ადამიანის ცხოველებისაგან წარმოშობის) ერთ-ერთ ილუსტრაციას (ადამიანისა და ცხოველების ნათესაურ კავშირს).

ჰეკელ-მიულერის კანონი, როგორც ვხედავთ, ეხება ადამიანის განვითარებას მუცლად ყოფნის დროს და იგი მისაღებია მხოლოდ დაახლოებით, რამდენადაც ადამიანის ამ განვითარებაზედაც გავლენას ახდენს გარემო წრე. ვიგოტსკის მოჰყავს მარშელის შენიშვნა ჰეკელ-მიულერის ბიოგენეტიკური კანონის მიმართ: „ქემპარიტად ეს ისტორიაა, მაგრამ ისეთი ისტორია, რომლიდანაც დაკარგულია მთელი თავები, შენახულში კი ბევრი ფურცელი თავის ადგილზე არ არის, ზოგიც ისე არის დათითხნილი, რომ მათი წაკითხვა შეუძლებელია... და რაც ყველაზე ცუდია შემდგომი ხელებით უცერემონიოდ არის შეტანილი ცვლილებები, ყალბი დამატებები და ისე ხელოვნურად, რომ მათი შემჩნევა შეუძლებელია“.

ასეთი კრიტიკული განწყობილება ჩვენ უნდა გავაასკეცოთ სტენდიეროლის მოძღვრების მიმართ, რომელმაც თავის თანამოაზრეებთან ერთად (ბოლდუინი, დრუმონდი, კირპატრიკი და სხვ.) მოინდომა ჰეკელის ბიოგენეტიკური კანონის გადატანა უკვე ბავშვის **დაბადების შემდგომი დროის** განვითარებაზე. მოვიყვანთ **კოფკადან** ვილიამ შტერნის სიტყვებს იმის შესახებ, თუ როგორ აქვთ წარმოდგენილი განმეორების თეორიის მომხრეთ ბავშვის განვითარება: „ადამიანის ინდივიდი ჩვილი ასაკის პირველ თვეებში, როდესაც მასში სქარბობს დაბალი გრძნობები, შეუგნებელი რეფლექტორული და იმპულსური არსებობით იმყოფება ძუძუმწოვართა სტადიაში წლის მეორე ნახევარში, როდესაც ის ივითარებს ტაცების მოქმედებას და მრავალმხრივ წაბაძულაპას, ის აღწევს უმაღლესი ძუძუმწოვრის — მაიმუნის განვითარების დონეს, ხოლო მეორე წელს ვერტიკალური სიარულისა და მეტყველების დაუფლებით — ადამიანის ელემენტალურ მდგომარეობას. ზღაპრების და თამაშის პირველ 5 წელს იგი დგას პირველყოფილი ადამიანის საფეხურზე. შემდეგ ადგილი აქვს სკოლაში შესვლას, უფრო მეტი დაჭიმულებით შეტოვას სოციალურ ერთეულში, გარკვეული ვალდებულებებით, შრომის და ვალდებულების ზუსტი განწყვრივებით. პირველი სასკოლო წლების ბავშვის სულსათვის უფრო ადეკვატიურია ანტიური და ბიბლიური ცხოვრების შინაარსი. ბავშვის საშუალო წლები ატარებს ქრისტიანული კულტურის ფანატიზმის ნიშნებს და მხოლოდ მომწიფების პერიოდში აღწევს იგი ახალი დროის კულტურისათვის შესაფერ სულიერ დიფერენციაციას“.

ამგვარად აქვთ წარმოდგენილი ბავშვის განვითარება აღნიშნული თეორიის მიმდევართ. მისი უკიდურესი მეტაფიზიკური სქემატიობა უფ-



რო ნათლად არის მოცემული ე. წ. **გუტიხნსონის** სქემაში. ბავშვი 5 წლამდე იმეორებს კაცობრიობის ისტორიის ველურ ხანას; 4—12 წლამდე — მონადირეობის, 9—14 წლამდე — მწყემსობის, 12—16 წლამდე მიწის დამუშავების და 14—18 წლამდე — ვაჭრობა-მრეწველობის ხანას. ამგვარად არის განსაზღვრული ბავშვის განვითარება, — წინასწარ, ფატალისტურად. როგორც ზალკინდი აღნიშნავს, ეს მოძღვრება, რომელიც უკავშირდება თავის დროის ბუნებისმეტყველებაში აღმოცენებულ ევოლუციურ თეორიას (დარვინიზმს) და თითქო — ბიოლოგიურ და გენეტიკურ პოზიციებზე დგას, ბოლოსდაბოლოს თავის დასკვნებში გაუთანასწორდა მეტაფიზიკური ნატივიზმის თეორიას, რადგან აქ მხოლოდ „ძველი მისტიური თვითგაშლა შეიცვალა ბიოგენეტიურ თვითგადმოშლად“—ო. სტენლი ხოლი, მაგ. ჩვილი ბავშვის შეხტუნვით მოძრაობებში და პატარა ბავშვის აღტაცებაში წყლის დანახვისას ხედავს ადამიანის თევზის მავგარი წინაპრების თვისებებს. ბავშვების შიშს ღამით სტ. ხოლი ხსნის იმავე ატავიზმით: ბავშვი განიცდის იმ გრძნობებს, რომლებსაც იწვევდა ჩვენს წინაპრებში ყოველგვარი საშიშროება უდაბურ ტყეში. ასეთსავე ელემენტებს ხედავს იგი ბავშვის თამაშის შინაარსში. ჩვენი დროის მკითხველისათვის თავისთავად ნათელია ყოველივე ამის სრული უმართებულება.

ბავშვის თამაშის შესახებ საკმაო მასალა გვაქვს მოყვანილი ჩვენს სათანო წიგნაკში. ბავშვის ღამეობით შიშის განცდებს თანამედროვე ფსიქონევროლოგია სწორ ახსნა-განმარტებას აძლევს, რაც სავსებით დამაჯერებელია. ბიოგენეტიური თეორიის ძირითადი დებულებების უკიდურესი მისტიურობა და განყენებული სქემატიზმი ბათილდება თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ თვით ფაქტები არ ეგუება მის დებულებებს. უმართებულა მათი სქემა კაცობრიობის ისტორიის შტამპოვანი პერიოდების შესახებ. იგი არ გვაძლევს ისეთ თანამიმდევრობას, როგორც ეს წარმოდგენილია თეორიაში. უმართებულა მით უმეტეს მათი შტამპი ბავშვის განვითარების საფეხურების გაიგივებისა ზემოაღნიშნულთან, რამდენადაც სხვადასხვაა ბავშვის განვითარების შინაარსი და მიზართულება მის საცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით. ამაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

განმეორების თეორიის წინააღმდეგ დიდი კრიტიკით გამოდიან **სარგებლიანობისა და შესაბამისების** თეორიების წარმომადგენლები, თუმცა არსებითად ყველა ისინი დგანან ერთსა და იმავე პოზიციებზე. **ტორნაიკის სარგებლიანობის თეორია** გვასწავლის, რომ ისტორიული განვითარების გზაზე ინდივიდს და მოდემას ენარჩუნებათ საარსებო ბრძოლაში უფრო გამოსადეგი, სასარგებლო თვისებები. ინდივიდს აქვს უნარი და შესაძლებლობა თავის განვითარებაში ქრონოლოგიურად აირჩიოს რეაქციის ის ფორმები, რომლებიც მას ამ საფეხურზე გამოადგება, და არა ის, რაც მოდემამ სათანადო ეტაპზე გაიარა. ამ ცვლილებით ბიოგენეტიურ კანონს თითქოს სცილდება ერთი სადაო მომენტი — მის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა მომენტების ქნოროლოგიური შეუსაბამობა



ინდივიდუმი და მოდგმაში. წოვა, მაგ., ინდივიდში თავს იჩენს პირველ საფეხურზე (ძუძუს წოვა), ხოლო მოდგმაში — უკანასკნელზე (ძუძუმწოვარნი): სექსუალი გრძნობა — პირუტყუ: მოდგმაში აღრე, ინდივიდში გვიან.


**შესაბამობის თეორიის** (კლაპარელი) შეხედულებით, ინდივიდისა და მოდგმის განვითარებაში ადგილი აქვს ერთისა და იმავე ტიპის რეაქციებს, პირველ საფეხურებზე უფრო სადას, პრიმიტიულს, ხოლო შემდეგში უფრო რთულს და მაღალს. როგორც მოდგმა, ისე ინდივიდი აუცილებლად თანდათანობით გაავლის დაწესებულ ფორმებს.

მესამე თეორია სავალდებულოდ აღარ სთვლის ინდივიდის მიერ მოდგმის ისტორიის **შინაარსის** განმეორებას. სამაგიეროდ ის მაინც აწესებს სავალდებულო ტიპებს და საფეხურებს, რომელნიც ორივე სახეობებისათვის აუცილებელია.

ამგვარად, ყველა ზემოთ აღნიშნული თეორია დგას იდეალისტურ პოზიციებზე, იქნება ეს წმინდა მეტაფიზიკური (ნატივიზმი) თუ ბიოლოგიური მოძღვრება (ბიოგენეტიური მიმართულება) *mutaqis oritandis* ყველა მათ ახასიათებთ ბავშვისადმი მექანიკური მიდგომა, მიუხედავად იმისა თუ რას აკუთვნებენ სხვადასხვა თეორიები მთავარ როლს — მემკვიდრეობით მონაცემებს (ნატივიზმი, ბიოგენ. მიმართულება), თუ გარემო წრეს (ემპირიზმი, ტორნდაიკის ნეოდარვინიზმი); ბავშვის განვითარება ყველა შემთხვევაში წარმოდგენილია ან ტელეოლოგიურად, როგორც წინასწარ განსაზღვრული მოვლენა („ორგანიზმი არის ქმნილება, რომელსაც აქვს მიზანი“.. კ. ბიულერი), ან მექანიკურად მხოლოდ ოდენობითი მატების ქრილში (გეზელ), ან როგორც ვ. შტერნის შინაძაღებისა და გარემოს სებარატიული გამოხატვა (კოფკას: განვითარება — ზრდა, მემკვიდრეობაზე აგებული და განვითარება — გამოწვევა, მიკუთვნებული გარემოზე). ასეთსავე სურათს გვაძლევს პიაჟეს მოძღვრება, შემდეგ ტერნის კონვერგენციის თეორია. ბოლოსდაბოლოს ვერც ერთი ეს მოძღვრება ვერ სცილდება იდეალისტურ მსოფლმხედველობას და მით ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას რეალურად განმარტონ ბავშვის განვითარების მოვლენები. ამის შესაძლებლობას გვაძლევს მხოლოდ **დიალექტიკური მატერიალიზმი**. ბავშვის განვითარების პრობლემას დიალექტიკური მატერიალიზმი უდგება ისეთივე გაგებით, როგორც ცხოვრების ყველა სხვა მოვლენას. მისი დებულებები ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. მარქსიზმს პედოლოგიაში შემოაქვს თავისი მთავარი ცნებები. ასეთია, მაგ., **მეტამორფოზის ცნება**, იდეა, რომელიც შეიძლება დაგსახოთ ბავშვის განვითარების ერთ-ერთ მთავარ **შინა-კანონზომიერებად**.

მისი მთავარი დებულებები შემდეგია.

განვითარება არ ამოიწურება მექანიკური, რაოდენობითი ზრდით და მატებით. იგი წარმოადგენს რთულ პროცესებს, რომელთაგანაც მთავარია ბავშვის მთელი **ფსიქოფიზიკური არსების თვისობრივი გარდაქმნა**. ეს გარდაქმნა ხდება განვითარების სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე, რო-



გორიცაა პერიოდები: ჩვილი, ნადრევი, სკოლის წინარე, სასკოლო **ზარდი**. ამ ასაკებში ხდება ბავშვის **ახალი სტრუქტურული ფორმაციების ჩამოყალიბება** "ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი", "ჩვილი არა ჰგავს ოთხწლიანს" (გიზე) „განვითარების პროცესები არ წარმოადგენენ ისეთ მატებას ან გართულებას, როგორც გვაქვს, მაგ., სახლის აგების დროს, როდესაც სახლი თანდათანობით იზრდება, დაწყებული საძირკვიდან“ (ზაგოროვსკი). ბავშვის განვითარება **სტრუქტურული მთლიანობის სახით მინდინარეობს**. ყოველ ცალკეულ ფაზაში იგი წარმოადგენს მთლიან ერთეულს, მხოლოდ არა სადას, ერთგვაროვანს, არამედ რთულს, შინაგანი წინააღმდეგობით; არა დამთავრებულს, შეჩერებულს, სტატიკურს, არამედ დინამიურს. ბავშვი წარმოადგენს ე. წ. დიალექტიკურ მთლიანობას, ხოლო მისი **განვითარება — დიალექტიკურ განვითარებას**, ასეთის საფუძვლებით და მამოძრავებელი ძალებით. მისი განვითარების სტიმულია მასში (როგორც ყოველ მოვლენაში) არსებული შინაგანი წინააღმდეგობანი. როდენობითი ზრდა ვადადის თვისობრივში, ხოლო ორივენი წარმოადგენენ მთლიან პროცესს. ისე, როგორც კვერციხიდან წარმოიშობა წიწილა, ისე, როგორც აბრეშუმის ქია ერთი ფორმაციიდან მეორეში ვადადის (კვერციხი, მუხლუხი, პეპელა, პარკი), ბავშვის აქტივობის ერთი ფორმა სცვლის მეორეს გართულებით, ხარისხოვანი ამალლებით. ხოხვას სცვლის სიარული, ტიტინს — მეტყველება. თანდათან მალდება ბავშვის ფსიქიური მონაცემები: მხესიერება, ყურადღება, ემოციები, ნებითი აქტები და სხვადასხვა. „ხდება თვისებების დიფერენციაცია და ინტეგრაცია“ (სპენსერი); „პერიფერიულიდან ცენტრალურში ვადასვლა“ (შტერნი). განვითარება დიალექტიკურ მთლიანობას წარმოგვიდგენს. ერთის მხრით ხდება ძველის სიკვდილი, უკუ განვითარება, უკან დახევა, მეორის მხრით ხდება ახალი ფორმების წარმოშობა, წინ წაშოწვევა; ერთი სცვლის მეორეს. „განვითარებაში არაფერია მომენტური; ყველაფერი ვანავრძობს მოქმედებას, თუნდაც როგორც მომავლის იარაღი, ყველაფერი იკრეფს ძალებს, ჰქმნის შემგუებლობას და ჰკაფავს გზებს, რომლებზედაც მიმდინარეობს შემდეგი სიცოცხლე“, მოყვანილი სიტყვები ეკუთვნის შტერნს, რომელიც ამ ფორმულით თავისდა უნებურად ამ საკითხში დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებს უკავშირდება. მეტამორფოზის ცნება, გვხდება ყველგან, სადაც კი საქმე გვაქვს ბავშვის განვითარების სხვადასხვა ფაქტებთან და მოვლენებთან. იგი არის აგრეთვე **შინაღერძი ყველა იმ კანონზომიერებისა, რომელიც თავის მხრით საფუძვლად ედება ბავშვის განვითარების ყველა მოვლენას**. ასეთია ბავშვის განვითარების, ხანგრძლიობის, ინტენსიობის, რითმისა და დისპროპორციულობის კანონზომიერებანი. მათში ხედავენ მკვლევარები განვითარების ძირითად კანონზომიერებას და, როგორც აღვნიშნეთ ყოველ მათგანში ჩვენ უნდა ვხედავდეთ დიალექტიკური პროცესების გამოხატულებას.

სანამ მათზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხებით პროფ. დ. უზნაძის  
ე. წ. კოიციინდენციის თეორიას, სადაც ის გვაძლევს ბავშვის განვითარე-  
ბის საკითხის დიალექტიკურად გადაჭრის ცდას.

წამოყენებული კოიციინდენციის თეორია წარმოადგენს საკითხის დია-  
ლექტიკურად გადაჭრისაგან გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. პირვე-  
ლად ყოვლისა პროფ. უზნაძე იძლევა შტენრის კონვერგენციის თეორიის  
მეტად ნაყოფიერ კრიტიკას. ის სვამს საკითხს: „მართლაც და, რას ამტკი-  
ცებს ეს თეორია, ერთის მხრივ იმას, რომ გარემოს გარეშე არც ერთი  
ცოცხალი ორგანიზმი არ ვითარდება; მეორე მხრივ, იმას, რომ სადაც  
განსავითარებელი არაფერია მოცემული, იქ არც განვითარების ფაქტსა  
აქვს ადგილი ამგვარად, კონვერგენციის თეორია იძლევა ისეთ რამეს, რაც  
გასაგებს ვახდის კონვერგენციის ფაქტს. ამ თეორიის ძალით, გარეგანი  
და შინაგანი ფაქტორები მაინც დამოუკიდებლად არსებულ მოვლენებად  
რჩებიან. პროფ. დ. უზნაძე ამბობს, რომ ამ თეორიას არ შეუძლია რაიმე  
კანონზომიერების მოცემა განვითარების გაგებისთვის. „კონვერგენციის თეო-  
რიის ნიადაგზე პედაგოგიკას, როგორც მეცნიერებას, ადგილი არ რჩება“.  
უზნაძეს არ მიაჩნია სწორედ საკითხის დასმა გარეგანის და შინაგანის მი-  
ხედვით, მისთვის ორივე ეს ფაქტორი, როგორც განუყრელი მთლიანი ყო-  
ველ განვითარების ფაქტში ერთად არის მოცემული. მისი კონცეპციის  
მიხედვით ბავშვში, როგორც ცოცხალ სტრუქტურაში, თავიდან იგულის-  
ხმება გარე პირობები, მაგრამ არა როგორც ცალ-ცალკე მოცემული რამ, არა-  
მედ როგორც გაერთმთლიანებული ფაქტორი – ის ამბობს: „ყოველ ცოც-  
ხალ ორგანიზმში იმ თავითვე მოცემულია როგორც მისი რომელიმე ში-  
ნაგანი ძალა, ისე ის გარე პირობაც, რომელსაც ეს ძალა გულისხმობს“.  
ეს იმას ნიშნავს, რომ გარეგანი და შინაგანი ამ კონცეპციის მიხედვით,  
წარმოდგენილია როგორც კოიციინდირებული, მუდამ ერთიანობის ქვეშ მო-  
ცემული ფაქტი. როგორ არის მაშინ შესაძლებელი მათი აქტუალიზაცია.  
უზნაძე ამაზე ასეთ პასუხს იძლევა: „გარეგანის და შინაგანის ერთიანობა  
დაბადების აქტთან ერთად პრინციპიალურად ირღვევა, და ისინი ერთმა-  
ნეთს უპირდაპირდებიან.“

აქედან ის დასკვნა გამოიმდინარეობს, რომ რეალურად მოცემული გა-  
რეშე სამყარო მეტად რთულია და მრავალფეროვანი. ეს მოქმედებს ბავშვ-  
ზე და ქმნის წინააღმდეგობათა კომპლექსს, რომლებიც ყოველ განვითარების  
სტიმულია. პროფ. უზნაძის კოიციინდენციის თეორია მეტად ნაყოფიერი  
ჰიპოტეზაა, მაგრამ მასშიც არ არის მოცემული საკითხის სრული დია-  
ლექტიკური გადაჭრა, მაგალითად თუ როგორ ხდება ფაქტორთა დინამიკუ-  
რი ურთიერთ-მოქმედება და ურთიერთობაში გადასვლა.

## ჯავშობა და მისი უწყნარობა

„ჯერ კიდევ სრულიად უმწეო ბავშვი, ამ ქვეყნად მოვლინებამდე პარაზიტულის, ხოლო დაბადების შემდეგ ნახევრად პარაზიტული ცხოვრების მატარებელი, ახლა უკვე დგება ფეხზე, სტოვებს თავის ვიწრო სარეცელს და ჯერ ფთხილად, შემდეგ კი უფრო და უფრო გაბედულად მიემგზავრება ცხოვრებაში“, — ასე აგვიწერს ე. არკინი ბავშვის ცხოვრების პირველ დღეებზე. რას წარმოადგენს და რით სულდგმულობს მისი ცხოვრება?

პირველი შეხედვით ბავშვი ერთსა და იმავე დროს კიდევ წააგავს მოზრდილს და ღიდათაც განსხვავდება მისგან. წააგავს იგი თავისი საერთო გამობატულებით და გარეგნული ქცევით. ბავშვში ჩვენ ყოველთვის მოზრდილ ადამიანს ვცნობთ, კატის კნუტში — კატას, თხის თიკანში — თხას, ლეკვში — ძაღლს და ა. შ. ამ შთაბეჭდილებით თითქო სწორია ფორმულა: „ბავშვი პატარა მოზრდილია“, „ბავშვი მინიატურული ადამიანია“. გარეგნულად მათს შორის მხოლოდ ოდენობაში ვხედავთ განსხვავებას. ოდენობის თვალსაზრისით განასხვავებდნენ ზოგნი ბავშვის მოქმედებითს გამოხატულებებს: ბავშვი თამაშობს, შრომობს, მხიარულობს, იბრძვის... ყოველივე ეს თითქო იმავე სახეებით წარმოგვიდგება, როგორც მოზრდილის მოქმედებანი მხოლოდ განუფითარებელ, სუსტ ფორმებში. ასეთი გაგებით უნდა ვეძებდეთ მხოლოდ იმ ელემენტებს, რომელნიც ასხვავებენ ბავშვს მოზრდილისაგან, ე. ი. ბავშვის ბუნების შესწავლას უნდა ვამყარებდეთ მოზრდილის ბუნების მონაცემებზე და აქედან უნდა გამოვინარეობდეს ჩვენი ძიება განსხვავებისა.

ბოლო ხანებამდე ეს საკითხი მართლაც ასე იდგა პედოლოგიაში. ეტიოლოგიის თქმით, პიაჟეს მოძღვრების გამოქვეყნებამდე მკვლევარები „იმით იყვნენ დაინტერესებული, თუ რა არა აქვს ბავშვს, ეხლა კი ეძიებენ იმას, თუ რა აქვს ბავშვს“. საქმე ის არის რომ ბავშვი სრულიადაც არ არის პატარა მოზრდილი, არამედ იგი გარკვეულად თავისებური არსებობს; ბავშვს ახასიათებს სრულიად თავისებური ფსიქოფიზიკური მონაცემები, მოზრდილისაგან განსხვავებული მონაცემები. გეზელის გამოთქმით, ბავშვი შეგვიძლია ჩავთვალოთ მოზრდილის „წინაგამოცემად“, რომელიც შეიძლება სრულიად არ გავდეს თავის „მეორე გამოცემას“, რამდენადაც ეს უკანასკნელი ხშირად კარდინალურად არის „გადასინჯული და შეესებული“. ბავშვს ასხვავებს მოზრდილისაგან ფიზიკური აგებულება და ფიზიკური განვითარების კანონზომიერება. ბავშვს ასხვავებს მოზრდილისაგან ფსიქიკური მონაცემები, მათი განვითარება, მიმართულება, ხარისხი. ბავშვს ასხვავებს მოზრდილისაგან რთული აქტივობის გამოხატულებანი: თამაში, შრომა, აზროვნება, მეტყველება და ყველა ნებითი პროცესი. ბავშვი მთელი თავისი პიროვნებით და ცხოვრებით პრინციპიალური თავისებურებაა; მოზრდილისაგან განსხვავდება არა მხოლოდ ოდენობით, არამედ ხარისხობრივ, თვისობრივ. ეს უნდა შევიგნოთ იმისთვის, რომ სწორად

გავიგოთ ბავშვის ცხოვრების მოვლენები და არ ვეძებოთ მათში ჩვენივე განცდები და მოქმედებები. ასეთია პირველი დებულება ბავშობის მოვლენების მიმართ.

მეორე დებულებად უნდა აღვნიშნოთ ბავშვის **თავისებურება სხვადასხვა პერიოდში**. ბავშობის ხანაში (რომელიც მთლიანად იგულისხმება დაბადებიდან 18-20 წლის ასაკამდე) აღინიშნება რამდენიმე გარკვეული პერიოდი, რომელნიც წარმოადგენენ ბავშვის გენეითარების სრულიად თავისებურ სახეობებს, განსხვავებულს მეზობელ პერიოდებისაგან. აქაც ხაზი უნდა გაესვას იმ მოვლენას, რომ **ერთი პერიოდის ბავშვი, მეორე პერიოდის ბავშვთან შედარებით, წარმოადგენილია როგორც თვისობრივი სხვაობა**. სხვა კანონზომიერებებს გვიდგენს ფსიქოფიზიკური მონაცემები და სხვა ინტერესებით სულდგმულობს მისი არსება. ერთი ასაკის ბავშვი არც გავს მეორე ასაკის ბავშვს ორგანიზმით, ფსიქიური ფუნქციებით, ხასიათით, სოციალური ქცევით. **ყოველ ცალკე ასაკში ბავშვი პრინციპიალური სხვაობა და თავისებურებაა**. ამ დებულების შეთვისებაც აუცილებელია ბავშვის ბუნების სწორი გაგებისთვის. აქაც ჩვენ ძიებას საფუძვლად უნდა დაედოს არა **ნეგატიური** პრინციპი: რა არა აქვს ერთ ასაკს მეორესთან შედარებით, არამედ **პოზიტიური**: რა აქვს და რა ახასიათებს ამა თუ იმ ასაკს თავისთავად. თავისებურად, თავისი სპეციფიური განვითარების შინა და გარე კანონზომიერებების ნიადაგზე „ცხოვრებაში მომავალი“ ბავშვი საჭიროებდა სპეციალურ მეცნიერებას, რომელიც მას მოეკლინა პედოლოგიის, შტუმპფის სიტყვით, scientia amabilis-ის სახით. ამ მეცნიერებამ უნდა მოგვეცეს მეცნიერული საჭე ბავშვის **ცხოვრების** მსვლელობის სწორი წარმართვისათვის. პედოლოგიის ამოცანას შეადგენს ბავშვის **განვითარების კანონზომიერებების გამოკვლევა** იმ პირობებში, რომელშიაც ვითარდება ბავშვი (**სოციალური, კლასობრივი**) და იმ ხაზში, რაიც არის ადამიანის ცხოვრების ამ სეკვენტის მთავარი ელემენტი (**ასაკობრივი განვითარება**).

ბავშვის თავისებურების უმთავრესი ფაქტი და საფუძველი არის ბავშობის ასაკი. ბავშობა არის ის ქარგა, რომელზედაც იქსოვება ადამიანის ცხოვრების პირველი სახეები. ბავშობა არ არის მარტო ადამიანის ცხოვრების ატრიბუტი, იგი საერთო ბიოლოგიური მოვლენაა. ბავშობა გამოხატული აქვს ყოველ ცხოველს. ბიოლოგიური თვალსაზრისით, ბავშობა გამოყენებულია იმისთვის, რომ უსუსური, სუსტი, ცხოვრებისთვის მოუმზადებელი ახლად დაბადებული ცხოველი თანდათანობით გაიზარდოს, შეიარაღდეს, მოღონიერდეს და მოემზადოს საარსებო ბრძოლისათვის. ბავშობის ასეთი დანიშნულება, ბავშობის ასეთი ფუნქციები (კლასარედის მიერ გამოყენებული იდეა) დღეს თითქმის შეთანხმებულ ფაქტად არის აღიარებული. მხოლოდ სრულიად სხვადასხვაა ამ ფაქტის ინტერპრეტაცია, რაიც, რასაკვირველია, დამოკიდებულია ავტორის საერთო კონცეპციაზე. მიუხედავად ამისა, არის ავტორების მთელი წყება, რომელნიც გენეტიური მეთოდ-





დის გამოყენების დროს ვერ პოულობენ რაიმე განსხვავებას ბავშვსა და მოზარდ ცხოველს შორის. ამათი უმეტესობა ქცევის გენეზისის დროს ცხოველისა და ბავშვის ქცევას ერთგვარი კანონზომიერების ქვეშ იხილავენ. ცხოველთან განსხვავებით ბავშვის სპეციფიურობა მათთვის უცნობია.

ასეთი კონცეპცია დამახასიათებელია მექანიკებისათვის. მათ საწინააღმდეგოდ და საერთოდ ბავშვის თავისებურებათა საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს.

როგორც აღვნიშნეთ, ბავშობის ძირითადი პერიოდი აღენიშნება ყველა ცხოველს. ამ პერიოდში ცხოველი გადის განვითარების, მომწიფების გზას, დაწყებული ჩანასახიდან და გათავებული სრულ დავაჟკაცებამდე. ეს გზა იყოფა ორ სეგმენტად: ჩანასახიდან დაბადებამდე და დაბადებიდან სრულ ასაკოვანობამდე. და აი აქ აღინიშნება ერთი მოვლენა, რომელიც ეხება ბავშობის ხანგრძლივობას: **ხვადასხვა ცხოველის ბავშობის ხანგრძლიობა თანაბარი არ არის** (ეს გამოჰყავთ, როდესაც ბავშობის ხანგრძლიობას უფარდებენ ცხოველის მთელი სიცოცხლის ხანგრძლიობას) ამასთან ერთად აღინიშნება მეორე მოვლენაც: **ერთ ცხოველს უფრო ახასიათებს ბავშობის ხანგრძლიობა დაბადების წინა ხანაში, მეორეს — დაბადების შემდგომ ხანაში**; ყველა ამ მოვლენას ავტორები აძლევენ თავის ახსნა-განმარტებას. მოვიყვანოთ ციფრები.

	ცხოვ. სიცოცხ. ხანგრძლიობა	დაბად. წინა ხანა	დაბად. შემდ. ხანა
კატა . . . . .	12 წელიწადი	8 - კვირა	1—წელიწადი
ძაღლი . . . . .	15 „	9— „	2— „
ცხენი . . . . .	40 „	20,5 თვე	8— „
სპილო . . . . .	120 „	15 თვე	35 „
ადამიანი . . . . .	75 „	9—	20/25/ „

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს/ ბლონსკის მიხედვით/, რომ დაბადების შემდეგ ბავშობის ხანგრძლიობა სიცოცხლის მთელ ასაკთან შედარებით უდრის: კატის —  $\frac{1}{12}$ -ს, ძაღლის —  $\frac{1}{7}$ , 5 ცხენის —  $\frac{1}{5}$ . სპილოს —  $\frac{1}{3}$ , 4 ადამიანის —  $\frac{1}{3}$ -ს.

დაბადების წინასაკი იძლევა უკუპროპორციის ციფრებს: იგი მოკლეა იქ, სადაც გრძელია დაბადების შემდგომი ასაკი, და პირუკუ. ამ მოვლენაში ერთი მიმართულების ავტორები ხედავენ ბავშვობის არსს და დანიშნულებას. ზემო მოყვანილ ფაქტებთან შეფარდებით წამოყენებულია შემდეგი დებულებები: 1. ბავშობა წარმოადგენს ბიოლოგიურ მოვლენას, რომლის დანიშნულებაც არის მიეცეს ცხოველს დრო ცხოვრებისათვის მოსამზადებლად; 2. ბავშობის ასაკის ხანგრძლიობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენი დრო სჭირდება ცხოველს ცხოვრებისათვის მოსამზადებლად; 3. ცხო-

ველს სჭირდება იმდენად მეტი დრო, რამდენადაც უფრო რთული ფსიქოფიზიკური აგებულება — ერთის მხრით და რამდენადაც უფრო რთულია მისი ცხოვრების პირობები — მეორეს მხრით; 4. ცხოველის ბავშობის პერიოდების მეტი ან ნაკლები ხანგრძლიობა **დამოკიდებულია იმაზე**, თუ როდის შეუძლია მას მოემზადოს ცხოვრებისათვის — დაბადებამდე, თუ მხოლოდ დაბადების შემდეგ.

ზემოთ მოყვანილი ციფრები უნდა შეესაბამებოდეს მოყვანილ დებულებებს. გეზელი იძლევა მრავალ სხვა ილუსტრაციასაც, აგრეთვე კლაპარედი, გროსი და ბევრი სხვანი აღნიშნავენ, რომ დაბალ ცხოველებს, რომელთაც ახასიათებს სადა აგებულება და ცხოვრების სადა პირობები, თითქმის არა აქვთ ბავშობა, რადგან ისინი დაბადებიდანვე უკვე მომზადებული არიან ცხოვრებისათვის/თევზი, ქვემძრომი/, ფრინველების ბავშობაც ხანმოკლეა, მაგრამ უკვე შესამჩნევი: მათ სჭირდებათ ცხოვრებისათვის მზადება, რასაც ისინი აღწევენ თამაშის პროცესებში და მოზრდილების სწავლებით.

რაც უფრო ზევით მივიწევთ ბიოლოგიურ კიბეზე, მით უფრო მეტად გეჭირდება და გეცხატება ბავშობა. ყველაზე ზევით ხანგრძლიობით დგას ადამიანის ბავშვობა. ეს ეხება დაბადების შემდგომ პერიოდს. ადამიანის აღნაგობა და მისი ცხოვრების პირობების სირთულე მოითხოვს რომ მან სწორედ დაბადების შემდეგ აწარმოოს თავისი ძალების ვარჯიში ცხოვრებისათვის მოსამზადებლად. დაბადებამდე მას ეს არ შეუძლია, როგორც შეუძლია ეს დაბალ ცხოველს. ამის მიხედვით დაბალ ცხოველს აქვს უფრო ხანგრძლივი დაბადების წინაბავშობა და უფრო ხანმოკლე დაბადების შემდგომი ბავშობა. ბლონკის გამოთქმით: დაბალი ცხოველები „იგვიანებენ დაბადებით“, ვინაიდან ცხოვრებისათვის ისინი ემზადებიან უკვე დედის წიაღში, ხოლო ადამიანი „ჩქარობს დაბადებას“, რადგან მას მომზადება მხოლოდ ცხოვრების პირობებში შეუძლია.

გეზელს მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად განსხვავდება ამ მხრივ ადამიანის მავგარი მაიმუნი/ორანგი, გიბონი, შიმპანზე და გორილა/სხვა მაიმუნებისაგან. როგორც ადამიანის ბავშვი, ისე უმაღლესი მაიმუნის მონაგარი, ჩვეულებრივ მაიმუნთან შედარებით იბადება საგრძნობლად უმწეო. იმ დროს, როდესაც მისი ასაკის „ბიძაშვილს“ უკვე შეუძლია სირბილი, თამაში და ცელქობა, მაღალი მოდემის მაიმუნი უმწეოდ ფართხალობს მიწაზე. რასაკვირველია, ამასთან ერთად უკანასკნელის შესაძლებლობა ბევრად აღემატება სათანადო ასაკის ბავშვის ძალებს, თუნდაც ეს ბავშვი ეკუთვნოდეს ადამიანის ჩამორჩენილ შტოს, ზანგებს და სხვებს, დასძენს გეზელი.

ასეთია ფაქტები ბავშობის ასაკის შესახებ. უნდა კვლავ აღვნიშნოთ, რომ ფაქტების ახსნა-ვანმარტება სრულიად სხვა რამედ წარმოგვიდგება, ვიდრე ფაქტების აღნიშვნა. ამ შემთხვევაშიც სწორად აღნიშნული ფაქ-




ტები ბურჟუაზიული პედოლოგების მოძღვრებაში ღებულობენ სრულყოფილ მიუღებელ განმარტებებს, ვინაიდან „ფაქტები ყოველთვის კონცეპციებამდე მიდის“ (ვიგოტსკი), ხოლო „ფაქტების ფილოსოფია“ ყოველ ცალკე შემთხვევაშიც დამოკიდებულია საერთო ფილოსოფიაზე. იდეალისტურად განწყობილი ბურჟუაზიული ავტორები ბავშობის ფაქტებში ხედავენ **წინასწარ დაწესებულ მოვლენებს**; „ბავშობა მოცემულია იმისათვის, რომ ადამიანმა გაიაროს ცხოვრების სკოლა, შეიარაღდეს მისთვის და სხვა“, გვეუბნებიან ისინი. აქ ჩვენ ვხედავთ, ერთის მხრით, მეტაფიზიკურ და ვიტალისტურ მსოფლმხედველობას („მოცემულია“ წინასწარ), ხოლო მეორეს მხრით, ადამიანის ცხოვრების მექანიკურ დაყოფას („ბავშობა სკოლაა“). არა „სკოლა“, არამედ იგივე ცხოვრებაა ბავშობა. არ ემზადება“, არამედ ცხოვრობს ბავშვი. ცხოვრობს თავისი ბუნებისა და გარემო წრის დიალექტიკური მთლიანობის და აქტიური ურთიერთ ზეგავლენის შესაფერისად. **ადამიანი არც ერთ თავის პერიოდში არ შეიძლება მივამსგავსოთ ცხოველს**, რომელიც მართლაც ცხოვრობს და ემზადება ცხოვრებისათვის თავისი ინსტიქტების გაშლის საშუალებით ბუნების წიაღში. ადამიანი თავიდანვე სუნთქავს სოციალურ, კლასობრივ გარემოში, ამასთან მთლიანობის საფუძველზე ეწევა თავის აქტიურ ცხოვრებას მისთვის ასაკობრივად მისაწვდენ გამოხატულებებში. „ვეფხის კნუტი იბადება მტაცებელ ცხოველად, — ხოლო ადამიანი არ იბადება მონადირედ ან მიწის მუშად, მეომრად, ის ხდება ასეთად გარეშე პირობების ზეგავლენით“-ო, ამბობს პლენანოვი. ამგვარად, ჩვენ ვღებულობთ ბავშობის ფაქტებს, როგორც რეალურ მოვლენებს. ჩვენ ვცნობთ ბავშობას ადამიანის ცხოვრების იმ პერიოდად, როდესაც მუდმივ განვითარების პროცესებში მყოფი ბავშვი სქედავს თავისი პიროვნების ძალებს, მხოლოდ ყოველივე ამას იგი აწარმოებს არა დანიშნული ამოცანების მოცემულ სკოლაში შესრულების სახით, არამედ თავისი რეალური ცხოვრების ყოველდღიური პროცესების ფორმებში.

F. 22. 4. 13

## გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ი ნ ტ ე ნ ს ი ო ბ ა

როგორც მთლიან ფსიქოფიზიკურ განვითარებაში, ისე ცალკეულ ფუნქციათა განვითარებაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ადამიანის ზრდის პროცესების განსაკუთრებული ინტენსიობა ბავშობის ხანაში. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ფიზიკური ზრდის და წონის მასალები, სადაც, ვიგოტსკის თქმით ჩვენ გვაქვს „ასტრონომიული ციფრები“. ზრდა: ჩანასახის ზომა უდრის 0,2, ახლად დაბადებულის — 50, მოზრდილის — 170-სმ. ამგვარად, ზრდა ჩანასახიდან დაბადებამდე მატულობს 2.500-ჯერ, ხოლო სრულსაკოვანობამდე — 8.000-ჯერ. წონა: ჩანასახი — 0,000003 gr,





ახლადდაბადებული — 3.000, მოზრდილი — 170. ამგვარად, წონა მატულადაა ჩასახვიდან დაბადებამდე 1 მილიარდჯერ, ხოლო სრულ ასაკონამდე — 23 მილიარდჯერ (სმირნოვიდან). როგორც ვხედავთ, ციფრები მართლაც ასტრონომიულია.

მეორე გარემოება: ზრდა-განვითარების ინტენსიობა განსაკუთრებით დიდია ბავშობის წინა ასაკებში. ამას დეტალურად დავინახავთ ქვემოთ, როდესაც შევეხებით წონა-ზრდის ასაკობრივ ცვლილებებს. მრავალი ავტორის აზრით, უკვე ბავშობის წინაპერიოდებში მთავრდება ადამიანის ძირითადი განვითარება. „ჩვილი ბავშვიდან მოლაპარაკე ბავშვამდე მეტი მანძილია, ვიდრე მოწაფიდან ნიუტონამდე“-ო, ამბობს რიხტერი. ასეთსავე აზრს გამოსთქვამს ლ. ტოლსტოი: „ხუთწლიან ბავშვიდან ჩემამდე მხოლოდ ნაბიჯია; ახლად დაბადებულიდან ხუთწლიანამდე საშინელი მანძილია; ჩანასახიდან ახლად დაბადებულებამდე უფსკრულია“. პედოლოგის მამის პრეიერის სიტყვით, „ადამიანი თავის პირველ სამ წელში განიცდის ისეთ განვითარებას, რომელიც თავისი ოდენობით და მნიშვნელობით შეიძლება უდრიდეს მთელი დანარჩენი სიცოცხლის განვითარებას“. ეს დებულება არ შეიძლება მივიღოთ პირდაპირი გაგებით. ადამიანის მთავარი თვისებები ყალიბდება მხოლოდ გარემოსთან კავშირისა და ურთიერთზეგავლენის პროცესებში და ამ კავშირის სირთულის თანაბრად. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ბავშობის წინა ასაკები წარმოადგენენ განვითარების განსაკუთრებული ინტენსიობის ხანას. ამის მასალები თავის ადგილზე იქნება მოყვანილი.

## განვითარების ციკლი და რითმი

განვითარების შემდეგი ზოგადი კანონზომიერება: ბავშვის ზრდა-განვითარების პროცესებში აღინიშნება გარკვეული რითმი ინტენსიობის მატებისა და კლების სახით სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში. ზრდა-განვითარებას აქვს ამაღლების არა სწორი, არამედ გრეხილი მრუდე: არის ხაზების აწევა, ერთ დონეზე შეჩერება, დაწევა, ზოგჯერ, როდესაც ეს ეხება ბავშვის მთლიან განვითარებას, იგი იწვევს შემცდარ დასკვნას მშობლებისა და პედაგოგების მხრივ. ტემპების აწევა განიხილება როგორც განვითარების ნაადრევი დამთავრება, ტემპების დაწევა კი, პირიქით, — როგორც შეჩერება და სხვ. არც ერთი, არც მეორე დასკვნა არ არის სწორი; ბავშვის განვითარებაში ბუნებრივია განვითარების პროცესების როგორც გაცხოველება, ისე შენელება. არსებითად ადამიანის განვითარების საბოლოო შედეგები შეიძლება შემოწმებულ იქნას მხოლოდ ბავშობის ასაკის სრულ დამთავრებისას, მანამდე კი ამ შემოწმებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მოყვანილი კანონზომიერების კრილში.

## დისპროპორციული

ზემოთ აღნიშნულ განვითარების რითმიულობის კანონზომიერება ეხება არა მარტო ბავშვის მთლიან განვითარების პროცესებს, არამედ ორგანიზმის ყოველი ცალკეული ნაწილისა და ფსიქიკის ყოველი ცალკეული ფუნქციის განვითარებას, რამდენადაც ეს რეალურად წარმოსადგენია. ა. გეზელის თქმით „ყოველ ორგანოს, ყოველ სისტემას, ფაქტურად ყოველ უჯრედს აქვს ცხოვრების თავისი საკუთარი გზა“. დისპროპორციული კანონი გამოხატავს ამ თავისებურებას. ნაწილი ერთსა და იმავე დროს ცხოვრობს მთელთანაც საერთო ცხოვრებით და თავის თავადაც კერძო ცხოვრებით. სხვადასხვა ასაკში სხეულის ცალკეული ნაწილები და ფსიქიკის ცალკეული ფუნქციები განიცდიან სხვადასხვა განვითარებას. მაგ., სრულიად სხვადასხვა პროპორციებშია გამოხატული ადამიანის სხეულის აგებულობა ბავშვობაში და სრულ ასაკში. სტ. ხოლის თქმით ბავშვებს რომ შერჩეთ მათი სხეულის პროპორციები, მათგან მხოლოდ მახინჯები დაიზრდებოდენ მაგ., ბავშვის თავის ფარდობა სხეულთან უდრის 1/4-ს, მოზრდილის — 1/8-ს, ბავშვის თავის ქალა და სახე ერთმანეთთან შეფარდებულია როგორც 18 : 1, მოზრდილის — 2,5 : 1, და ა. შ.

თვით ბავშობის სხვადასხვა ასაკში ადგილი აქვს ამ პროპორციების სხვადასხვაობას. სკოლამდელი ასაკის ბავშვი (4-7 წლ.) ცნობილია **დიდ-თავიან, გრძელტანიან და მოკლეფეხებიან არსებად**, სკოლის ასაკში კი (განსაკუთრებით მოზარდი) იგი წარმოგვიდგება **პატარა თავიან, მოკლეთანიან და გრძელფეხებიან არსებად**. სრულ ასაკოვანობას თავის მხრით ახასიათებს სხეულის სხვადასხვა ნაწილების გარკვეული პროპორციები: ბერძენთა და ეგვიპტელთა სკულპტორების მიერ დაწესებული „კანონები“ ადამიანის სწორი აგებულისათვის გულისხმობდენ, რომ თავი უდრის მთელი ტანის მერვედს და შუა ტანის მესამედს, ხელები უნდა იყოს 3<sup>1</sup>/<sub>4</sub>-ჯერ, ხოლო ფეხები 4<sup>1</sup>/<sub>4</sub>-ჯერ მეტი თავზე (არკინიდან).

ასეთია ბავშვის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი. ისინი არ წარმოადგენენ წინასწარ მოცემულ ფორმებს, ისინი თვით უნდა ეყრდნობოდენ დიალექტიკური განვითარების კანონს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს, როგორც ზევით აღნიშნეთ, განვითარების ფაქტორების გარკვეულ ურთიერთ დამოკიდებულებას.

**ამით გამოთვრებთ „პედოლოგიის მთავარი ცნების“** — განვითარების იდეისა და მისი კანონზომიერების საერთო გადმოცემას. მიღებული დებულებების გასაშუქებლად და მათგანვე გამომდინარე ქვევით ჩვენ შევეცდებით მოვიყვანოთ მასალები იმ მთავარ საკითხებზე, რომელნიც შეადგენენ განვითარების ძირითად ფაქტებს და მოვლენებს: განვითარების ფაქტორები, განვითარების მექანიზმები, ბავშვის ფიზიკური განვითარება, ბავშვის ფსიქიკური განვითარება, ბავშვის მთლიანი განვითარების საფეხურები და სხვ., და მივეცეთ მათ ახსნა-განმარტება საბჭოთა პედოლოგიის თვალსაზრისით.

## განვითარების ფაქტორები: მემკვიდრეობა და გარემო

**მემკვიდრეობა.** იმ დროს, როდესაც ნაცივიზმის და პრეფორმისმის მიმდევრები მთელ მნიშვნელობას ადამიანის განვითარებაში აწერენ მის მემკვიდრეობით — ბიოლოგიურ — ფონდს, ხოლო ადამიანის ფსიქოფიზიკურ განვითარებას განიხილავენ როგორც თანდაყოლილი თვისებათა „შინა გაშლას“; არსებობს, როგორც აღვნიშნეთ, მეორე მიმართულება, რომელიც აღიარებს დიამეტრალურად საწინააღმდეგო კონცეპციას. ამ ბანაკიდან გაისმის მოთხოვნა, რომ თვით **მემკვიდრეობის იდეა** იქნას განდევნილი მეცნიერებიდან, როგორც მისტიური და მეტაფიზიკური (ცინგ-იანგკუო, მემარცხენე ბიხევიორისტები და სხვ.).

ერთის მხრით პირველთა აზრით არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც არის, რომ მემკვიდრეობით იქნას გადაცემული ადამიანის ყოველგვარი ფიზიკური და ფსიქიკური თვისება. მაგ. ცნობილი პედოლოგი ტერმენი ლაპარაკობს საერთო ნიჭიერების გადაცემაზე, გეკერი და ციგერი — მუსიკალური ნიჭის, მებუისი, ბეტცი და სხვები — მათემატიკური ნიჭის, სხვანიც — ლიტერატურული ნიჭის გადაცემაზე და სხვ. ამავე დროს მეორენი სრულიად უარყოფენ მენდელის კანონების გავრცელებას ადამიანზე და ამით სავსებით უარყოფენ თვით მემკვიდრეობის მნიშვნელობას ადამიანის განვითარებაში.

არც ერთ და არც მეორე უკიდურესობას არ იზიარებს მარქსისტული პედოლოგია. არ არიან მართალი პირველი ბანაკის მიმდევარნი, რომელნიც ისეთ აბსურდამდეც კი მიდიან თავიანთ დასკვნებში, სადამდეც მივიდნენ მაგ.: კ. ბიულერი ან პეტერსი, ვალტონი და სხვ. პირველი მათგანი შესაძლოდ ცნობს ილაპარაკოს „საციხე მონაცემების“, მეორე — „სასკოლო ნიშნების“ და მესამე — „სამინისტრო პორთფელების“ მემკვიდრეობაზე.

ი. ლანგეც ბიულერთან ერთად გამოსთქვამს: „ბოროტქმედება ბედისწერაა, რომლის სათავეც უნდა ვეძიოთ ბოროტმოქმედის უჯრედებსა და ჯირკვლებში“ ასეთ შეხედულებაზეა დამყარებული ახლად მოვლინებული ფაზისტური მოციქულთა თეორიები ამა თუ იმ რასის ბიოლოგიური უპირატესობის შესახებ სხვა რასებთან შედარებით, საიდანაც გამომდინარეობს პირველთა უდაო უფლებები მეორე რასებზე.

ვიგორტსკი, რომელიც ყოველივე ზემოთაღნიშნულს „მეცნიერულ გაუგებრობას“ ეძახის, განმარტავს, რომ მხოლოდ „ბიოლოგიური და სოციალური მემკვიდრეობის ტლანჭი შერევით შეიძლება ავხსნათ ასეთი შეხედულებანი“-ო, როდესაც ისეთი მოვლენა, როგორიც არის, მაგ., დანაშაული „ეს წმინდა წყლის სოციალური მოვლენა, სოციალური უთანასწორობის და ექსპლოატაციის პროდუქტი განმარტებულია, როგორც ბიოლოგიური ნიშანი“.



აქ უნდა შევჩერდეთ ერთ გარკვეულ ცნებაზე, რომელსაც დიდძალი  
აკუთვნებს მარქსისტული კონცეპცია, — ე. წ. „სოციალურ მემკვიდ-  
რეობაზე“.

ბლონსკის სიტყვით, „მემკვიდრეობა არ არის უბრალო ბიოლოგიური  
მოვლენა: **ქრომატინ** — მემკვიდრეობისაგან უნდა განვასხვავოთ სოციალუ-  
რი მემკვიდრეობა, სოციალური მდგომარეობის და **საცხოვრებო** პირობე-  
ბის მემკვიდრეობა“.

ერთი და იგივე სოციალურ-ეკონომიური პირობები ჰქმნიან მემკვიდ-  
რეობის ისეთსავე ბედს და მემკვიდრეთა ისეთსავე თვისებებს, რაც ახა-  
სიათებს მშობლებს. მხოლოდ ასე და არა სხვანაირად შეიძლება გავიგოთ  
პეტერსის შემთხვევები სასკოლო წარმატების შესახებ (ვიგოტსკი). მეც-  
ნიერის შვილს მიტი შესაძლებლობა აქვს გახდეს მეცნიერი, მუსიკოსის  
შვილს — მუსიკოსი და სხვა, იმიტომ რომ მათ აქვთ სათანადო ხელსაყრე-  
ლი პირობები და არა უჯრედები.

ასეთი ყალბი მემკვიდრეობის გამოკლებით, საბჭოთა მეცნიერება არ  
უარყოფს მემკვიდრეობას, არ უარყოფს ბიოლოგიური მონაცემების არსე-  
ბობას, არ უარყოფს ბიოლოგიური მონაცემების უდიდეს როლს ბავშვის  
(ადამიანის) განვითარებაში.

მხოლოდ ერთი საკითხი აინტერესებს კიდევ საბჭოთა მეცნიერებას:  
როგორია მემკვიდრეობითი მონაცემების ბედი ადამიანში; ვარდაუვალი  
ფაქტშია იგი თუ იცვლება: გვაქვს თუ არა შესაძლებლობა აქტიური ზე-  
გავლენით შევცვალოთ მემკვიდრეობითი მონაცემები და ამით სასურველი  
გზით მივმართოთ მომავალი თაობის განვითარება?

ერთ ჩვენს წიგნაკში („პედოლოგია, როგორც მეცნიერება“) შემთ-  
ხვევა გვქონდა შევხებოდით ადამიანის ძველი და ახალი ბიოლოგიური  
ფონდების, ადამიანის დიდი ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა სექტორების  
ადამიანის პლასტიკობისა და ცვალებადობის საკითხებს, რომელნიც წარმო-  
ადგენენ მემკვიდრეობის პრობლემის უდიდეს თავებს. აქ გვესაჭიროება მო-  
ვიხსენიოთ ე. წ. შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობითი გადაცემის საკითხი.

### შეძენილი თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის პრობლემა

ამ საკითხის გარშემო ეხლა მწვავე კამათი წარმოებს და მისი ალ-  
ტერნატიული გადაწყვეტა თანამედროვე მეცნიერებს ყოფს ორ ბანაკად  
(ბასოვი). ეს ბრძოლა დაიწყო მხოლოდ 1883 წლიდან, როდესაც ვეის-  
მანი ამხედრდა მისი დადებითი გადაწყვეტის წინააღმდეგ, რაიც მიღე-  
ბული იყო დარვინის, ლამარკის და სხვების მიერ. ვეისმანმა წამოაყენა  
თავისი ცნობილი თეორია „ჩანასახის პლაზმის დამოუკიდებლობისა და გა-  
ნუწყვეტლობის“ შესახებ. ეს თეორია უარყოფს ონტოგენეტიურ ცხოვრე-  
ბაში შეძენილ თვისებების მემკვიდრეობით გადაცემას. მრავალი ურთიერ-

თის საწინააღმდეგო ცდა წარმოებდა მას შემდეგ მეცნიერებაში აღსანიშნავი კითხვის გასაშუქებლად. ბურჟუაზიული მეცნიერება ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რომ პროგრესიულ იდეებს არ გაემარჯვებინა ვეცნიერების ფაქტობრივად. **გავისხენოთ კამერის ცდები და გერბსტაისა და ფოქსის „შემოწმება“; გაიერის და სმიტის ცდები და გექსლისა და კარ-საუნდერსის „შემოწმება“.** ცალკე უნდა აღინიშნოს ფიზიოლოგ **პავლოვის ცდები** თავგებებზე პირობითი რეფლექსების მემკვიდრეობითი გადაცემის შესახებ და მელლერის ცდები ბუზ დროზოფილაზე.

აღნიშნული ცდების საფუძველზე შესაძლოდ უნდა ჩაითვალოს იმ შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემა, რომელნიც ინდივიდში იწვევენ **სასქესო უჯრედების თვისობრივ ცვლილებებს** (როგორც მემკვიდრეობის მატერიალურ სუბსტრატში). ეს შესაძლებელია მოხდეს როგორც გარეშე გალიზიანების სასქესო უჯრედებზე უშუალო გავლენის სახით, როდესაც ამავე დროს გვაქვს მთელ ორგანიზმზე ზეგავლენაც (**ე. წ. პარალელური ინდუქცია**). ისე იმ შემთხვევაშიც, როცა არის გარემოს ამორჩევითი ზეგავლენა მხოლოდ სასქესო უჯრედებზე (**ბლანტოგენური ცვლილებები**) და, ბოლოს, გარემოს სასქესო უჯრედებზე ზეგავლენით არა უშუალოდ, არამედ მის მიერ შეცვლილი ორგანიზმის მეშვეობით (**სომატური ინდუქცია**). ყველა შემთხვევაში დასაშვებია შეძენილი თვისებების მემკვიდრეობით გადაცემა. ამგვარად, ირლვევა ფატალისტური შეხედულება მემკვიდრეობაზე და გზა ეძლევა საბჭოთა პედოლოგიის ოპტიმისტურ განწყობილებას, იმავე შეუდრეკელ ოპტიმიზმს, რომლითაც გაყენებულია პროლეტარიატის მთელი რევოლუციონური მსვლელობა (ზალკინდი). პრაქტიკულად საინტერესოა ის, რომ ადამიანის ახალი ბიოლოგიური ფონდი — თავის ტვინის ქერქი — სათანადო ზეგავლენით შეასრულებს „რევოლუციის ინსტრუმენტის“ როლს და გარდაქმნის ადამიანის ბიოლოგიას სოციალისტური მიმართულებით.

### მემკვიდრეობის მატერიალური სუბსტრატი

„ადამიანის არსებობა და განვითარება იწყება დედის საკვერცხეზე უჯრედისა და მამის სპერმატოზოიდის შეერთების მომენტიდან“, ამბობს ბასოვი. სასქესო უჯრედები წარმოადგენენ მემკვიდრეობის გადამცემ ანატომიურ მორფოლოგიურ ორგანოს. მაგრამ სასქესო უჯრედები ფრიად რთული არიან თავისი შემადგენლობით. რომელი ნაწილი ატარებს აღნიშნულ ფუნქციას? „აქ ჩვენ ვხვდებით ორ თეორიას“ ე. წ. **ხრომოზომური თეორიის** მიმდევარნი ასეთ ფუნქციას აკუთვნებენ მხოლოდ სასქესო უჯრედის ბირთვის. ე. წ. ციტოპლაზმატური მიმართულება ამ როლს აკუთვნებს უჯრედის პლაზმას. ამ ორ მიმართულებაში უპირატესი ადგილი უკავია პირ-



ველს. ამ მოძღვრების თანახმად, მემკვიდრეობითი თვისებების გადაცემა ხდება სასქესო უჯრედის ბირთვში არსებული ხრომოზომების საშუალებით. ყოველი ცალკეული ხრომოზომა წარმოადგენს განსაკუთრებულ თვისობრივ ერთეულს, დამოუკიდებელ **ინდივიდუუმს**, განსხვავებულს იმავე უჯრედის ხრომოზომებისაგან (ზოვერი). ეს არის მისი პირველი თვისება. მეორე თვისებაა — ხრომოზომის შინაგანი სირთულე. იგი წარმოადგენს არა ერთი, არამედ მრავალი მემკვიდრეობითი თვისების მატარებელს. მემკვიდრეობითი თვისებები წარმოდგენილია, როგორც მრავალი ცალკეული ელემენტარული ნიშნის ერთმანეთთან **გადაკლდობილი სისტემა**, და ამ სისტემის — გენის ფაქტორის — სუბსტრატი არის ხრომოზომა. ამჟამად წამოყენებულია საკითხი თვით გენების სტრუქტურის სირთულის შესახებ (გენომერული თეორია). ყველა ის მემკვიდრეობითი მონაცემი, რომელიც გადაეცემა ორგანიზმს გენების საშუალებით, წარმოადგენს მის წმინდა მემკვიდრეობით მარაგს — **გენოტიპს** (პარატიპი — სოციალურად შექმნილი თვისებები; ფენოტიპი უდრის გენოტიპს + პარატიპი). თვით გენები კი წარმოადგენენ ცალკეულ მემკვიდრეობით თვისებებს, „**მემკვიდრეობით ერთეულებს**“, რომელნიც ბიოლოგიაში თამაშობენ ამავე როლს, რასაც ფიზიკასა და ქიმიაში მოლეკულა და ატომი. „ბიოლოგიურმა მეცნიერებამ უნდა მიაღწიოს ამ ერთეულებამდე, რათა მათი შეერთებით შეიგნოს ცოცხალი ბუნების მოვლენები“-ო ამბობს დეფრიზი. მემკვიდრეობითი გადაცემის წესები მეცნიერებამ მიიღო 1865 წელს გრეგორ მენდელის მეოხებით (მენდელიზმი), მაგრამ გამოიყენა ისინი მხოლოდ 1900-იან წლებში. თვით მენდელი სიცოცხლეში ვერ მოესწრო თავისი მოძღვრების ცნობას. ამჟამად კი მემკვიდრეობის ძირითადი კანონები მის სახელს ატარებენ. ასეთი კანონი სამია.

პირველი (ზოგი არა კანონს, არამედ წესს ეძახის, ვინაიდან მას ვარიაციები აქვს) მდგომარეობს შემდეგში.

ვიღებთ ორ წარმომშობ ერთეულს (გამეტა) მშობლებს, რომელნიც თვისებებში მხოლოდ ერთი რამ ნიშნით განსხვავდებიან. მენდელი იღებდა ორი ჯიშის მუხუდოს თესლს, ერთს ყვითელს, მეორეს მწვანეს (განსხვავების ნიშანი ერთია — თესლის ფერი) და აუღლებდა მათ. ვღებულობთ მოდგმას, მოდგმის პირველ წყებას („მუხლს“). ამ მოდგმას ახსიათებს ის, რომ მშობლების ორი გამასხვავებელი ნიშნიდან მათ გადაეცემათ არა ორივე, არამედ რომელიმე ერთი, — ყვითელი ან მწვანე: ამგვარად, ორ-ფერიან მშობლებისაგან წარმომდგარი მოდგმა არის მხოლოდ ერთფეროვანი, მეორე ფერი არა ჩანს. შემდეგში დავინახავთ, რომ იგი არ დაკარგულა, მხოლოდ „მიიმალა“ და მალე ისევ გამოჩნდება. მაგრამ ეს ეხება უკვე მენდელის მეორე კანონს. პირველში კი ჩვენ მივიღეთ ერთი ნიშნის წინ წამოდგომა, უპირატესობა, გაბატონება, „დომინანლობა“; მეორე ნიშნის — უკან დახვევა, დათმობა, მიმაღვა, დაფარვა, „რეცესივობა“. ამიტომ მენდელის ამ კანონს ეწოდება „ნიშანთა უპირატესობის ან დომინანლობის კანონი“.

მშობელთა შეუღლების შედეგად მიღებულ მოდგმებს ეწოდება პირი  
რიდი, — პირველი, მეორე, მესამე და ა. შ. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პირველ  
მოდგმაში მივიღეთ ერთგვაროვანი ჰიბრიდები. შევავლლოთ ამ მოდგმის  
ერთეულები. ვლებულობთ შემდეგს: მესამე მოდგმა უკვე არა ერთნიშნა-  
ნია, არამედ ორნიშნიანი, შერეული. მენდელის ცდებში არის როგორც  
ყვითელი, ისე მწვანე ფერის თესლები, დარჩა პირველ წყებაში ყოფილი  
ყვითელი ფერი (დომინალური) და გამოჩნდა მაშინ მიმალული, დაფარული  
მწვანე ფერი (რეცესიული). მხოლოდ მათი რიცხვი თანაბარი არ არის:  
სამი მეოთხედია დომინალური ყვითელი, ერთი მეოთხედი რეცესიული  
მწვანე ე. ი. დამოკიდებულება ასეთია: სამი (დომ.) ერთი (რეცეს.) =  
= 3 : 1. აქ ჩვენ ვხედავთ გიბრიდების პირველ წყებაში არსებულის ყვი-  
თელი, დომინალური ფერის განკვეთას, ამიტომ მენდელის ამ მეორე კა-  
ნონს სახელად ეწოდება „ნიშნათა განკვეთის კანონი“. თუ განვაგრძობთ  
გიბრიდების მეორე წყების ერთეულების შეუღლებას მივიღებთ კიდევ ახალ  
კანონზომიერებას, მხოლოდ იმავე „განკვეთის კანონის“ ფარგლებში. სახელ-  
დობრ შემდეგს: გიბრიდების ის ერთი მეოთხედი ნაწილი, რომელიც გამო-  
ჩნდა როგორც რეცესიული ნიშნების მატარებელი (მწვანე ფერი), შემდეგი  
შეუღლებისას თვისებას არ იცვლის, მიდის მუდამ დაუთავებლად. დომი-  
ნალური სამი მეოთხედის ბედი სხვანაირია: მისი ერთი მესამედი (ე. ი.  
მთელის ერთი მეოთხედი) მიდის იმავე ნიშნით და ისევე უცვლელად, რო-  
გორც რეცესიული, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი (ან რაც იგივეა — მთე-  
ლი მოდგმის ნახევარი) კიდევ „განიკვეთება“, ამასთან ისევე, როგორც  
წინა მოდგმა, ე. ი. იქმნება ერთი მეოთხედი ისევე რეცესიული ნიშანი,  
ხოლო სამი მეოთხედი დომინალური. შემდეგ შეუღლებებში ეს კანონი ისა-  
ხება უცვლელად: ერთი მეოთხედი რეცესიული მიდის „წმინდად“, ერთი  
მეოთხედი დომინალური მიდის „წმინდად“, ხოლო ორი მეოთხედი დომინა-  
ლური „განიკვეთება“. მენდელის პირველი ორი კანონი ეხება იმ შემთხვე-  
ვებს, როცა წარმომშობი ერთეულების განსხვავება გამოიხატება მხოლოდ  
ერთი ნიშნით (პირველი კანონი ეხება პირველი მოდგმის წყებას, მეო-  
რე — მეორე მოდგმის წყებას და ასე ქვევით). მესამე კანონი ეხება იმ  
შემთხვევებს, როცა ჩვენი მშობლები გვევლინებიან არა მონოგიბრიდის,  
არამედ დიგიბრიდის, ტრიგიბრიდის, ტეტრაგიბრიდის და მეტის სახით  
ე. ი. როცა მშობლები განირჩევიან არა ერთი, არამედ ორი, სამი და  
მეტი ნიშნით; ამ შემთხვევაში ყოველი წყვილი ნიშანი გადადის მოდგმაში  
ისეთივე წესით, როგორც ზევით აღნიშნული მონოგიბრიდები, ე. ი. „ყო-  
ველი წყვილი ნიშანი იქცევა ისე, თითქოს მათ მეტი ნიშანი არ არსებობ-  
დეს“. შედეგად ვლებულობთ სხვადასხვა ნიშნების კომბინაციებს, რომლე-  
ბიც მენდელის პირველ ორ კანონს შეეფარდება. ასეთია არსებითად მენდე-  
ლიზმი, ეს „კაპერნიკის რეფორმა მემკვიდრეობის მოძღვრებაში“ (ბასო-  
ვი); ასეთია მემკვიდრეობის ძირითადი კანონები, რომელთაც არსებითად

ექვემდებარება როგორც ცხოველების, ისე მცენარეების შეუღლება და მათი თვისებების მემკვიდრეობითი გადაცემა. ეგუება მათ ადამიანს; ლოდ ნაწილობრივ, ბევრი ამ საკითხში გამოუცნობელია, ბევრი შეუფერებელიც.

## ადამიანის მემკვიდრეობა

საერთოდ ძნელია მენდელის კანონებით მიდგომა ადამიანისადმი. ადამიანის თვისებების სირთულე — ადამიანის თვისებებზე გარემოს ზეგავლენა და ადამიანის მოდემის ნელა განვითარება — ფრიად აძნელებს მასზე მენდელისებური დაკვირვების წარმოებას. აქ არა გვაქვს ანალოგია ბუხდროზოფილასთან, რომელიც წელიწადში იძლევა 20 ახალ თაობას, ხოლო ერთი წყვილი მშობელი — ათასამდე მოდემას. ადამიანს საშუალოდ 2—3 შვილი ჰყავს, ხოლო მისი სიცოცხლე 3 მოდემას არ სცილდება. დღემდე ბევრად თუ ცოტად ნათელია მხოლოდ უმარტივესი ფიზიკური თვისებების მენდელისებური გადაცემა, როგორც არის მაგ. თვალების და თმის ფერი. უფრო ნაკლებად არის გამორკვეული ადამიანის ტანადობა-სიმაღლე და კანის ფერი. კიდევ უფრო ძნელია ფსიქიური თვისებების გადაცემის საკითხი. მაინც ლიტერატურაში ცნობილია სხვადასხვა გატაცებულ ავტორთა მასალები, მაგ. ვალტონის 1000 გამოჩენილი ინგლისელის მემკვიდრეების გამოკვლევა, სადაც მან აღნიშნა 300-ზე მეტი გამოჩენილი ახლო ნათესავი. ცნობილია ბახების 5 მოდემა 22 გამოჩენილი მუსიკოსით; ასევე ცნობილია მუსიკოსებით ბეთხოვენისა და მოცარტის ოჯახები; მხატვრებით — ტიციანის, ვერნეს და სხვების მოდემა; მათემატიკოსებით ბერნულის, ხოლო ფილოსოფოსებით — შლეგელის ოჯახები, და სხვა და სხვა. აქ საჭიროა გავიხსენოთ სოციალური მემკვიდრეობის ცნება: რა არის აქ ბიოლოგიური და რა არის სოციალური. ყოველ შემთხვევაში მთავარ მიზეზად ყველა ამ „გენოტიპებისა“ უნდა მივიჩნიოთ იგივე სოციალური მემკვიდრეობა, როდესაც შვილები არა გამეტაში, არამედ „დედის რძესთან“ ლებულობენ ყველა აღნიშნულ „გენებს“. ამგვარად, იქ, სადაც ბურჟუაზიული მეცნიერები ხედავენ ბიოლოგიური მემკვიდრეობის ფაქტებს, შეჭრილია სოციალ-ეკონომიური ფაქტორები, როგორც „სოციალური მემკვიდრეობა“. რაზე მიგვითითებს ეს? მხოლოდ ერთ რამეზე, რომ განვითარების ყოველ შემთხვევაში ფაქტორები უნდა განვიხილოთ როგორც მთლიანი, სტრუქტურულად გაერთმთლიანებული მოვლენა, სადაც გარეგანი და შინაგანი მოცემულია დიალექტიკურ მთლიანობაში. იქ, სადაც ბიოლოგიურ ფაქტებს ვხედავთ, იქვე უნდა განვიხილოთ სოციალური პირობები, როგორც მასთან შინაარსეულად ერთობრივი მოვლენა.

## სოციალური გარემოს როლი

თუ ჩვენ კერძო პიროვნებას განვიხილავთ მის განვითარებაში, დავინახავთ, რომ ის არსებითად სავსეა წრის ზეგავლენით. ადამიანი ლე-ბულობს აღზრდას ოჯახში, ქუჩაში და სკოლაში. ლაპარაკობს ენაზე, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების შედეგს, აზროვნებს ცნებებით, რომლებიც გამომუშავებულია მთელი რიგი წინაპრების მიერ, ხედავს თავის გარშემო ადამიანებს, რომელნიც მასზე ყოველ წუთს ზეგავლენას ახდენენ; ერთი სიტყვით, იგი ღრუბელივით შეისვავს სულ ახალ ახალ შთაბეჭდილებებს. ამ ნიადაგზე ხდება მისი როგორც პიროვნების ჩამოყალიბება, არსებითად ყოველ პიროვნებაში ჩადებულია საზოგადოებრივი შინაარსი.

მოყვანილი ციტატი ეკუთვნის ბუხარინს და იგი საცესებით შეეხება გარემოსა და ბავშვის ურთიერთობას. ამ საკითხში საჭიროა გამოვყოთ შემდეგი ელემენტები: პირველი: ადამიანის განვითარების ჩამოყალიბების გადამჭრელი ფაქტორი არის სოციალური გარემო. ზევით ჩვენ დავასახელებთ აკადემიკოს პავლოვის ცდები. მათში მოცემულია ადამიანის „სამარადისო“ თვისებების, თანდაყოლილი ძირითადი ინსტიქტების სრული გარდაქმნა. პირობითი რეფლექსების გამომუშავებით ძალი არ გაურბის, არამედ ელტვის ტკივილის მიმყენებელ პროცესებს. თვით მემკვიდრეობის მთავარი ფაქტორი — პიროვნებათა შეუღლება (ოჯახი) არსებითად განსაზღვრულია გარემო წრით, „ვინაიდან ოჯახური შერჩევაც ხომ გარკვეული კლასობრივი წრით განისაზღვრება“ (ვიგოტსკი). **ამ მხრივაც გარემო წრე და მემკვიდრეობა ერთ მთლიანობას წარმოადგენს, ერთ დიალექტიკურ ერთეულს ერთი მეორის „სხვა სახეობას“.** გარემო წრე „რეალობად, ჰქმნის იმას, რაც ადამიანის მემკვიდრეობაში მოცემულია როგორც „შესაძლებლობა“. ძირითადად თვით მემკვიდრეობა წარმოადგენს გარემო წრის ზეგავლენით შექმნილ ბიოლოგიურ ფონდს, „მრავალი თაობის სიგრძეზე არსებული კონდენსიური სოციალური ზეგავლენის შენაერთს“, როგორც ა. ნევსკი ამბობს.

მეორე: ადამიანის განვითარებაში მნიშვნელობა აქვს არა ბუნებრივ, არამედ **სოციალურ გარემო წრეს.** გარემო წრეში ჩვენ ვხედავთ ერთეულს, რომელიც იმყოფება ადამიანთან აქტიური ურთიერთ ზეგავლენის დამოკიდებულებაში, ადამიანი და გარემო დიალექტიკური მთლიანობაა. გარემოშიც ჩვენ ვხედავთ თვისობრივ ცვალებადობას, ერთი სახის მეორეში გადასვლას. იგი გამოწვეულია ადამიანის აქტიური ზეგავლენით. **ბუნებრივი, ფიზიკური გარემო-წრე გარდაიქმნა სოციალურ ხელოვნურ გარემო-წრედ.** ჩვეულებრივად გარემო წრეს ჰყოფენ შემდეგ სახეებად: 1. **არაორგანული** გარემო წრე (ტემპერატურა, ჰაერი, სინათლე და სხვა); 2. **ბიოლოგიური** გარემო წრე (ცხოველი და მცენარეული ორგანიზმები); 3. **სოციალური გარემო წრე** (ადამიანების საზოგადოება). პირველი



ორი შეიძლება შეერთებულ იქნას ე. წ. ბუნებრივი და ფიზიკური გადამწვეტი წრის სახელით. მესამე მათ უპირისპირდება, როგორც ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური წრე.

გარემოს ამ ცალკეული სახეების მნიშვნელობა შეიცვალა ადამიანისათვის. შეიცვალა მისი დამოკიდებულება გარემოსთან. იმ დროს, როდესაც ცხოველებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ წრეს, ადამიანმა დაიშორა ფიზიკური წრე, შექმნა თავისი გარშემო ხელოვნური წრე და ამით გარდაქმნა თავისი ერთ-ერთი დამოკიდებულება ბუნებრივ გარემოსთან. **ბუნებრივი წრის მნიშვნელობა შემცირდა, სოციალური გარემოსი — გაიზარდა.** ადამიანში შრომითი პროცესების მეოხებით ყოველი ბიოლოგიური გადაადის სოციალურში (მარქსი, ენგელსი, ლენინი). ადამიანთა საზოგადოებრივობა „სცვლის პიროვნების ანატომიურ-ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიურ მახალებს სოციალურად საჭირო ფორმებში და ამით იძლევა მისი განვითარების საფუძვლებს“ (ე. ანანიევი). ადამიანის ყოფაცხოვრებას და მოქმედებას ახასიათებს სოციოგენეზი. იგი არა მარტო ბიოლოგიური, არამედ სოციალურ-ბიოლოგიური ცხოველია, და სოციალური მასში განსაზღვრავს ბიოლოგიურს. ამიტომ მარქსისტული პედოლოგია სოციალურ წრეს აკუთვნებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. „არ უარყოფს რა მემკვიდრეობას, ყრილობა საჭიროდ თვლის, რომ საბჭოთა პედოლოგიის მიერ დაწყებული მუშაობა მემკვიდრეობითი ფაქტორების ნამდვილი მნიშვნელობის გადასინჯვის მხრივ გაგრძელებულ და გაორმაგებულ იქნას სოციალური ფაქტორების შესწავლის მიმართულებით ბავშვის განვითარების პროცესებში“ **(სრულიად საკავშირო პედოლოგიური ყრილობის რეზოლუციებიდან).**

მესამე: სოციალური გარემო წრე არ წარმოადგენს საერთო სახის ფორმაციას. ადამიანი ცხოვრობს და მოქმედობს არა სოციალურ წრეში საერთოდ, არამედ რაიმე კონკრეტულ, განსაზღვრულ წრეში. მარქსიზმში აქ ხედავს ეკონომიურ ურთიერთობაზე დამყარებული საზოგადოების კლასობრივ წრებად დაყოფას. არის წრე ბურჟუაზიული და პროლეტარული; არის სოფლის წრე, რომელიც ასევე იყოფა კლასობრივად. კაპიტალისტური წესყობილების პირობებში პიროვნება წარმოადგენს ამათუ იმ კლასობრივი წრის პროდუქტს და მისი თვისებების მატარებელია. მხოლოდ ასეთი შეხედულება გვაძლევს ჩვენ სწორ წარმოდგენას პიროვნებაზე და არა იდეალისტური მოძღვრება „სულის სულზე“ მოქმედების შესახებ (გელახი, ბერგსონი და სხვები). მარქსისტულ პედოლოგიას საქმე აქვს მხოლოდ გარემო წრის რეალურ სახეებთან და ადამიანთა შრომითი ურთიერთ დამოკიდებულებასთან. ეს რეალური ცოდნა საბჭოთა მეცნიერებას სჭირდება რეალური საქმეებისათვის — კაპიტალისტური წყობილების სოციალისტურად შეცვლისათვის. გარდა კლასობრივი გარემო წრისა, ბავშვის განვითარებაში უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე გარემოს სხვა სახეები: ოჯახი, სკოლა, ქუჩა, რომელნიც არსებითად იმავე კლასობრივი

**წრის ცალკეული სახეებია.** ყოველი მათგანი კონკრეტულ ზეგავლენას ახდენს ბავშვის ზრდა-განვითარებაზე.

ამგვარად, ბავშვს ჩვენ ვიხილავთ არა როგორც „საერთოდ ბავშვს“, არამედ როგორც განსაზღვრულ კლასობრივ ბავშვს. მხოლოდ ასეთი გაგებით ვცნობთ, ვარკვევთ და მნიშვნელობას ვაძლევთ გარემო წრეს, როგორც ბავშვის განვითარების განსაზღვრულ ფაქტორს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ გავლენას ახდენს განსაზღვრული წრე ბავშვის ზრდა-განვითარებაზე, მოვიყვანოთ რამდენიმე სტატისტიკური მასალა.

**ბავშვი, უკვე დედის საშოში განიცდის თავისი კლასის წრის გადამწყვეტ ზეგავლენას.** პროლეტარული წრის ბავშვი განიცდის ამას უარყოფითად. ამას მოწმობს ციფრები მკვდრად დაბადებულ ბავშვთა და ბუნებრივი აბორტის შესახებ (ბასოვიდან) მკვდრად დაბადებულნი ყოველ 100 დაბადებულზე ბერლინში.

ინტელიგენტურ წრეში . . . . .	2,8%
დამოუკიდებელ მშრომელთა და ვაჭართა წრეში . . . . .	2,9%
მუშათა და ლარბთა წრეში . . . . .	3,9%
იმავე კონრადის ცნობებით: 2,1%, 4,1%, და 5 %	
ბუნებრივი აბორტები: შეძლებულ ოჯახებში . . . . .	8,2%
ლარბთა . . . . .	17,9%

ეკონომიური პირობების ზეგავლენას, ადასტურებს აგრეთვე ლარბი ოჯახებში ახლად დაბადებული ბავშვების ფიზიკური ჩამორჩენილობა მდიდართა ოჯახების ბავშვებთან შედარებით: ე. წ. „შიმშილობის ბავშვები“ (შიმშილობის დროს დაბადებული ბავშვები, როდესაც დედები მოკლებული არიან ნორმალურ კვებას) ან „ალყის ბავშვები“ (მაგ. როდესაც ალყა შემორტყმული ქალაქი შიმშილს განიცდის), იძლეოდნენ ფიზიკური განვითარების ჩამორჩენილობას ზრდასა და წონაში. ცალკე აღსანიშნავია დედის შრომითი პირობების ზეგავლენა ჩანასახის განვითარებაზე. დაბადების სტატისტიკიდან ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ინგლისის ცნობები ფეიქართა და მალაროს მუშათა შესახებ. მათი ცხოვრების საერთო პირობები თანაბარია. განსხვავება: პირველთა ცოლები მუშაობენ წარმოებაში, მეორეთა ცოლები — არა. პირველთა ცოლებს ორსულობისას არ ანთავისუფლებენ მუშაობისაგან. შედეგი: ფეიქართა ოჯახებში მშობიარება 100-ზე უდრის 12,5-ს, მალაროს მუშათა ოჯახებში — 100-ზე 23,1-ს.

იმავე კანონზომიერებას ვხედავთ ბავშვის განვითარების, ჯანმრთელობის, ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის მხრივ. ბავშვის სიკვდილიანობა უშუალოდ დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიურ და მათზე ზედნაშენ პოლიტიკურ კულტურულ პირობებზე. ეს აღნიშნულია როგორც სხვადასხვა სახელმწიფოში, ისე ყოველ ცალკეულ სახელმწიფოში კლასობრივი წრეების მიხედვით. უარყოფითი სოციალ-ეკონომიური პირობები



ახდენენ უარყოფით ზეგავლენას ბავშვის განვითარებაზე, რასაც სათანადო შედეგები მოსდევს.

ბასოვი იძლევა ჩვილი ბავშვის სიკვდილიანობის ციფრებს სხვადასხვა სახელმწიფოში 20 საუკუნის დასაწყისს. უკანასკნელი ადგილი აქ ეკავა ძველ რუსეთს, რაიც სავისებით შეეფერებოდა მის სოციალურ და კულტურულ დონეს. საბჭოთა ავტორები იძლევიან იმ ცვლილებებს სიკვდილიანობაში, რომელიც შეიტანა პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული წყობილების გამოცვლამ საბჭოთა წესწყობილების დროს. თუ წინათ ყოველ 100 ბავშვზე კვდებოდა 25-26, ეხლა ეს ციფრი არ აღემატება 12-13-ს. ციფრები თავისით ლაპარაკობენ. ბავშვის სიკვდილიანობა დაკავშირებულია დედის წერა-კითხვის მკოდნობასთანაც. ასეთი ფაქტორის მნიშვნელობაც იცვლება საბჭოთა კავშირში, რომელიც სპობს წერა-კითხვის უცოდინარობას, სანიტარულ უკულტურობას და უეცობას. ბავშვის სიკვდილიანობა დამოკიდებულია ბინის პირობებზე და მშობლების საერთო მატერიალურ პირობებზე.

ბავშვების სიკვდილიანობა და ბინის პირობები:

ბინის პირობები	100 დაბადებულიდან მოკვდა 1 წლამდე
ბინა მშრალი . . . . .	10,5
„ ნესტიანი . . . . .	12,7
„ წყალსადენიანი . . . . .	11,8
„ უწყალსადენო . . . . .	19,8
- „ ვატერკლოზეტიანი . . . . .	10,8
„ შვატერკლოზეტო . . . . .	15,9

ბავშვების ზრდა მატერიალურ უზრუნველყოფის პირობებში:

ასაკი	მდიდარი	საშუალოდ უზრუნველყოფილი	ღარიბი
9—10.	130,6	130,4	128,0
10—11	135,2	134,1	131,4
11--12	139,0	138,4	135,9
12—13	145,0	142,6	140,4
13—14	148,9	147,9	146,0
14—15	157,0	155,6	153,3
15—16	162,3	161,7	159,3
16—17	166,8	165,6	163,7
17—18	169,1	167,8	166,5

ასეთია აღნიშნული პირობების მნიშვნელობა ცოცხალი ბავშვის განვითარების საქმეში.

ზევით რუსეთისა და პარიზის მაგალითებზე აღნიშნეთ კვების პირობების ზეგავლენა ჩანასახზე. იგივე აღინიშნება ბავშვის შემდგომ განვითარებაზე, როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. პრ. შტეტეკოს და ნიკოლაევის გამოკვლევები განსაკუთრებით ცხადყოფენ ბავშვის ზრდაზე მშობლების მატერიალური უზრუნველყოფის გავლენას. ყველა ეს უარყოფითი ცვლილება ლიკვიდირებულ იქნა ლენინგრადის ბავშვების ეკონომიური პირობების გაუმჯობესებით უკვე 1923 წელს. ზრდა-წონის მომატებას გვიჩვენებს უკანასკნელი წლების გამოკვლევები საბჭოთა კავშირის ბავშვების საერთო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით (შტეტეკო, ნიკოლაევი, გეშელინა და სხვ.).

ასეთია ძირითად ხაზებში საბჭოთა პედოლოგიის მოძღვრება გარემოწრისა და მისი **გამაფორმებელი** როლის შესახებ ბავშვის განვითარებაზე.

ჩვენ აქ საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ სოციალური გარემოს გავლენის ზოგიერთი მაჩვენებელი ფაქტი. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სოციალური გარემოს გავლენის სფერო მიმდინარეობს ერთი კანონზომიერების ქვეშ, ხოლო ბიოლოგიური ფაქტორის განვითარების სფერო სულ სხვა კანონზომიერების ქვეშ. მათი გაგებისათვის მთავარია ის, რომ ორივე ეს ფაქტორი ბავშვის განვითარების შემთხვევაში ემორჩილება ერთ ძირითად დიალექტიკურ კანონზომიერებას და მათი აქტუალიზაცია ამ კანონზომიერების გავლენის ქვეშ მიმდინარეობს. ზემოაღნიშნულ დებულებათა საილუსტრაციოდ ჩვენ მივმართავთ ბავშვის განვითარების ცალკე მომენტების განხილვას. რომ ბავშვის პიროვნება ჩვენ წინ დადგეს, როგორც მთლიანი ერთეული, რომლის ყოველი მოქმედების სფერო ემორჩილება დიალექტიკური განვითარების კანონზომიერებას, ამისათვის საჭირო იქნება განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული, დავადასტუროთ ბავშვების პიროვნების ცალკეულ ნაწილებში.

ამგვარად, განვიხილოთ ბავშვის ფიზიკური განვითარება და ბავშვის ფსიქიური განვითარება და ვნახოთ, რა არის მთავარი ამ განვითარებაში.

### III

## ბავშვის ფიზიკური განვითარება

### ფიზიკური განვითარების კანონზომიერებანი.

ბავშვის ფიზიკური განვითარება სავსებით ექვემდებარება იმ კანონებს, რომლებიც აღნუსხულია ჩვენ მიერ, როგორც საერთოდ განვითარების კანონზომიერებანი. ესენია: ტემპი, რითმი, დისპროპორცია, მეტამორფოზი.

დავიწყოთ უკანასკნელიდან. აქ ჩვენ უნდა განვმარტოთ ზრდისა და განვითარების ცნებები მათი ურთიერთ დამოკიდებულების ფარგლებში.





პირველი არის მხოლოდ ერთ-ერთი მხარე და შემადგენელი ნაწილი მეორე  
 სა. საერთო ბიოლოგიური თვალსაზრისით, ორგანიზმის განვითარების  
 ცნება გულისხმობს **მატებას და დასრულებას ორი მიმართულებით: ერთ-  
 თია ოდენობა (სიგრძე, სიმაღლე, წონა) და მეორე ფუნქციების წარ-  
 მოშობა-ჩამოყალიბება, დასრულება.** ეს ორი მიმართულება გულისხმობს  
 არა ალტერნატიულ ანტაგონიზმს, არც პარალელიზმს, არამედ ერთგვარ  
 თანმიმდევრობას, ერთმანეთისთვის უპირატესობის დათმობის სახით. ხან  
 ერთია პირველ ადგილზე, ვაშლილ პროცესის ფაზაში, ხან მეორე. ვიმეორ-  
 რებთ: ერთი მათგანის წინ წამოწევა არ გულისხმობს მეორის მოსპობას,  
 არამედ მხოლოდ უკან დადგომას. გარკვეული გარემოებებში ზეგავლენით შესაძ-  
 ლოა რომელიმე მათგანის ხანგძლივი წაქეზება ან დაჩაგვრაც. კ. დარესტ-  
 მა ექსპერიმენტალურად დაამტკიცა, რომ ქათმის ჩანასახი მაღალი ტემპე-  
 რატურის (40°...) წრეში იძლევა სწრაფ **ფუნქციონალურ დასრულებას,  
 ამასთან იძლევა ამ დასრულებას ზრდის განუვითარებლად** ამგვარად  
 ლებულობენ ქათმის კარლიკურ ჯიშს. ეს ექსპერიმენტი საუცხოო ნი-  
 მუშია გარემო წრის ბიოლოგიურ თვისებებზე ზეგავლენისა. ჩვეულებრივ  
 კი, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ გვაქვს შინა დინამიური პროცესების დია-  
 ლექტიკური მთლიანობა, როდესაც ერთი პროცესი (ზრდა) გადადის მეორეში  
 (ფუნქციონალურ ამოღებაში), ე. ი. რაოდენობა გადადის თვისებაში.  
 ამ პროცესში ადგილი აქვს ხან ერთი და ხან მეორე მოვლენის უპირატესობას.  
 ყოველივე ეს წარმოადგენს ზრდის დიალექტიკურ პროცესს ზემოთ  
 გაცნობილ მეტამორფოზს. იმავე შინა სირთულის და შინა წინა-  
 ამლდეგობის ნიადაგზე წარმოებს დინამიური ცვლილებები, რაც გვაძლევს  
 ახალ სახეობას, პრიციპულად ახალ ფორმაციას. ბავშვის ორგანიზმის  
 „არქიტექტურა“ ესოდენ განსხვავებული სხვადასხვა ასაკებში, იძლევა ამ  
 მეტამორფოზის ილუსტრაციას.

**ზრდის პროპორციულობა.** ბავშვი არ არის მიკროსკოპული მოზრ-  
 დილი. იგი ფიზიკურადაც თავისებური სახეობაა ყოველ ცალკე ასაკში.  
 ეს თავისებურობა უპირველეს ყოვლისა გარეგნულად შესამჩნევია სხეულის  
 სხვადასხვა ნაწილების დისპროპორციულ ზრდაში.

ზემომოყვანილ მასალების დამატებით მოკლედ განვიხილოთ სხეულის  
 ცალკეული ნაწილების ზრდა. თავის ზრდაში ჩვენ ვხედავთ თავის ქალისა  
 და სახის დისპროპორციულ ზრდას: სახის ნაწილი უსწრებს თავის ქა-  
 ლას. მათი საზღვარი (თვალის გუგებზე გატარებული ჰორიზონტალი) ყოფს  
 მოზრდილის თავს ორ თანაბარ ნაწილად. დაბადებისას კი თავის ქალა  
 უდრის მთელი თავის 3/5-ს, სახე 2/5-ს. როგორც ვხედავთ, სახის ნაწილი  
 თავის ქალაზე უფრო მეტად იზრდება და დასასრულ უთანაბრდება მას.  
 ეს არსებითად ცვლის თავის საერთო შეხედულებას (განსაკუთრებით მას  
 შემდეგ, რაც ვითარდება ქვედა ყბა).

**ხერხემლის სვეტის** ზრდაში აღსანიშნავია მისი ე. წ. ფიზოლოგიუ-  
 რი გამრუდება — ხვეულების წარმოშობა კისრის, გულმკერდის და წელის



არეგში. უპირველეს ყოვლისა იქმნება კისრის გამრუდების ხეული დაკავშირებულია თავის სიმძიმესთან. გულმკერდის (უკანა) და წელის (წინ) გამრუდების ხეულები დაკავშირებულია შინაგანი ორგანოების სიმძიმესთან და წარმოიშობიან ფეხზე დადგომის შემდეგ. ამით სხეულის სიმძიმის წერტილი იკავებს ბუნებრივ ადგილს (მოზრდილთან შედარებით ბავშვს იგი უფრო მაღლა აქვს).

დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ორგანიზმში **გულმკერდის** განვითარებას, ვინაიდან მასში მოთავსებულია ისეთი სასიცოცხლო ორგანოები, როგორც გული და ფილტვები. ზრდის პროცესებში გულმკერდი იჩენს დიდ ტემპებს და წინ უსწრებს სხვა ნაწილებს; მაგ., თავთან შედარებით (გარშემოხაზულობა) იგი დაბადებისას 2-3-ჯერ ნაკლებია, ორ წელზე უკვე უთანაბრდება, ხოლო 3 წელზე უსწრებს მას დაბადებისას თავის გარშემოხაზულობა უდრის 34,0 სმ.-ს. გულმკერდის—32,0 სმ.-ს.

2 — წელზე თავის გარშემოხაზულობა 48,0 გულმკერდის 49,0 სმ.-ს  
 4 — " " " 50,0 " 52,0 სმ.-ს

ამგვარად ჩვენ ვადასტურებთ განსაზღვრულ წესებს ადამიანის სხეულის სტვადასხვა ნაწილის ზრდაში და მათ ურთიერთ შედარებით ზომებში.

**ზრდის ტემპი და რითმიულობა.** ზრდის და წონის მატება ხდება არა თანაბრად, არა თანდათანობით, არამედ რითმიულად, ტალღისებურად, უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ზრდის ტემპები უდიდეს ანტენატალურ პერიოდში ფრიად თვალსაჩინოა ჩვილ ასაკში, შემდეგ კი თანდათანობით კლებულობს, სანამ ეს ზრდა მოზრდილ ასაკში — 20 წლებში — არ დამთავრდება საერთოდ, ხოლო 25 წლებში — სააბოლოოდ. ინვოლუციურ ხანაში იწყება უკუგანვითარება („მოხუცი იზრდება მიწისაკენ,“ ბლონსკი) ამ მხრივ, ბასოვის გადმოცემით, ზრდის პროცესებს ადარებენ გასროლილ ყუმბარას. ზრდა საშვილოსნოში (ნობეკურის ცხრილით) 20 დღეზე უდრის 3-4 მ. მეტრს, 25-36 დღეზე—14 მ. მეტრს, 3 თვეზე—10 სმ. 6 თვეზე—37 სმ., დაბადებისას 50 ს.მ. წონა: 15 დღეზე—1 გრ., 6 თვეზე—1000,0 გრ., ახლად დაბადებულის 3.000 გრ. აქ აღინიშნება ყველაზე მეტი ტემპები. დაბადების შემდეგაც ბავშვი იზრდება „არა დღეობით, არამედ საათობით ეგერის სიტყვით (ეფრუსიდან), პირველ დღეებში განვითარებას ვხედავთ ყოველ საათში, მერე კვირიდან კვირამდე, შემდეგ თვიდან თვემდე და ბოლოს წლიდან წლამდე, სანამ ზრდა სრულიად არ დამთავრდება. რასაკვირველია, ყოველივე ამას აქვს მხოლოდ შედარებითი მნიშვნელობა. ზრდისა და წონის მატება დამოკიდებულია არა მარტო ურყევ შინაგან კანონებზე, არამედ გარემო წრის ფაქტორებზედაც (ზემოთ აღნიშნული სოციალური პირობები, კვება და სხვ). საერთო დაკვირვებით **ზრდის მატება** გამოიხატება 1 წელზე—25-ს.მ., 2 წ. —10 ს.მ. 3-8 წლ.—4-4-სმ. 5-6 წლ.—6-8 სმ. 7-10 წ.—8-4 სმ. აქ ჩვენ ნათლად ვხედავთ ზრდის მრუდის თავისებურებას (რითმიულობა) წონა: დაბადებისას — 3.000 გრ.—3.250—3.500 გრ. შემდეგ აღინიშნება ე.წ. წონის ფიზიოლოგიური დაწევა პირველ 2-4-დღეს (150-250გრ.).

მიზეზად ითვლება: გაცვლა გამოცვლის პროცესების მოუწყვრებლობა. ბავშვის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოუმზადებლობისა და ძუძუს-წოვის პროცესის არა სრული დაუფლების ნიადაგზე. 7—10 დღეზე წონა უნდა გამოსწორდეს. 5-6 თვეზე ბავშვის პირვანდელი წონა ერთი ორად იზრდება (გუნდობინი), ერთ წელზე ერთი სამად (9K°) პირველ წელს მატება უდრის 6K°, მეორე წელში ეს მატება ნაკლებია — 2-3K°..., მე-3 და მე-4 წელს 1-2K°-დე, 5 წელს — კიდევ უფრო ნაკლები. 6-7 წელზე პირველი წლის წონა ერთი ორად მატულობს. აქედან 10 წლიდან კიდევ იზრდება ყოველწლიური წონის მატება 2-3-4K°... 14 წლამდე. ამგვარად, წონის მზრიავაც ჩვენ ვხედავთ მრუდის არა თანაბრობას, არამედ რითმიულობას, ტალღების მატებას და კლებას. ეს რითმი კიდევ მეტად, ვიდრე ზრდის მიმართ, დამოკიდებულია გარემო პირობებზე (კვება).

**ზრდის და წონის ურთიერთობა.**

აქ ჩვენ უნდა შევეხოთ გარკვეულ კანონზომიერებას, რომელიც პირველად ბერტელსმა, ხოლო შემდეგ შტრაკმა და მრავალმა სხვა მკვლევარმა აღნიშნა. იგი ეხება ზრდისა და წონის პროცესების ურთიერთ დამოკიდებულებას. ზრდისა და წონის ზემოთმოყვანილი მრუდეების შედარება გვისურათებს ამ ურთიერთ დამოკიდებულებას. აღინიშნება, რომ სიგრძესიმაღლისა და წონის მატება როგორც წესი, ერთმანეთს ადვილს უთმობენ: ხან ერთია ფართო ზრდის ფაზაში, ხან მეორე; ხან ერთია ავანსცენაზე, ხან მეორე. თავის პერიოდიზაციაში შტრაკი აწესებს შემდეგ თანმიმდევრობას:

**I. უსქესო ბავშვობა.**

- 1) ჩვილი ასაკი: ბავშვის პირველი წელი. სიგრძეც და წონაც გაძლიერებით მატულობს.
- 2) პირველი დასრულების ხანა: 2—4 წელი, ხანა ზრდის შენელებისა, ხოლო წონის, ორგანიზმის მასის მატებისა ბავშვი სრულდება, სუქდება.
- 3) პირველი გაქიმვის ხანა: 5—7 წელი. ავანსცენაზე სიგრძის მატება, ბავშვი იზრდება, გამხდარია.

**II სქესობრივი ბავშვობა.**

- 4) მეორე დასრულების ხანა: 8—10 წელი. სცენაზე მასის მატება.
- 5) მეორე გაქიმვის ხანა: 11—15 წელი. სცენაზე სიგრძის მატება.

**III. მომწიფება.**

- 6) მომწიფების ხანა: 15—20 წელი, მატულობს როგორც ზრდა, ისე წონა, და საერთოდ მთავრდება ზრდა. წონისა და ასაკის ურთიერთობას ფრიად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ბავშვის ფიზიკური განვითარების შეფასებისათვის.

ვოლდმა აღნიშნა წესი, რომლის თანახმადაც ერთი ტანის ბავშვებში ის უნდა მეტი წონის იყოს, რომელიც მეტი არის ასაკით. პირველ შეიმუშავა ყველა სამი ზომის შედარებითი ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს მათ საშუალო ნორმალურ ურთიერთ დამოკიდებულებას.

## წონისა და ზრდის სქესობრივი თავისებურებანი

მკაფიოდ აღინიშნება ქალისა და ვაჟის „ბიოლოგიური“ განსხვავება ზრდა-წონაში. ამ განსხვავებას უეჭველად აქვს ადგილი. მაგრამ იგი არსებითად იმდენადვე ბიოლოგიურია, რამდენადაც ასეთია ადამიანის ორგანიზმი საერთოდ, ე. ი. განსაზღვრულია გარემო წრის, სოციალური წრის პირობებით. ქალის სიმაღლე და წონა დაბადებიდანვე შედარებით **ნაკლებია**: წონა — 200 გრამით, ტანი — 1 სანტიმ. სიმაღლე — 10-11 სანტიმეტრით. ბავშვობის ხანაში არის პერიოდი, როდესაც ეს ურთი-ერთობა გამოიხატება, პირიქით, ქალის სასარგებლოდ. სიმაღლე და წონა პირველ ათ წლამდე თანაბარია. აქედან დაწყებული დაახლოებით 15-16-17 წლამდე ქალი უსწრებს ვაჟს შემდეგ კი ისევ ვაჟი უსწრებს და საბოლოოდ ინარჩუნებს უპირატესობას.

მოვიყვანთ დამატებით მოკლე ცნობებს ბავშვის ფიზიოლოგიური თავისებურების შესახებ. თავისებურება გამოიხატება სისხლისა და სუნთქვის პროცესებში, ნერვული და კუნთოვანი სისტემების მუშაობაში. სისხლის ცირკულაცია ბავშვს უფრო ჩქარი აქვს, ვიდრე მოზრდილს (გარეგნულად ეს გამოიხატება პულსის სისწორეში), ფილტვების მოცულობა უფრო ნაკლებია, ბავშვის სუნთქვის სიხშირე 3-ჯერ მეტია მოზრდილისაზე. ეს იწვევს ბავშვის ნაადრევ დაღალვას ყოველგვარი მუშაობის დროს. ნაადრევ დაღალვას იწვევს აგრეთვე ბავშვის კუნთოვანი ძალის სისუსტე. ბავშვის კანი აღემატება მოზრდილისას. უფრო მახვილია აგრეთვე ბავშვის მხედველობა, სამაგიეროდ მისი ყნოსვა ნაკლებად არის განვითარებული.

ასეთია საერთოდ ბავშვის ფიზიოლოგიური თავისებურებანი, რითაც ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ ბავშვის აღზრდის დროს.

ამგვარად, ფიზიკური განვითარების პროცესების საერთო განხილვამ დაგვანახა, რომ ეს პროცესები ექვემდებარებიან იმავე კანონებსა და წესებს, რასაც ექვემდებარება საერთოდ განვითარება. ფიზიკური განვითარება ჩვენ მიგვაჩინა მთლიანი ორგანიზმის განვითარების განუყოფელ ნაწილად. ჩვენ აღვნიშნავთ ფიზიკური განვითარების უდიდეს როლს მთლიანი განვითარებისათვის. **ფიზ. განვითარების წარმომშობი ფაქტორების** შესახებ ჩვენ აღვნიშნავთ გარემო წრის გარდამწყვეტ ზეგავლენას, რაც იმდენად ნათელია, რომ შლესინგერის თქმით, ზრდა-წონის მდგომარეობის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომელ სოციალურ კლასს ეკუთვნის ბავშვი. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ზრდა-წონის პროცესები გვიხატავენ იმავე კანონზომიერებებს, რომელნიც ახასიათებენ საერთოდ განვითარებას. ასეთებია: ტემპი, რითმი, დისპროპორციულობა, მეტამარფოზი. ყოველივე ეს წარმოდგენილია დიალექტიკური განვითარების ხაზებში.

#### IV

### ბავშვის მოტორული განვითარება

მოტორულ განვითარებას ჩვენ ვაკუთვნებთ ადამიანის მოძრაობა-მოქმედების მთელ ჯამს მათი გარეგნული გამოხატულებისა და თავისებურების თვალსაზრისით. ამიტომ ამ საკითხს განვიხილავთ ცენტრ. ნერვულ სისტემასთან დაკავშირებით. ადამიანის ცხოვრებაში მოტორიკას აქვს განვითარების გარკვეული გზა და ფორმები, დაწყებული ანტენატალურ მოძრაობებით დედის საშოში და გათავებული ნებიითი პოზით და მოქმედებებით. მოტორიკა წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის პირველ თვალსაჩინო გარეგნულ გამოხატულებას. ბავშვის ცხოვრებაში მას უკავია დომინიური ადგილი. ყოველივე ეს მოტორულ განვითარებას ჰქმნის პედოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად.

„მოძრაობა ბავშვის ორგანიზმის პირველი რეაქციაა გარეშე გაღიზიანებაზე“ (კურტენევი); ეს არის „ცხოვრების პირველი გამომჟღავნება“; „აქედან, როგორც თესლიდან, მთელი სირთულით გამომდინარეობს ადამიანის ყოფაქცევის მრავალფეროვანება“ (ბასოვი); „მოძრაობის გარეშე არ არსებობს რეაქცია“ (ზაგოროვსკი); „ბავშვი მოძრაობითი აპარატია“, ამბობს მიუნსტერბერგი; „ბავშვი არა თუ მოძრაობს, მოქმედებს კიდევ“, განპარტავს არკინი და დასძენს: „ქეშმარიტად, მოძრაობა ბავშვის ბუნებრივი სტიქიაა“. „მოძრაობათა რიცხვი ბავშვობაში და მათი განმეორების სიხშირე, ვარიაციები და კომბინაციები განსაკვიფრებელია“, — ამბობს სტენლ ხოლი.

ექიმ იდებერჰერს მოჰყავს წერილობითი მასალა თავისი 11 თვის ვაჟის მოძრაობის შესახებ. ნახევარი საათის განმავლობაში ბავშვმა აწარმოვა 70 სხვადასხვა ხასიათის მოძრაობა-მოქმედება ხელით, ფეხით, ტანით, ენით, თავით, მთელი სხეულით და სხვ., როგორც სპონტანურად ისე რეაქტიულად (არკინიდან). ასეთი მოძრაობა პირველ წელს თითქოს სრულიად არ ღალავს ბავშვს. შინი გადმოგვცემს, რომ მისმა ერთი წლის ბავშვმა ფორთხვით გაიარა ზევით და ქვევით კიბის 160 საფეხური. როგორც არკინი აღნიშნავს, მისი ორი წლის ქალიშვილის სიარული რომ შევაჯამოთ, გამოვა არა ნაკლებ 20 კილომეტრისა დღეში. ბავშვის დაუღლელობის ახსნა მისი აზრით, ჩვენ უნდა ვეძებოთ ბავშვის ემოციურ განწყობაში, მოძრაობებისადმი ინტერესში, რაც თამაშის სახით გამოიხატება. თუ ბავშვი ვერ პოვებს ამ ინტერესს, იგი მალე იღლება. არკინი გადმოგვცემს, რომ მისი ბავშვი (2,5 წ.) თავისუფლად დადიოდა ნახევარი საათის განმავლობაში, თუ ეს სიარული მასში იწვევდა ინტერესს თუ არა, იგი უკვე 5 - 10 წამის შემდეგ აყვანას თხოულობდა.

„მოზრდილი აზროვნობს ტვინით, ბავშვი კუნთებით“, — ამბობს ოში. „კუნთებით ბავშვი არა თუ აზროვნობს, არამედ გრძნობს კიდევ“, — დასძენს არკინი. ცხოველთა ევოლუციაში აღინიშნება მოტორული განვითარება

რების კავშირი ინტელექტუალურ განვითარებასთან. მაკ-დაუგოლის თქმით „ხელის სპეციალიზაციამ განასხვავა ჩვეულებრივი და ანთროპოიდული მაიმუნების ბედი“. გეხელის აზრით, ნერვიული სისტემა მთლიანი კუნთოვან-ნერვიული სისტემის ნაწილია და მისი ევოლუციური გართულება უშუალოდ დაკავშირებულია კუნთების განვითარებასთან. ამასვე ადასტურებს მოსო: ცხოველი მით უფრო ინტელექტუალურია, რაც უფრო მეტად აქვს მას მოქნილი ესა თუ ის კიდური. მაგალითი: თუთიყუში (ნისკარტი, ენა), სპილო (ხორთუმი), „ჭკუის გამჭრიახობა და გამძლეობა თითქმის მხოლოდ კუნთების კეთილთვისებებია“, — ამბობს სტ. ხოლი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანდაყოლილ ჭკუის სისუსტეს, ოლიგოფრენიებს თან სდევს მოტორული განვითარების ჩამორჩენილობა სრულ შეჩერებამდე (ე. წ. „მოტორული ინფანტილიზმი“, „მოტორული იდიოტია“). მოტორიულ განვითარებას გავლენა აქვს არა განსაკუთრებულ რაიმე ცალკე ფუნქციაზე, არამედ ბავშვის მთელ ფსიქო-ფიზიოლოგიურ აპარატზე, მთელ მის პიროვნებაზე, ყოფა-ქცევაზე. აქედან ცხადია ყველა იმ ღონისძიების მნიშვნელობა, რომელიც მიმართულია მოტორული განვითარების სწორი დაყენებისაკენ. **ფიზკულტურა, კინეზოთერაპია** ეწოდება ამ ღონისძიებებს. ფიზკულტურულმა ღონისძიებებმა უნდა აღმოფხვრან დღეს ფართოდ გავრცელებული მოტორული შეკავებანი, რომელნიც, ერთის მხრით, ბორკილს ადებენ პიროვნების სრულ განვითარებას, ხოლო მეორეს მხრით აფერხებენ მასში არსებულ შესაძლებლობათა გამოძეგვას. კინეზოთერაპიამ უნდა მოაწესრიგოს მოტორიკის პათოლოგიური გადახვევანი, როგორც ჰიპო, ისე ჰიპერკინეზების სახით. მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს მან საერთოდ პათოლოგიური და შეცვლილი პიროვნების მთლიან გამოსწორებაში („ძნელი ბავშვები“, ნევროტიკები). საექიმო პრაქტიკაში კინეზოთერაპიას უკვე მოპოებული აქვს ეს ადგილი. საქათა კავშირის მრავალ ცენტრში და სხვათა შორის ტფილისშიაც (ქალაქის ფ.-ნევროლოგიური ინსტიტუტი, ტუბერკულოზის ინსტიტუტი, ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტი და სხ.) სამკურნალო ფიზკულტურა უკვე მოქცეულია სხვა საექიმო ღონისძიებათა რიგებში.

ბავშვის მოძრაობათა მთელი ჯამი იყოფა ორ დიდ ჯგუფად: შეგნებულ და რეფლექტორულ ინსტიქტიურ ჯგუფებად. პირველ ჯგუფს ეწოდება კიდევ „ახალი მოძრაობანი“, მეორე ჯგუფს „უძველესი მოძრაობანი“. პირველი დამოკიდებულია ონტოგენეტურ განვითარებაზე და წარმგვიდგება ცდებისა და გამოცდილების ნაყოფად, ე. წ. პირობითი რეფლექსების განვითარების წესით. მეორე მოცემულია ძველი ბიოლოგიური მექანიზმების ნიადაგზე და ატარებს არაპირობითი რეფლექსების ხასიათს. ამ ჯგუფს ჩვენ ვყოფთ შემდეგ ქვეჯგუფებად: მარტივი რეფლექსები, ორგანიზმის უშუალო პასუხი გარემო წრის მარტივ გაღიზიანებაზე (ტკივილი, ტემპერატურა, ბგერითი, მექანიკური და სხვ); ეს მოძრაობანი ექვემდებარება ზურგის ტვინის ინერვაციას და გამგებლობას (გუგის რეაქცია სი-

ნათლებე, დახვედება და სხვ.). რთული კოორდინაციული რეფლექტორული და ინსტიქტური მოძრაობანი, რთული მოძრაობანი: სტატიკური და დინამური წონასწორობა, სიარული, ბუდის შენება, ნადირობა და სხვ. ყველა ეს მოძრაობა-მოქმედება არის რთული, მიზანშეზომილი; მხოლოდ არა მიზნობრივი მოქმედება ექვემდებარება შუა ტვინს, უმთავრესად ქერქქვეშა კვანძებს (ნათხემი — **სტატიური** წონასწორობა — კოორდინაცია სივრცეში, სტრიალური სისტემა — კოორდინაცია დროში). ცალკე აღსანიშნავია ე. წ. ავტომატიური მოძრაობანი. ერთი ჯგუფი: სუნთქვა, გულისცემა, კუჭ-ნაწლავის მუშაობა და სხვ. მათ განაგებს უმთავრესად მოგრობ ტვინი. მეორე ჯგუფი: ყოფილი ნებითი მოძრაობანი, ვარჯიშობის ნიადაგზე ავტომატიურად გარდაქმნილი.

ცალკე გამოსაყოფია აგრეთვე ე. წ. იმპულსური მოძრაობანი, მაგ., ზავშვის ხელ-ფეხის მოძრაობა (ატეტოზური) და სხვ., რომელიც წარმოადგენს არა ვარემო ვალიზიანებაზე მოცემულ რეაქციას, არამედ სპონტანურ, ენდოგენურ, შიგნითი ვალიზიანებით გამოწვეულ მოძრაობას. მათ ცენტრს pallidum-ში ხედავენ.

ყველა ეს სხვადასხვა სირთულისა და საფეხურის მოძრაობა ვითარდება თანდათან ზავშვის ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ განვითარებასთან ერთად, ვარემო წრესთან ურთიერთ დამოკიდებულებაში, ერთი მთლიანი აპარატის — ფრონტო-სტრიოცერებელარული სისტემის ნიადაგზე. როგორ ვითარდება თვით ეს სისტემა, რომელიც წარმოადგენილია როგორც ზავშვის აქტიობის ბიოლოგიური მექანიზმები?

**ზავშვის აქტიობის ბიოლოგიური მექანიზმები, ბიოლოგიური და სოციოლოგიური ურთი-ერთ დამოკიდებულების პირობები თანდათან რთულდებოდა.** ამჟამად ჩვენ გვაქვს როგორც ადამიანის ბიოლოგიური ორგანიზაციის, ისე მისი სოციალური ვარემო წრის განსაკუთრებული სირთულე. ეს აუცილებლად ქმნიდა ამ ორ ურთი-ერთ ზეგავლენაში მყოფ ელემენტის რეგულაციას. ადამიანის ფილოგენეტური განვითარების ერთ-ერთ საფეხურზე აღმოცენდა ასეთი სპეციალური აპარატი. დღევანდელი ვაგებით ასეთი აპარატი შედგება სამი ცალკეული ელემენტისაგან, რომელნიც თავიანთ მოქმედებაში წარმოადგენენ მთლიან ფუნქციონალურ ერთეულს. ესენია: 1. ცენტრალური ნერვიული სისტემა; 2. მისი ავტონომიური ნაწილი — ვეგეტატიური ნერვ. სისტემა; 3. ენდოკრინული სისტემა. ამ მთლიან სამეულს ზოგი ავტორი (ბაუერი, კაზაკოვი და სხ.) უმატებს კიდევ მთელი ორგანიზმის ყველა უჯრედის ენდოკრინულ-ბიოქიმიურ მოქმედებას. სარეგულაციო აპარატის ცალკეული ელემენტები იმყოფებიან მუდმივ ორგანიზულ და ფუნქციონალურ ურთი-ერთ კავშირში. მათი ფუნქციონალური დამოკიდებულება გამოიხატება ურთი-ერთზე ზეგავლენაში. მხოლოდ ამ სამი ელემენტის მოქმედებაში აღინიშნება ცენტ. ნერვ. სისტემის გარკვეული პრიმატი. ის არის მართლაც „ცენტრალური და უმაღლესი; ის ანხორ-

ციელებს ადამიანის ორგანიზმის რთული ნაწილებისა და მრავალრიცხოვანი ფუნქციების მთლიანობას. ის არის აგრეთვე ორგანიზმის გარემოს წრესთან დამაკავშირებელი „წარმომადგენელი“ და ურთიერთ ზეგავლენის პროცესების ხელმძღვანელი.

ეს არის პირველი და მთავარი ამოცანა სარეგულაცია აპარატისა.

მეორეა თვით ორგანიზმის ფიზიოლოგიური რეგულაცია. ამ ფუნქციას ასრულებს ვეგეტატ. ნერვ. სისტემა. ორივე ეს ფუნქცია და მათი აღმასრულებელი სისტემები იმყოფებიან, როგორც აღვნიშნეთ, ურთიერთ ზეგავლენაში და ამ გზით ანხორციელებენ ისინი ორგანიზმის მოქმედების მთლიანობას. ვეგეტატიური ნერვიული სისტემა მონაწილეობას იღებს გარემო წრესთან კავშირში, ხოლო ცერებრო-სპინალური ნერვიული სისტემა ზეგავლენას ახდენს ორგანიზმის ფიზიოლოგიურ პროცესებზე. ფილოგენეტური განვითარების ხაზზე წარმოშობილ ფუნქციებს კავშირი აქვს, სათანადო განვითარებულ ცენტ. ნერვ. სისტემის სხვადასხვა ნაწილებთან უმარტივეს სახეებიდან დაწყებული ურთულეს ფორმებამდე.

ასე, **ზურგის ტვინის** ფუნქციას წარმოადგენს მარტივი რეფლექსი, იგივე ასრულებს ნერვ. პროცესების გამტარებლის როლს. **მოგრძოტვინი** აწესრიგებს, გარდა მარტივი რეფლექსებისა, რთულ კორდინაციულ რეფლექსებს, ინსტიქტებს. მასში იმყოფება სუნთქვის, კვების, სისხლის მიმოქცევის და სხვა ამგვარი ცენტრები. ნათხემის მთავარი დანიშნულებაა ორგანიზმის წონასწორობისა და, საერთოდ, კორდინაციული მოძრაობის რეგულაცია. ქერქ-ქვეშა კვანძები რთული კორდინაციული რეფლექსებისა და ინსტიქტიური ცხოვრება-მოქმედების მთავარი რეგულატორია. და, ბოლოს, თავის ტვინის ჰემისფეროები, თავის ქერქის სახით, არიან უმაღლესი, ცნობიერებითი ფსიქიური მოქმედების წარმომადგენელი და მთავარი ხელმძღვანელი როგორც ც. ნ. სისტემის ყველა ნაწილის მოქმედების, ისე გარემო წრესთან დამოკიდებულებისა. ქერქის ფუნქციაა გარეშე გალიზიანების მიღება-გადაამუშავება და გარემოში მათი პროექცია ე. ი. ყოველივე ის, რაც შედის ადამიანის უმაღლეს პროცესებში და რასაც „უმაღლესი ნერვიული მოქმედება“ ეწოდება.

ცენტ. ნერვიული სისტემა და მისი ფუნქციები ვითარდება თანდათან გართულების სახით ცხოველთა ფილოგენეტური განვითარების გრძელ ისტორიულ გზაზე გარემო წრის გამაფორმებელი ზეგავლენის პროცესებში. იმისდა მიხედვით თუ რა სირთულეს წარმოადგენს მომქმედი ორგანიზმი, ერთის მხრით, და გარემო წრე — მეორე მხრით, განისაზღვრება ცენტ. ნერვიული სისტემის ორგანიზაცია.

**ცენტრ. ნერვიული სისტემის ემბრიოგენეზი.** ცენტრ. ნ. სისტემა წარმოსდგება **ექტოდერმისაგან**, რომლიდანაც 9 თვის განმავლობაში თანდათან ვითარდება ზურგის ტვინი, მოგრძო ტვინი, ვაროლის ხიდი, ქერქ ქვეშა კვანძები და შემდეგ ქერქი. ქერქის მთავარი ხეულები აღვნიშნება ჩანასახს 3-5 თვეზე. ქერქისა და ქერქ ქვეშა კვანძების განვითარება



ანტენატალურ პერიოდში არ მთავრდება. ამიტომ არის, რომ ბავშვი იბადება როგორც „ვეგეტატიური არსება“ (მირზოვი), როგორც რეგულატორულ-ავტომატიური ორგანიზმი. მას მომწიფებული აქვს ცენტ. ნერვიული სისტემის მხოლოდ ის ნაწილები, რომელნიც განაგებენ წმინდა ფიზიოლოგიურ ფუნქციებს: სუნთქვას, სისხლის მიმოქცევას, მარტივ რეფლექსებს (ზურგის ტვინი — 4 თვეზე, მოგრძო, ვეგეტატიური ნერვიული სისტემის უფრო რთული მოძრაობისა და კარდინაციული რეფლექსების (სიარული) ორგანოები (ქერქ-ქვეშა კვანძები), მით უმეტეს უმაღლესი ნერვ. მოქმედების ორგანო (ქერქი) ვითარდება და მთავრდება დაბადების შემდეგ. აქაც აღინიშნება ბავშვის, ცხოველთან შედარებით, მოუშხადებლობა ცხოვრებისათვის. ცხოველის ტვინი საერთოდ მთავრდება ანტენატალურ პერიოდში, ადამიანისა კი ბავშვობაში. ამ მოვლენას ცენტ. ნერვ. სისტემის მიმართაც ისეთივე აზრი და მნიშვნელობა აქვს, როგორც სხვა ფუნქციების მიმართ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მეტად ვითარდება თავის ტვინი, ვიდრე ორგანიზმის სხვა ელემენტები. ბავშვის ტვინი უდრის მოზრდილის ტვინის ერთ მეოთხედს იმ დროს, როცა ბავშვის წონა უდრის ერთ მეოცედს. ბავშვისა და მოზრდილის თავის ტვინის უჯრედების რიცხვი თანაბარია; მიკროსკოპიულად ბავშვისა და მოზრდილის თავის ტვინი თითქმის ასევე თანაბარია. **მაგრამ საკითხს სწევებს არა რაოდენობითი, არამედ თვისობრივი სტრუქტურული შედარება.** ამ მხრით, არკინის სიტყვით, ბავშვის ტვინი არა მარტო დაბადებისას, არამედ პირველი წლების განმავლობაშიაც მხოლოდ „შავად“ დამთავრებულ შენობას წარმოადგენს. დაბადების შემდეგ ფუნქციონალურად ვითარდება ნერვ. სისტემის სხვადასხვა ელემენტი: უჯრედი, ხვეული და სხვ. კერძოდ მხოლოდ დაბადების შემდეგ იმოსება მიეღინით თავის ქალიდან მომდინარე ნერვიული ბოჭკო. ზურგის ტვინის ნერვები დაბადებიდანვე მიეღინურ გარსებშია, ვეგეტატიური ნერვ. სისტემის უმეტესი ნაწილი შემდეგაც უმიეღინოდ რჩება (ფლექსიგი).

თავის ქერქის სხვადასხვა ნაწილები თავის განვითარებაში ზევით გაცნობილ დისპროპორციულობას წარმოგვიდგენენ. უმაღ ვითარდება ქერქის ის ნაწილები, რომლებიც დაკავშირებულია ინსტიქტურ და სენსომოტორულ რეაქციებთან. თავის ტვინის შუბლის ნაწილი მწიფდება ყველაზე გვიან. ახლად დაბადებულის მოძრაობა ექვემდებარება ჯერ ზურგისა და მოგრძო ტვინის, მერე ნათხემის (სტატიკური წონასწორობა), შემდეგ ქერქ ქვეშა კვანძების (სინერგია, სიარული, დინამური კოორდინაცია) და, ბოლოს მხოლოდ ქერქის (ნებითი მოძრაობა) რეგულიაციას. ეს განვითარება მიმდინარეობს ფრიად ჩქარი ტემპით. **თავის ტვინის წონა:** ვოლპინის მიხედვით ახლად დაბადებულის — 389,0 გრ. 6-თვის — 632 გრ. ერთი წლისა — 925 გრ. 5 წლისა — 1138გრ. ათი წლისა — 1362 გრ. 15 წლისა — 1460 გრ. თავისი ქიმიური შემადგენლობით ბავშვის ტვინი

მოზრდილისას უთანაბრდება 16 თვეზე (შკარინით). ინტერ. კორტიკულარული სისტემების დეტალური დამთავრება ხდება 2.5 წელზე (მაშტაკოვის მიხედვით). გენეტიკური რეფლექსოლოგიების დაკვირვებით (ბუხტერევი, შხელოვანოვი), თავის ქერქის ფუნქციების ამუშავება ხდება უკვე სიცოცხლის პირველ ორ თვეზე (ლიმილი). ქერქ-ქვეშა კვანძების ამუშავება ამავე დროს იწყება და საერთოდ კვანძები მზად არის 5-6 თვეზე. თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილის მნიშვნელობის ილუსტრაციას იძლევიან მახინჯი ბავშვები, უქერქოდ დაბადებულნი, ე. წ. **ანეცეფალაზი**. ცნობილია რამდენიმე ასეთი შემთხვევა: მათ შორის ყველაზე დიდხანს (4-წელს) იცოცხლა ედინგერისა და ფიშერის მიერ აწერილმა ანეცეფალმა. მახინჯი წარმოადგენდა მხოლოდ ვეგეტატიურ არსებას და ფსიქიკის არავითარი ჩანასახი მას არ ემჩნეოდა.

ასეთია თავის ტვინის მნიშვნელობის ექსპერიმენტალური დამოწმება ცხოვრების მიერ. ასეთივე „ცდები“ გვხვდება თავის შემთხვევითი ქრილობების დროს. ცხოველებზე კი აწარმოებენ ხელოვნურ ოპერატიულ ექსპერიმენტებს.

ზემოთ აღნიშნული გზებით ხორციელდება ადამიანის ცენტ. ნერვ. სისტემის და მისი ფუნქციების განვითარება გარემო წრესთან ურთიერთობის პროცესებში. ამ ურთიერთობის მთავარ შინა-ორგანიზატორს წარმოადგენს თვით ცენტ. ნერვ. სისტემა, როგორც გარემო შთაბეჭდილებაზე პასუხისმგებელი წარმომადგენელი. ამ როლს ასრულებენ ცერებროსპინალური და ვეგეტატიური ნერვ. სისტემის თავიანთ მოქმედებაში მთლიანი მორფოლოგიური და ფუნქციონალური ერთეულის სახით.

თანახმად ზემო აღნიშნულისა, ბავშვის ყოველი მოძრაობისა და მოქმედების ცალკეულ სახეს აქვს განვითარების გარკვეული გზა და თანმიმდევრობა. ეს კანონი განსაზღვრება იმავე საარსებო მოთხოვნილებით. ადამიანისათვის ეს უმთავრესად გამოიხატება გარემო წრის დაუფლებით შრომის პროცესში (თამაშიც—ბავშვის შრომის სახეა). ბავშვი ჯერ სწავლობს თავისი მოძრაობის დაუფლებას: თავის დაკავებას (3 თვეზე), ჯდომას (6 თვეზე), დგომას (9—თვეზე), სიარულს (12—თვეზე), **შემდეგ იკითხუვლება ახლი გარემოს, არეს**. აღინიშნება მაგალითად: სიარულის განვითარების ცალკეული საფეხურები, სივრცის დაუფლების პროცესში. რაიმე საგნის ასაღებად ბავშვი იწყებს ხოხვას „ოთხით“, მერე საგნის დაუფლებას ცდილობს ჯდომით, შემდეგ ადგომილი ხელების დახმარებით, შემდეგ — ნორმალური სიარულით, ბოლოს სირბილით. ამ მექანიზმის სრული განვითარებით იგი მზადს უკვე ფართო არეს დაუფლებამდე. ამგვარად, არა დიფერენციალური, სინერგიული და ამაზე უფრო ნაადრევი იმპულსური მოქმედება — მოძრაობა ბავშვის განვითარებაში იცვლება მოზარდის მიზნობრივ — დიფერენციალურ მოძრაობად. ამ განვითარების გზაზე ყოველ ცალკეულ ასაკს ახასიათებს მოტორიკის სპეციფიური თავისებურება, რომელიც უფრო მეტად დასუსტებულია სქე-

სობრივი ხაზებით. ცნობილია, მაგალითად: სკოლის წინარე ასაკის ბავშვების გრაციული მოტორიკა და მოზარდის მოუქნელობა. პირველს ხსნიან ცენტ. ნერვ. სარეგულაციო აპარატისა და პერიფერიული მოტორიული აპარატის სხვა კომპონენტების (ჩონჩხი, კუნთები) ჰარმონიული განვითარებით. ხოლო მეორეს — მათი დისპროპორციით და ამით გამოწვეული დისჰარმონიით.

მოტორული განვითარების აპარატი შედგება სამი კომპონენტისაგან ესენია: 1) ცენტრალური ნერვიული სისტემა; 2) ჩონჩხი; 3) კუნთების სისტემა. პირველი გამგეა, რეგულატორი, ორგანიზმის წარმომადგენელი გარემოს წინაშე. ორი დანარჩენი — სამუშაო ორგანო. ერთის მხრით, ამ სამ ერთიანი აპარატის მდგომარეობა, ხოლო მეორეს მხრით გარეშე წრის ზეგავლენა გვაძლევს მოტორიკის ამა თუ იმ სხვაობისა და განვითარების საფეხურს. პედოლოგიური თვალსაზრისით საჭიროა ანგარიში გაეწიოს აღნიშნული მექანიზმების ანატომიურ-ფიზიოლოგიური განვითარების სტადიებს, რათა ამას შეუფარდოთ ჩვენი პრაქტიკული აღმზრდელობითი ღონისძიებანი. ამას გვასწავლის სხვათა შორის ფიზკულტურაც ცნობილია, რომ ზედა კიდურები უჯრო ადრე ვითარდება ვიდრე ქვედა; ამისათვის საჭიროა მოძრაობითი თამაშობით ვარჯიშობა; მსხვილი კუნთები უმალ ვითარდება, ვიდრე წვრილი. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს თამაშისა და შრომის პროცესებში. არ უნდა მოვთხოვოთ ბავშვს წვრილად წერა — ან წვრილი ხელსაქნარი და სხ. უნდა მივაწოდოთ მას სათანადო ზომის და სიმსუბუქის სათამაშოები და სხ. დასასრულ უნდა გვახსოვდეს მთლიანობა და ურთიერთ ზეგავლენა, რომელიც არსებობს მოტორული განვითარების ტვინის და საერთოდ ცენტ. ნერვ. სისტემის განვითარებას შორის.

საბოლოოდ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ბავშვის მოტორიკის განვითარება. ცენტრალური ნერვიული სისტემა, მისი ანატომიური სტრუქტურა არის ის საძირკველი, რომელსაც ეყრდნობა ბავშვის მოტორული სფერო, მაგრამ, როგორც მოტორიკის, ისე ცენტრალური ნერვიული სისტემის განვითარება ერთ მთლიან სინამდვილეს წარმოადგენს.

ამიტომ წარმოუდგენელია ცენტრალური ნერვიული სისტემისა და მისი უშუალო გამოსახულების — მოტორიკის განვითარება გარემო პირობებთან უშუალო დინამიური ურთიერთობის გარეშე.

ეს გარემოება გვაძლევს, რომ ამ შემთხვევაში ვიხელმძღვანელოთ აქტორთა მთლიანობის პრინციპით.

ადამიანის პიროვნების ურთულესი მხარე — ფსიქიური პროცესებში შეადგენს განსაკუთრებული მეცნიერების — ფსიქოლოგიის საგანს, რომელიც აშუქებს ფსიქიური ცხოვრების ყველა მოვლენას. მის დებულებებს ემყარება პედოლოგია თავის მუშაობასა და მეცნიერულ კვლევაში, თუმცა მას საგნისადმი მიდგომაში დამოუკიდებლობა და თავისებურობა ახასიათებს. ეს თავისებურობა უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ პედოლოგია ფსიქოლოგიურ პროცესებს განიხილავს ფსიქიზმების ასაკობრივი გაერთიანების სახით. ამის საილუსტრაციოდ პროფ. ვიგოტსკის მოპყავს მესხიერების ფუნქციის ფსიქოლოგიური და პედოლოგიური განხილვა. თუ ჩვენ მესხიერებას ავიღებთ ამა თუ იმ საფეხურზე და დავასისტემებთ მას იმავე მესხიერების წინა ან მომყოლ ასაკების განვითარების კრილში — ეს იქნება საკითხის ფსიქოლოგიური გადაწყვეტა. თუ იმავე საფეხურის მესხიერებას დაუკავშირებთ არა მარტო მესხიერებას, არამედ ბავშვის იმავე ასაკის სხვა ფსიქიურ ფუნქციებს (ყურადღებას, ემოციებს და სხ.) და გამოვიყვანთ ბავშვის მთლიანი განვითარების ერთიან სახეს — ეს იქნება საკითხის პედოლოგიური გადაწყვეტა; **მთლიანობის პრინციპი, როგორც ზემოთ არა ერთხელ აღვვინამხავს, არის პედოლოგიის ძირითადი პრინციპი.** მთლიანად გვეხატება სხვადასხვა ფსიქიური ფუნქციები, თვით ფსიქიკა, პიროვნების სხვა ნაწილთან და უპირველესად ყოვლისა „ფიზიკასთან“ დაკავშირებით.

**ფსიქიური და ფიზიკური პროცესების ურთიერთ დამოკიდებულების** საკითხი ბიოლოგიის უდიდესი ამოცანაა, რომელიც ისტორიულად ჰყოფს მეცნიერთ მრავალ ბანაკად და მიმართულებად. ჩვენ ზევით შევხებით იდეალისტურ მოძღვრებას, რომელიც ყველა თავისი განშტოების სახით წარმოადგენს პირველად სავაჭრო (რაციონალური ფსიქოლოგია), ხოლო შემდეგ საწარმოო ბურჟუაზიის (ემპირიული ფსიქოლოგია) იდეოლოგიურ ზედნაშენს, **შევხებით აგრეთვე მექანიკურ-მატერიალისტურ** თვალსაზრისს, რაიც წარმოადგენს უკიდურეს გატაცებას ბუნების მეტყველებით ფსიქიზმების მნიშვნელობის შეუფასებლად. ეს მოძღვრებანი არ გვაკმაყოფილებს. არა „უსხეულო სული“ (იდეალიზმი), რაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მეფობდა ძველ ფსიქოლოგიაში (ბიქვეიორისტები, რეფლესოლოგები), არამედ ცოცხალი ადამიანი, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის „სულიც და ხორციც“, შეადგენს მარქსისტული ფსიქოლოგიისა და პედოლოგიის საგანს (ზალკინდი). ძველი ფსიქოლოგიის ფსიქიკის ცალკეული და უმოძრაო სტატიური ფუნქციები უარყოფილია მარქსისტული ფსიქოლოგიისა და პედოლოგიის მიერ. მის მაგიერ ცნობილია მთლიანი პიროვნება, მთლიანი ფსიქიზმი, მთლიანი ფუნქციები, რომელთაც იგი იხილავს არა ხელოვნურ გაციებულ ლაბორატორიულ პირობებში, არამედ

ცხოვრების აქტიურ დინამიურ გამოხატულობაში. თანამედროვე ფსიქოლოგიის პრობლემას შეადგენს არა საკითხები: რას აღვიქვამთ, ვაზროვნობთ, როგორ ვგრძნობთ, როგორ ვმოქმედობთ (ე. ოსიპოვი), არა ფსიქიზმის უარყოფა ან სხეულთან მისი დაპირისპირება, არამედ სულისა და მატერიის მთლიანობა (მატერიის პირველყოფილობით) გვაძლევს ჩვენ საკითხის სწორ გადაწყვეტას. „აზრი და მატერია სინამდვილეა, ე. ი. არსებობენ“ (ლენინი), სამყარო მატერიალურია. ყველა მისი მოვლენა და საგანი შეერთებულია ერთმანეთზე მომქმედ მთლიან ერთეულში. იგი იმყოფება მუდმივ დინამიურ პროცესში, მუდმივ განვითარებაში.

ამ განვითარების ერთ-ერთ საფეხურზე აღმოცენდა **ფსიქიკა**, როგორც ცხოველების ტვინის თვისება, და ცნობიერება, როგორც მხოლოდ **ადამიანის ფსიქიკის** თვისება.

ამგვარად, ფსიქიური პროცესები უნდა განვიხილოთ **ფიზიოლოგიურ პროცესებთან** ერთად, როგორც თავისებური, მაგრამ იმავე მატერიის (ადამიანის ორგანიზმისა და მისი ნერვული სისტემის) მოვლენები. ფსიქიური და ფიზიკური პროცესები არ მიმდინარეობენ პარალელურად, როგორც ამას აღიარებენ იდეალისტური, მექანიკური, დუალისტური მოძღვრებები. ისინი წარმოადგენენ ერთსა და იმავე პროცესს, რომლის **გარეგნული გამოხატულებაც არის ფიზიოლოგია ხოლო შინაგანი, სუბიექტიური განსახიერება — ფსიქიკა**. ფსიქიკა წარმოადგენს მოძრაობაში მყოფ მატერიის თვისებას. „შეგრძნება უნდა მივიჩნიოთ, როგორც მოძრაობაში მყოფი მატერიის ერთ-ერთი თვისება“, ამბობს ლენინი.

**ცნობიერება**. როგორც აღვნიშნეთ ცნობიერება **მხოლოდ ადამიანის** ფსიქიკის თვისებაა. ცნობიერება აღმოცენდა ადამიანის გარემო წრესთან ურთიერთ ზეგავლენის საფუძველზე შრომითი პროცესებში. აქ ჩვენ ვხედავთ დიალექტიკის კანონს — წინააღმდეგობათა მთლიანობას: ადამიანის განვითარების უდიდესი ფაქტორი ცნობიერება — აღმოცენებულია როგორც ადამიანის განვითარება გარემო წრის ზეგავლენის პროცესში („შეიცვალა თვით“); ამავე დროს ცნობიერება არის ადამიანის ის უმძლავრესი იარაღი, რომლითაც იგი ზეგავლენას ახდენს გარემოზე („სცვლის გარემო წრეს“). ცნობიერება ფსიქიკის აქტიური სახეობაა. „ცნობიერება არა მარტო განასახიერებს ობიექტიურ ქვეყანას, იგი კიდევაც ჰქმნის მას“ (ლენინი).

რა არის ცნობიერება? ზოგი სრულიად უარყოფს მის განმარტებას, სთვლის-რა ამას მიუწოდებლად დღევანდელი მეცნიერებისათვის. **ჰუნდტი** აცხადებს, რომ შეუძლებელია ცნობიერების შესწავლა. ის არ შეიძლება გახდეს ცდის საგნად, რადგან თვით არის ცდის მუდმივი ელემენტი. გვერდს უხვევენ ცნობიერებას ისევე, როგორც ფსიქიკას ბიქვევიორისტები. ფიზიოლოგიურ აქტებამდე დაჰყავთ იგი ისევე, როგორც მთელი ფსიქიკა რეფლექსოლოგებს: „ცნობიერება არის ტვინის ოპტიმალურად მომქმედი ნა-



წილი“ (პავლოვი). „ცნობიერება არის ერთი რამ“, რაიც არ შეიძლება განმარტებულ იქნას; ფსიქიზმების ერთგვარი „ხარისხი“, რომელიც ჩვენ გვანსხვავებს ავტომატისაგან“, — ამბობს ბლელიერი. ცნობიერება არის ფსიქიკაში ერთდროულად არსებულ ან მოქმედ წარმოდგენათა ჯამი“, — ამბობს ჰერბარტი. „ცნობიერება ამოცანაა, რომელსაც ჩვენ ვერ განვმარტავთ, თუმცა კი გვაქვს წარმოდგენა“, — ამბობს სერბსკი.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებანი დიდის სიძნელით, სიფრთხილით და უარყოფით ეკიდებიან ცნობიერების პრობლემას. მეორეს მხრით, შეგვიძლია მოვიყვანოთ ისეთი მიმართულება, რომელიც ამავე საკითხს უალრესი სიმსუბუქით ეკიდება. გავიხსენოთ ნატეიზმის იდეოლოგიური შეხედულებანი ცნობიერებაზე, რომლის მიხედვითაც ემბრიონში, ობიექტიურად კი ბავშვის პირველ ყვირილში, უკვე გვაქვს არა თუ ცხოვრების გარკვევა, არამედ ცხოვრების შეფასებაც. ამგვარად, ერთის მხრით „ემბრიონის ცნობიერება“, მეორეს მხრით „განუმარტავი ამოცანა“, — ეს არის უკიდურესობანი ცნობიერების საკითხში.

მარქსისტული ფსიქოლოგია აქაც დიალექტიკურ სინთეზს იძლევა. „ჩემი განწყობილება ჩემ გარემოსადმი არის ჩემი ცნობიერება“, — ამბობს მარქსი. ეს არის ცნობიერების ცნების რეალური გაგება და განმარტება. ამ გაგებით ცნობიერება არის **გარემოში გარკვეული და მიზნობრივ, ამორჩევითი მოქმედების უნარი, შრომის პროცესებში განვითარებული.** ეს უნარი არის საფუძველი ადამიანის გარემო წრეზე აქტიური, გეგმიანი, მიზნობრივი და წინასწარ განზრახული ზეგავლენისა. ეს უნარი მარქსის თქმით უპირატესობას ანიჭებს უტუდეს არქიტექტორს საუკეთესო ფუტკართან შედარებით ვინაიდან ამ უკანასკნელის თუნდაც განსაცვიფრებელი ოსტატური მიღწევები მხოლოდ ავტომატიურია, ხოლო პირველის თუნდაც მდარე შრომა მიზნობრივად მიმართულია გარემოს შეცვლისაკენ ადამიანისათვის სამსახურის გასაწევად. ასეთი მოქმედება კი აუცილებლად გულისხმობს მიზნობრივი დამოკიდებულების შეგნებას. ამის უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს, ამიტომ ცნობიერება მხოლოდ მისი ფსიქიკის თვისებას შეადგენს.

**ფსიქიური პროცესების ანატომიურ-ფიზიოლოგიური სუბსტრატის.** პიროვნების მოქმედება — მთლიანია. ფსიქიური პროცესი ორგანიზმის მთლიანი მოქმედების განუყრელი ნაწილია და მთელი მისი სისტემების მუშაობის შედეგი. მიუხედავად ამისა, ორგანიზმის ყოველ ცალკეულ პროცესს აქვს თავისი სპეციფიური აპარატი, თავისი დიფერენციალური სისტემა. ფსიქიური პროცესების ასეთ სპეციფიურ აპარატს წარმოადგენს ტვინი, განსაკუთრებით დიდი ტვინი და ქერქი. ამის მაჩვენებელია ანენცეფალების შემთხვევები და ღრმა იდიოტთა ტვინის განუვითარებლობა. ტვინის ფილოგენტურ განვითარებაში აღინიშნება მისი ოდენობითი და თვისობითი ზრდა-განვითარება. ოდენობის მხრივ ადამიანის ტვინი სხვა ცხო-

ველთა ტვინისაგან განირჩევა თავისი შეფარდებითი სიდიდით. ტვინის წონის შეფარდება მთელი სხეულის წონასთან გვაძლევს სხვადასხვა ცხოველის თანდათანობითი ინტელექტუალური განვითარების კიბეს. ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

თევზი — 1:5668, ვეშაპი — 1:11.000, ქვემძრომი — 1:1320, ფრინველი — 1:1212, ცხოველებიდან: ხარი — 1:800, სპილო — 1:750, ცხენი — 1:400, ორანგი — 1:51, ადამიანი — 1:35.

ადამიანთა შორისაც საერთოდ აღინიშნება მეტი ნიქის მქონე პიროვნებათა ტვინის მეტი ოდენობა (საშუალო — 1.360 გრამი, ბაირონის ტვინი — 2238, კრომველის — 2.233, ტურგენევის — 2012, კიუვეს — 1.830, შილერის — 1.786 და სხვ). აღინიშნება აგრეთვე სქესობრივი განსხვავება მამაკაცთა სასარგებლოდ 100 გრამის ფარგლებში. ამ მოვლენამ ფრანგ ფიზიოლოგ ბოშოვს საბაბი მისცა დაესკვნა, რომ დედაკაცი განვითარებით ვერასოდეს ვერ გაუთანასწორდება მამაკაცს, ვინაიდან საქმე თვით ბუნების ბიოლოგიურ კანონთან გვაქვსო. ცნობილია ამ „მეცნიერული დებულების“ ბედი. ბიშოვის სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მისი ტვინი იწონიდა მხოლოდ 1.245 გრამს, რაიც საშუალო ქალის ტვინზე ნაკლებია. „ბიშოვის კუთრიზი“ აღვირა ხსნილი ბიოლოგიზმის არსებითი მამხილებელია.

ტვინის მოცულობის გარდა და მასზე ბევრად უფრო მეტად მნიშვნელობა აქვს ტვინის მაკრო-განვითარებას და მისი ელემენტების დიფერენციაციას, ე. ი. მის თვისობრივ სირთულეს. მაკროსკოპულად ეს გამოიხატება ხვეულებისა და სპეციალური წარმონაშობების განვითარებაში. მიკროსკოპულად მას უჯრედის არქიტექტონიკაში ეძებენ. ტვინის თვისობრივ განვითარებაზე დამოკიდებული საერთოდ ადამიანის ფსიქიური ცხოვრების სიმდიდრე, რაიც ფილოგენეტურად და ონტოგენეტურად სხვადასხვა დონეს გვიჩვენებს ადამიანის ეკონომიურ და კულტურულ მიღწევებთან დაკავშირებით.

ფსიქიური პროცესების განვითარების ფაქტორთა შესახებ იმავე კანონზომიერებას აღვნიშნავთ, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ საერთოდ და კერძოდ ფიზიკური განვითარების შესახებ. სოციალურ და ბიოლოგიურ ფაქტორთა მთლიანობა სოციალურის პრიმატით პიროვნებისა და გარემოს ურთიერთ ზეგავლენის ერთიანობა შრომით პროცესებში, — აი ფორმულა ფსიქიკის წარმომშობი ფაქტორების შესახებ. გარემო წრე არის წარმომშობი ადამიანისა მთელი მისი შემადგენლობით, ფიზიკით და ფსიქიკით. გარკვეული გარემო წრის გარკვეულ პირობებზე დამოკიდებული ადამიანის ფსიქიური განვითარებაც.

## ფსიქიური პროცესების კანონზომიერებანი

იგივე კანონზომიერებანი აღინიშნება ფსიქიური პრი ცესების მიმართაც: ტემპი, რითმი, დისპროპორციულობა, მეტამორფოზი. პირველი წლების განვითარებაში ისეთსავე გაძლიერებულ ტემპს ვხედავთ ფსიქიურ სფეროში, როგორც ფიზიკურში. გავიხსენოთ პრეიერის, ტოლსტოის, გეგერის და სხვების გამოთქმები რომლებიც თანაბრად ეხება ფსიქიურ პროცესებს.

იგივე რითმიულობა აღინიშნება ფსიქიურა პროცესების როგორც მთლიან, ისე ცალკეული ფუნქციების განვითარებაში. აქ წარმოდგენილია არა სწორი, არამედ ხვეული ხაზი, რომელსაც აქვს აწვევისა და დაწვევის სეგმენტები. ყოველ ბავშვს აქვს თავისი რითმი და პერიოდულობა, ხოლო საერთო ბედი აქვო ერთისა და იმავე წრის ბავშვებს.

ფსიქიკის ცალკეული ელემენტების დისპროპორციულობას აქვს ისეთივე მიმდინარეობა, როგორიც ფიზიკურ განვითარებაშია: ხან ერთი ფუნქცია იწვევს წინ, ხან მეორე, ამასთან მუდმივ ცვალებადია მათი ურთიერთი პროპორცია.

ფსიქიური პროცესების განვითარების ძირითად კანონზომიერად წარმოგვიდგება მეტამორფოზის კანონი. ცალკეული ფუნქციები, როგორც, მაგ., ყურადღება, მეხსიერება, მიმღებლობა, ნება, აზროვნება, „არ ვითარდება ერთი მეორის გვერდით, როგორც ერთ ჭურჭელში ჩაღებულ შტოები და არც ერთისა და იმავე ხის სხვადასხვა შტოები“-ო, ამბობს ვიგოტსკი, — განვითარების პროცესში ეს ფუნქციები რთულ სისტემას წარმოადგენენ“. აქ აღინიშნება შემდეგი კანონები.

უმაღლესი ფუნქციები ვითარდებიან არა პარალელურად, არამედ როგორც უმაღლესი ფუნქციების შემდეგი განვითარება; ისინი წარმოადგენენ არა ახალ ფიზიოლოგიურ პროცესებს, არამედ ელემენტარული ფუნქციების სინთეზს, თვისობრივ გარდაქმნას და ამალღებას. მისი ფიზიოლოგიური სუბსტრატი არის ნერვიული სისტემის ცენტრების იერარქიული განვითარება, რაიც იმაში გამოიხატება, რომ უმაღლესი ცენტრის განვითარებისას უკანასკნელს გადაეცემა დაბალი ცენტრის ფუნქციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ამგვარად არსდება მთლიანი რთული სისტემა, რომლის ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან იერარქიულ დამოკიდებულებაში არიან. ნორმით უმაღლესი ცენტრები ფლობენ ორგანიზმის მოქმედებისა და პიროვნების ყოფაქცევას. პათოლოგიურ შემთხვევაში კი შესაძლოა ამ სისტემის მთლიანობის დაშლა და დაბალი ცენტრების დამოუკიდებელი ამოქმედება. ამის ილიუსტრაციას იძლევიან ისტერიული დაავადებანი (რომლებიც პრეჰმერის მიერ ნაჩვენებია, როგორც იზობულური მოვლენები), უფრო ღრმა პათოლოგიაში კი ბლელიერის შიზოფრენია (ფსიქიკის მთლიანობის დარღვევა, „გახლჩილობა“).

ზემოთ მოყვანილი საერთო განმარტების შემდეგ გადავიდეთ ცალკეულ ფსიქიურ ფუნქციებზე.



## ემოციური პროცესები

ემოციები ეწოდება პიროვნების იმ ფსიქიურ განცდებს, რომლებიც მუდამ თან სდევს ყოველგვარ ფსიქიურ აქტს და რომლებიც გამომიხატება საერთო დადებით ან უარყოფითი ტონით ყოველ განსაზღვრულ მომენტში. ეს ყოველი ფსიქიური აქტის აუცილებელი კომპონენტი იმავე დროს მჭიდროდ არის დაკავშირებული ვეგ. ნერვ. სისტემასთან, ენდოკრინულ სისტემასთან და მათთან ერთად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანის ყოფაქცევაზე. განსაკუთრებით თვალსაჩინოა გრძნობათა მნიშვნელობა ბავშვის მოქმედებაში. „ემოციებს უკავიათ საკომანდო სიმაღლენი. ისინი ეუფლებიან ბავშვის ცხოვრების ყველა სხვა მხარეს, ისინი ხელმძღვანელობენ მთელ მის ყოფაქცევას“, — ამბობს ე. არკინი. მართლაც, ადამიანის ყოფა-ქცევის ორ მთავარ ორგანიზატორს შორის, როგორც არის აზროვნება და ემოციები (ზავოროვსკი), ბავშვის ცხოვრებაში, რასაკვირველია, დროებითი უპირატესობა ენიჭება ემოციებს: „სიცოცხლის პირველ წლებში ემოციები არა მარტო შეადგენენ არსებობის მთავარ ფონს, არამედ ცნობიერების მთავარ შინაარსაც (არკინი).

„ბიოლოგიური“ და „სოციალური“ ისეთივე წესით არის მოცემული ემოციებში, როგორც ყველა სხვა სფეროში, ფსიქიკაში და საერთოდ პიროვნებაში. აქაც უნდა მივიჩნიოთ თანდაყოლილი ბიოლოგიური მექანიზმები, რომელთა კონსტრუქცია განმარტავს უმთავრესად ბავშვის პირველი ხანის ემოციებს, რასაც შემდეგ მოჰყვება სოციალური ზეგავლენით აღმოცენებული სხვადასხვა სახის ემოციები.

სიამოვნებისა და უსიამოვნების გრძნობები ბავშვს ეხატება სიცოცხლის პირველ მომენტებიდან. შიშშილი და მძძრობა ბავშვის ემოციური ტონის ჩამოყალიბების საფუძვლებია. ისინივე სხვათა შორის ემოციური განწყობის პირობითი ხასიათის მაჩვენებელია. ერთი და იგივე საგანი მაგ., რძე, იმისდა-მიხედვით მშვიერია თუ მძლარი ბავშვი, თამაშობს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სტიმულის როლს (პეიკერი). ძილის მოთხოვნილება, ნაწლავებისა და საშარდე სისტემის მდგომარეობა და სხვა ფიზიოლოგიური პროცესები წარმოადგენენ ბავშვის ემოციური განცდების წყაროებს. აქედან დაწყებული ადამიანის უმაღლეს და ურთულეს გრძნობებამდე ძვეს გრძელი გზა, როგორც თვით ემოციური პროცესების ისე მათი ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლების განვითარებისა. ეს განვითარება ხორციელდება ბიოლოგიური მექანიზმების გარეშე წრესთან ურთიერთ ზეგავლენის პროცესებში პირობითი რეფლექსების გამომუშავების სახით.

ემოციური პროცესების საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია არ არსებობს. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ საერთო დაყოფა: პირველი — ტონის მიხედვით: დადებითი ანუ უარყოფითი, სასიამოვნო ან უსიამოვნო ემოციები; მეორე — დაყოფა ხარისხობრივი: დაბალი და მაღალი გრძნობები; მეს-

მე — დაყოფა იმის მიხედვით, თუ საით არის მიმართული გრძნობები: ინდივიდისაკენ — ინდივიდუალური გრძნობები, კოლექტივისაკენ — კოლექტიური, სოციალური გრძნობები; და მეოთხე — დაყოფა იმის მიხედვით, თუ მოქმედებისადმი როგორი განწყობილება იქნება ადამიანში ემოციების ზეგავლენით: სტენიური და ასტენიური გრძნობები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დაყოფა არის რასაკვირველია, მხოლოდ ტიპური, პირობითი. სინამდევლეში ვხვდებით ემოციების მრავალ-ფეროვან შერეულ ფორმებს და გამოხატულებას. ემოციათა სახეები წარმოგვიდგება შემდეგნაირად.

განრისხება, შიმშილი და სიყვარული მიჩნეულია ემოციური ყოფაქცევის ძირითად ფორმებად. შიშის შესახებ არსებობს უამრავი დაკვირვება, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ არსებობს შეთანხმებული აზრი მისი წარმოშობისა და განვითარების საკითხში. სტ. ხოლის იგი თანდაყოლილად შიანია. უოტსონმა დაამტკიცა მისი სოციალური წარმოშობა შთაგონებლობის წესით. ფრეიდიზმი უკავშირებს მას დაბადების აქტს. თანამედროვე საბჭოთა მკვლევარების მასალები გვიხატავენ უმთავრესად შიშის სოციალურ შინაარსს. ბავის ბავშვების 46% არა აქვთ შიში (ბიბანოვა). შიშის წარმოშობა-განვითარება ექვემდებარება იმავე სოციალურ-ბიოლოგიურ ფაქტორს, რასაც საერთოდ ფსიქიკა. იმავე ფაქტორს და არა თანდაყოლილობას ექვემდებარება სოციალური გრძნობების წარმოშობა.

კოლექტიური გრძნობები შესაძლებელია მხოლოდ მუშათა კლასში. აქ ყალიბდება როგორც კოლექტიური სიმპატია (ჩაგრულთადმი), ისე კოლექტიური ანტიპატია (მჩაგვრელთადმი). სოციალური გრძნობა გამოხატულია აგრეთვე ყველა იმ განცდაში, რომელიც მიმართულია ინდივიდისაგან ინდივიდებისადმი და გამოიხატება როგორც დადებითი (სიყვარული), ისე უარყოფითი (მძულვარება) ტონით. სოციალური და სხვა უმაღლესი გრძნობები: მორალური, იდეალური, ესთეტიური და სხვა ვითარდება ბავშვში თანდათანობით, საერთო განვითარებასთან დაკავშირებით.

ემოციური ტონი ჰეგემონიურ როლს თამაშობს და თავის დაღს ასვამს ფსიქიკის ყველა ფუნქციას ბავშობის პირველ წლებში. გრძნობები განსაზღვრავენ უმთავრესად ბავშვის აღქმას, მეხსიერებას და აზროვნებას. აქედან გამომდინარეობს ემოციური სფეროს პედაგოგიური მნიშვნელობა. ნაადრევ ასაკებში უფრო მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება ემოციურ სფეროს ბავშვის ქცევის გაგებაში, სადაც ის წარმოდგენილია როგორც ძირითადი მიმართავი ძალა.

## ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა

ყურადღება ერთის მხრით წარმოადგენს ფსიქიკის გარემოსთან დამაკავშირებელ ხიდს, ხოლო მეორე მხრით ისეთ საშუალებას, რომლის მეოხებითაც ფსიქიკა გარეშე გამაღიზიანებელ უამრავ ფაქტიდან გამოჰყოფს მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას, რასაც მიიღებს და რასაც

**უპასუხებს.** ტროშინის სიტყვით ადამიანს რომ არ მოეპოვებოდეს მისი სარეგულაციო აპარატი, გარეშე შთაბეჭდილებები დააძაბუნებდნენ მათვის რიცხვით და მრავალსახეობით.

იმისდამიხედვით — აქტიურად, თვით პიროვნების ამორჩევით, ხდება ეს რეგულაცია, თუ გარეშე გალიზიანება თავისით იწვევს ადამიანის რეაქციას, ყურადღება იყოფა ორ საფეხურად: პირველია ყურადღების უმაღლესი ფორმა, ე. წ. **აქტიური** ყურადღება, ზოგი მას უწოდებს „კულტურულ“ ყურადღებას (ვიგოტსკი), მეორე — „ნატურალური“ ყურადღება (ვიგოტსკი). პირველი არის ნებითი აქტის გამოხატულება და ახასიათებს მხოლოდ ადამიანს. იგი წარმოშობილია სოციალური წრის პირობებში, შრომის პროცესებში. „რა რომ შრომა წარმოიშვა ნებითი ყურადღება შეიქნა პირველ ხარისხოვან ფაქტად“, — ამბობს რიბო და დასძენს, რომ „შრომა თვითონ წარმოადგენს ნებითი ყურადღების უაღრესად კონკრეტულ ფორმას“-ო. ონტოგენეტიურად აქტიური ყურადღება ვითარდება ფსიქიკის სხვა ფუნქციებთან ერთად და მათთან დაკავშირებით.

ნატურალური ყურადღება წარმოადგენს ცხოველების უმაღლეს მიღწევას, ხოლო ადამიანისთვის — ყურადღების მეორე-ხარისხოვან ფორმას. იგი უმთავრესად ახასიათებს ბავშვს. ბავშვის ყურადღებას აქვს პრიმიტიული ხასიათი — იგი დამოკიდებულია გარეშე შთაბეჭდილებისაგან გარდა ამისა, **რაოდენობის** მხრით ბავშვის ყურადღება ხასიათდება ე. წ. კონცენტრირულობით, ვიწრო ფარგლებით: **თვისობრივობის** მხრივ — ნაკლები გამძლეობით და შთაგონებლობით. ცნობილია შემდეგი ცდა: ბავშვს, რომელსაც ერთ ხელში რამე საგანი უჭირავს, რომ კიდევ რამე მიაწოდო, თუ მეორე ხელით იგი ჩამოგართვა, პირველი ხელიდან საგანი გაუფარდება. ეს არის ყურადღების ვიწრო კონცენტრირულობის ნიშნები: ბავშვს არა აქვს უნარი გაანაწილოს ყურადღება რამდენიმე მიმართულებით. იგივე მოვლენა მტკიცდება იმ ცდებში, სადაც სხვადასხვა სურათზე მოცემულ ელემენტებში ბავშვი მით უფრო ნაკლებ რიცხვს შეამჩნევს, რაც უფრო მცირე ასაკისაა იგი. მოზრდილი ამჩნევს 5-7 ელემენტს, 14 წლის ბავშვი — 5, 12 წლის — 3-4, 6 წლის — 2-3 ელემენტს. ამ მოვლენას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს პედაგოგიკაში. ყურადღების გამძლეობა გულისხმობს შერჩეულ საგანზე ყურადღების ხანგრძლივ შეჩერებას და შემზღველ მომენტებისადმი წინააღმდეგობის გაწევას. საშუალოდ აღრიცხულია ბავშვის ყურადღების გამძლეობა თამაშის დროს: პირველ წელს — 14,5 წამამდე 5-6 წლებში — 96 წამამდე.

**ბავშვის შთაგონებლობა.** ეს მოვლენა, რომელიც დიდ როლს თამაშობს საერთოდ ადამიანის ფსიქიურ პროცესებში, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბავშვის განვითარებაში. აქ ეს მოვლენა ემყარება ბავშვის ყურადღების ადვილ აღვზნებლობას, რომლის ნიადაგზედაც გაადვილებულია მისი ყურადღების მიმართვა რაიმე სტიმულისაკენ და სასურველ



რეაქციაზე განწყობა. ბინეს, ანრის, შტერნის, რანშბურგის და მრავალი სხვა ავტორის დაკავშირებით, ბავშვთა შთაგონებლობა ადრე ასაკში აღწევს 81,5%-ს (9-წლამდე) და შემდეგ თანდათანობით კლებულობს 7-9 წლებში 81,5%, 9-11 წლებში 76,5%, 11-13 წლებში 51%-ს. ინტელექტუალურად ჩამორჩენილი ბავშვების შთაგონებლობა ამ ციფრებს ბევრად აღემატება. პედაგოგიკამ საკმაო ანგარიში უნდა გაუწიოს ბავშვის ყურადღების ამ თავისებურებას. ამგვარად, ბავშვის ყურადღება მოზრდილის ყურადღებისაგან განირჩევა რაოდენობით (ფარგლები) და თვისობრივად (პასიურობა, გაუძლებლობა, შთაგონებლობა). ყველა ეს უარყოფითი თავისებურება ბავშვის განვითარების პროცესებში თანდათან გადადის მოზრდილისათვის დამახასიათებელ აქტიურ, კულტურულ, შუალობით ყურადღებაში.

აქ ჩვენ ორი სიტყვით აღვნიშნავთ ყურადღების დამოკიდებულებას სხვადასხვა ფუნქციასთან. აღქმის პროცესები უშუალოდ დაკავშირებულია ყურადღებასთან. ორივე პროცესი მიმდინარეობს თანაბარი განვითარებით, თანაბარი პირობების ნიადაგზე. ბავშობის პირველ წლებში, როგორც აღვნიშნეთ ყურადღება გამოსახულია მხოლოდ პასიურ ფორმაში. ასეთია აღქმის პროცესებიც. ბავშვი აღიქვამს იმ მოვლენებს, რომლებიც მას ეძლევა გარემოს პირობებში ყოველგვარი ამორჩევის გარეშე. ბავშვი როგორც ცხოველი, არის თავის „სენსორული ველის მონა“. ყურადღების მხრითაც ბავშვი არის გარეშე გალიზიანებების მონა. თანდათან ბავშვი გარემოსთან დამოკიდებულებაში მონიდან ბატონად იქცევა, ვინაიდან პირველ წლებში იგი უკვე ააშკარავენს გარემოზე აქტიური ზეგავლენის ცდებს. თანაბრად ვითარდება და კვალიფიცირდება ყურადღებისა და აღქმის პროცესები.

ასეთივე უშუალო დამოკიდებულება არსებობს ყურადღებასა და მეხსიერებას შორის. პირველი აუცილებელი პირობაა მეორის ნორმალური მსვლელობისათვის. ეს დებულება განმარტებას არ საჭიროებს. ყურადღების თვისებაზე არის დამოკიდებული მეხსიერების პროცესების შესაძლებლობა. ყურადღების პატოლოგიური ცვლილებები იწვევენ მეხსიერების გადახრებს, რაიც ხშირად შეცდომით უკანასკნელს ეწერება. სასკოლო პედაგოგიკამ მხედველობაში უნდა იქონიოს ეს მოვლენა. საგულისხმოა აგრეთვე ყურადღების დომინანტური გაერთიერების იანება, რაიც იწვევს სათანადო შედეგებს ფსიქიურ პროცესებში.

### აღქმის პროცესები


აღქმა წარმოადგენს ისეთ ფსიქიურ აქტს, რომლის საშუალებითაც ვლბულობთ გარეშე გალიზიანებას და მიგვაქვს იგი ტვინის სათანადო ცენტრში, სადაც წარმოებს მისი ანალიზი და მიღება, რასაც ჩვენ განვიცდით როგორც ფერის, ბგერის, ფორმის და სხვა აღქმას. ამას შედეგად მოსდევს ორგანიზმის ესა თუ ის საპასუხო (რეაქციული) აქტი. ამ სისტემას, რომე-



ლიც აწარმოებს აღქმას, აკადემიკოსმა პავლოვმა ანალიზატორები უწოდებდა. ანალიზატორების (გარეშე გრძნობების ორგანოცენტრები), რომელნიც, როგორც ვიცით, სამი ელემენტისაგან შედგებიან (ცენტროპეტალური ნეირონი, ცენტროდა ცენტროფუგალური ნეირონი), ნორმალური მდგომარეობა აღქმის ნორმალური მიმდინარეობის აუცილებელი პირობაა. აღნიშნულია, რომ ამ სისტემის თუნდაც პირველი რგოლის (გარეშე ორგანოების) არანორმალური მდგომარეობა იწვევს სათანადო ცენტრების განუვითარებლობას და ამის შედეგად მთელი ფსიქიკის ჩამორჩენილობას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ყრუმუნჯები, რომელნიც საზოგადოდ ინტელექტუალურ ჩამორჩენილობას გვიჩვენებენ. ამის მიმე, მაგრამ ექსპერიმენტურ მაგალითს წარმოადგენს გერმანელი ბავშვი გასპარ გაუზერი, რომელიც ბოროტ პირთა მეოხებით დაბადებიდან 16 წლამდე განგებ იზრდებოდა სრული იზოლაციის პირობებში, სრულ სიჩუმესა და სიბნელეში. 16 წლის ასაკში გაუზერის განვითარება არ აღემატებოდა ერთი წლის განვითარებას. ნორმალურ პირობებში ჩაყენებული გასპარ გაუზერი კვლავ წავიდა ნორმალური განვითარების გზით. ეს შემთხვევა იმის საუცხოო მაჩვენებელია, თუ რა როლს ასრულებს გარემო წრე ადამიანის განვითარებაში. იგივე შემთხვევა საკმაოდ აბათილებს იმ შეხედულებას, რომლის თანახმადაც აღქმითი პროცესები თითქოს დაბადებიდანვე იჩენენ სრულ განვითარებას და რომელსაც ვიგოტსკი ძველ „ლეგენდას“ უწოდებს. აღქმის პროცესები ვითარდებიან მხოლოდ ნორმალურად აგებული ორგანიზმის გარემო სამყაროსთან ნორმალური განწყობის პროცესებში.

გარდა სენსორული აპარატის მდგომარეობისა, აღქმითი პროცესები დამოკიდებული არიან აგრეთვე თვით აღქმელის ფსიქოლოგიურ განწყობისაგან, სოციალურ კონსტელაციისაგან და აგრეთვე მისი წარსული გამოცდილებისაგან. ამის ნიმუშია ის მოვლენა, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა სულ სხვადასხვანაირად აღიქვება სხვადასხვა პროფესიის ან კლასის წარმომადგენლების მიერ და სულ სხვადასხვაგვარ საპასუხო რეაქციებს გამოიწვევს მათში. მაგ., სიტყვა „ფესვი“ სხვადასხვა აზრებს და წარმოდგენებს გამოიწვევს კბილის ექიმში, მებაღეში, მათემატიკოსში და ენათმცოდნეობის სპეციალისტში. სულ სხვადასხვა სურათსა და გრძნობებს იწვევს სიტყვა „რევოლუცია“ ბურჟუაზიული და პროლეტარული წრის წარმომადგენლებში.

ძველი ფსიქოლოგიის განმარტებით, აღქმა მიჩნეული იყო სხვადასხვა შეგრძნებათა ჯამად. ახალმა ფსიქოლოგიამ ეს სავსებით უარჰყო. აღქმა განიხილება, როგორც მთლიანი პროცესი, რომელიც არ განიმარტება, არამედ თვითონ განმარტავს თავის შემადგენელ ელემენტებს. არა ცალკეული შეგრძნებების შეერთებით წარმოიშობა აღქმა, არამედ მთლიანი აღქმის ანალიზის შედეგად ვლდებულობთ ამა თუ იმ ცალკეულ შეგრძნებას. მაგ., კითხვის პროცესში ჩვენ უპირველეს ყოვლისა მთლიანად ვლდებულობთ მთელ სიტყვებსა და ფრაზებს და მხოლოდ შემდეგ საჭიროებისას გამოვყოფთ



აქედან ცალკეულ ნაწილებს. აღქმის ასეთი გაგება წარმოდგენილია *gestallpsychologia*-ის მიმართულების სტრუქტურული ფსიქოლოგიის მიერ. მრავალი მაგალითი და ცდაა მოყვანილი ნათქვამის საილუსტრაციოდ და დასამტკიცებლად. ილუსტრაციები: სხვადასხვა თანავარსკვლავედი, მაგ., წარმოგვიდგება მთლიან სტრუქტურად, მთლიან ერთეულად და არა ერთეულთა ჯამად. მთლიანი სტრუქტურა სხვა თვისებების მატარებელია და იგი არ უდრის შემადგენელ ერთეულთა ჯამს. Wertheimer-ის ცდები: 1) ..... აღვიქვამთ, როგორც წყვილებს დიდი მანძილის ინტერვალებით; იგივეა || || ||. გავუყეთოთ მეორე ფიგურის ხაზებს დამატებითი ხაზები || || || || || || — აღვიქვამთ როგორც დიდმანძილიან წყვილებს Δ-ს აღვიქვავთ როგორც დამთავრებულ სამკუთხედს, ○ აღვიქვავთ, როგორც დამთავრებულ რგოლს, და ა. შ.

köhler-ის ცნობილ ცდებში ჩვენ გვაქვს იმის დამტკიცება, რომ სტრუქტურული მიმდებლობა ადამიანივით ცხოველებსაც აქვთ. ერთ ასეთ ცდაში, მაგ., ქათამი მთელ სიტუაციას ლებულობს როგორც მთლიან ერთეულს და მხოლოდ მასზე იძლევა რეაქციას.

„ბავშვი სხვაგვარად ხედავს, ვიდრე მოზრდილი“, — ამბობს კლაპარედი, „ბავშვი ჩვენთან შედარებით სხვა ქვეყანაში ცხოვრობს“, — ამბობს კოფკა, და ამით ისინი აღნიშნავენ ბავშვის მიმდებლობის თავისებურებას. უპირველეს ყოვლისა აღინიშნება, რომ ბავშობის პირველი პერიოდების აღქმულობა ატარებს საერთო დიფუზურ ხასიათს, ამის გამო მისი რეაქციებიც ასევე არა დიფერენციალურად წარმოგვიდგება. ბავშვის გარესამყაროს გაგება და მასთან ურთიერთი კავშირი, რასაკვირველია, განსხვავდება მოზრდილის გაგებისა და კავშირისაგან.

ჩვენ აქ შეგვიძლია ვიხმაართ შვეიცარიელი ფსიქოლოგის პიაჟეს ტერმინი — **სინკრეტიზმი**. ტერმინი ეკუთვნის რენანს, ფსიქოლოგიაში შემოტანილია კლაპარედის მიერ („ყველაფერი განურჩევლად შეერთებულია“). ეს ნიშნავს აღქმის ისეთ ხასიათს, როდესაც სხვადასხვა მოვლენა ბავშვის აღქმაში შედის ერთად, არა მიზეზობრივი დამოკიდებულების თანახმად, არამედ სრულიად შემთხვევითი თანაარსებობის ნიადაგზე. შეიძლება აღნიშნოთ ბავშვის **მონობა მისი** „სენსორული ველისაგან“. „ყველაფერი ყველაფერთან არის დაკავშირებული“, რაც შემთხვევით ერთად მოხვდა ბავშვის სენსორულ ველში. ეს არის სინკრეტიზმი ბავშვის აღქმაში.

შემდეგ აღსანიშნავია ბავშვის აღქმის სრული დამოკიდებულება მისი ემოციური განწყობილებისაგან, მისი სურვილებისაგან. ბავშვის მოქმედება პირველ წლებში ყოველ მხრივ ემოციებით განისაზღვრება. ემოციებით განისაზღვრება აგრეთვე ბავშვის აღქმა. იგი ხედავს იმას, რაც სურს, ისე, როგორც სურს, და არ ხედავს იმას, რაც არ მოსწონს. ყველაფერი განიხილება მისი ინტერესების თვალსაზრისით. იგი სამყაროს ცენტრია და მისი სურვილები სამყაროს კანონებია. აქედან წარმოდგება ბავშვის აღქმის **ეგოცენტრიზმი**, **სუბიექტივიზმი** და **სინკრეტიზმი**. თანდათან, გან-

ვითარების პროცესებში, ბავშვის აღქმა ღებულობს თავის უმაღლეს განსახიერებას — ობიექტივობას ემოციებიდან ემანსიპიციას.

მრავალი ავტორის მიერ, რომელთა შორის დავასახელოთ ვ. შტერნი ბინე, ტერმენი, ა. დეკედრი, ბობერტაგი და სხვები, აღნიშნულია მიმდებლობის განვითარების სხვადასხვა პერიოდები ბავშვის სხვადასხვა ასაკში. ცნობილია შტერნის 4 სტადია აღქმა: საგნობრივი, მოქმედების, განწყობილებისა და თვისების, და ბინეს 3 სტადია: ჩამოთვლის, აწერისა და ინტერპრეტაციის. პირველის ასაკებია 8 წლამდე, 8 წელი, შემდეგ 9-10 წ.; მეორის ასაკებია 3-7 წ., 15 წელი. ორივე კლასიფიკაცია დამყარებულია ე. წ. სურათების აღქმის ცდებზე. ვიგოტსკის და სხვა ავტორებს (ფოლკეტი, ელიასბერგი) ამ კლასიფიკაციაში არსებითი ცვლილებები შეაქვთ. მათი ცდების მიხედვით, ასეთი დაყოფა შეუძლებელია და მიუღებელი, რამდენადაც ის საერთოდ ეწინააღმდეგება აღქმის პროცესების მთლიანობის პრინციპს. ბავშვი ყველა ფუნქციას ერთად აღიქვამს, საგანსაც, მოქმედებასაც, განწყობილებასაც, მხოლოდ არა ზუსტად, არა მკაფიოდ, არა დიფერენციალურად. ვიგოტსკის ცდებში ბავშვები ვერ გადმოსცემდნ სურათის სიტყვით შინაარს, მაგრამ სწორად გადმოსცემდნ მას თამაშით. აქედან ცხადია შტერნის და ბინეს კლასიფიკაციის შეცდომა: ისინი ანგარიშს არ უწევნენ მეტყველების პროცესებს.

## მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა

**მეხსიერებას განმარტავენ როგორც ფსიქიკის უნარს შეინარჩუნოს, შეინახოს და საჭიროებისას აღმოაცენოს მიღებული შთაბეჭდილებები.** ამ გაგებით რეპროდუქცია განიხილება, როგორც აღქმის უშუალო გაგრძელება (ბასოვი). ნერვიულ სისტემაში იგი შეადგენს თავის ტვინის ქერქის უშუალო ფუნქციას.

თავისთავად ცხადია მეხსიერების მნიშვნელობა ფსიქიური პროცესებისათვის. ცხადია, რომ შთაბეჭდილებების შენახვის გარეშე შეუძლებელია ცხოვრების ცოდნის დაგროვება და ფსიქიზმების განვითარება. თვით საკუთარი თავის ცნობა ასევე მიუწოდომელი გახდებოდა ადამიანისათვის. ამგვარად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფსიქიური ცხოვრების სირთულე და ამალღება სავსებით დამოკიდებულია მეხსიერების ფუნქციისაგან.

ვიგოტსკის სიტყვით, „მეხსიერების განვითარების საკითხი წარმოადგენს ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უაღრესად რთულ და დახლართულ საკითხს“. იგივე შეიძლება ითქვას მეხსიერებზე წარმოშობის საკითხზე. ერთის მხრით, არსებობენ ავტორები, რომელნიც მეხსიერების დასაწყის ხედავენ ანტენატალურ პერიოდშიაც. „დედის საშოდან მოაქვს ადამიანს გარეშე ქვეყანაში თავისი მოგონებანი“, — ამბობს ფრეიდის მიმდევარი გ. გუგ-გელმეტი. ის აღნიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით ბავშვის მიერ საშო-

ში მიღებული ფსიქიური ტრავმების შედეგებს. ზოგი ავტორი, მაგ., ე. არკინი მენსიერების წინა სახეს ხედავს მკვდარ მატერიაშიც, შუშებისა და ლითონების ე. წ. დრეკადი მოქმედების შედეგში. იგივე ავტორი აღნიშნავს ერთ უჯრედიან ორგანიზმებში, ინფუზორიებში, მენსიერების ჩანასახს, ხოლო მწერებში, მაგ., ფუთკარში, იგი უკვე ნამდვილ მენსიერებას ცნობს.

სინამდვილეში მენსიერების წარმოშობა უნდა წარმოვიდგინოთ ზემოთ მრავალჯერ გაშუქებული სოციოგენური გზით, როდესაც ხდება ბიოლოგიური განწყობილების ჩამოყალიბება და გაფორმება გარემო წრის ზეგავლენით.

მენსიერების პროცესები წარმოდგენილია სამი მთავარი ელემენტისაგან: ალქმულობა (გარეშე შთაბეჭდილების პირველი მიღება), რეტენცია (მიღებული შთაბეჭდილების შენახვა) და რეპროდუქცია (შენახული შთაბეჭდილების განახლება). თვალსაჩინოა მენსიერების აღნიშნული სისტემების სხვადასხვაობა და ამასთან ერთად მათი სრული ერთმანეთისაგან დამოკიდებულება და მთლიანობა.

ალქმულობის შესახებ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ხშირად მას ადამიანი ლებულობს პიროვნების ნებისა და ყურადღების გარეშეც. ხშირად პიროვნებას წარმოდგენაც კი არა აქვს მის შესახებ, თუ როგორი შთაბეჭდილება აღიბეჭდა მის ფსიქიკაში. „სრულიად უმნიშვნელო შთაბეჭდილებაც არ გაივლის უკვალოდ და სათანადო პირობებში მას შეუძლია კვლავ ამოტივტივდეს მენსიერებაში“ (ბასოვი). ამითვე ხასიათდება მენსიერების მეორე აქტის — რეტენციის შესაძლებლობანი. ხშირად მენსიერებაში აღმოჩნდება ისეთი შთაბეჭდილება, რომელიც პიროვნებას მიაჩნდა ან სრულიად შეუთვისებლად ან სრულიად დავიწყებულად. ფსიქიკის ისტერიული ცვლილებები გვაძლევენ ამის მრავალ ნიმუშს. ფსიქონევროზიაში მრავალია ასეთი „დავიწყებული“ შთაბეჭდილებების ნიადაგზე აღმოცენებული ე. წ. ტრავმატიული ნევროზი. კატარიზისი ეწოდება იმ ჰიპნოტიურ მეთოდს, რომელიც აქტიურად აღმოაჩენს და განცდებით ამოსწორავს ამ მივიწყებულ ემოციებს, რომელნიც ტანჯავენ ავადმყოფს.

რეპროდუქციის ცალკეული ფორმები წარმოდგენილია შემდეგი სახეებით: შემჩნევა-ცნობა, მოგონება, დამახსოვრება. მენსიერების პირველი გამოხატულება შეგვიძლია აღვნიშნოთ ბავშვის სიცოცხლის პირველ თვეებშივე. ამ პროცესებს ამ დროს უშუალო დამოკიდებულება აქვთ ბავშვის ფიზიოლოგიურ განცდებთან. 4—5—6 თვიდან პირველად აღინიშნება მენსიერების ფორმალური გამოხატულება **ცნობის** სახით. ბავშვი მიღებულ შთაბეჭდილებას გაიხსენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ალქმა კვლავ განმეორდება და ალქმის საგანი კვლავ დადგება მის თვალწინ. ეს პერიოდი გრძელდება 1,5 წლამდე. ამის შემდეგ იწყება მენსიერების განვითარების მეორე საფეხური — **მოგონება**, როდესაც რეპროდუქცია წარმოებს ალქმული საგნის გარეშეც. ეს საფეხური, რასაკვირველია, წარმოად-





გენს პირველი სახის (ცნობის) თვისობრივ ამალღებას. ამას ერთგვარად სოვრების პროცესი, რუსული припоминание.

ეს პერიოდი იწყება 3 წლის ასაკიდან. სასკოლო ასაკში ჩვენ გვაქვს მესხიერების უმაღლესი ფორმა — მიზნობრივი დამახსოვრება (запоминание) ე. ი. წინასწარ, შეგნებულად, შენარჩუნების მიზნით მიღება რაიმე აღქმითი მასალისა.

დამახსოვრების პროცესების ასეთი გართულება და კლასიფიკაციური ამალღება ხდება ვიგოტსკის თქმით, არა თვით მესხიერების ფუნქციის დამოუკიდებელი განვითარებით, არამედ სხვა ფსიქიურ ფუნქციებთან მისი დაკავშირების ნიადაგზე. ეს უმთავრესად ეხება მესხიერების ინტელექტთან დაკავშირებას, „მნემის ინტელექტუალიზაციას“ (გიზე). თუ მესხიერების პრიმიტიული ფორმები ბავშვის პირველ წლებში ასრულდნენ აზროვნების დასაყრდნობი ფუძის როლს, შემდეგში ინტელექტი, აზროვნება ცნებებით და მეტყველება ერთბაშად ამალღებენ მესხიერების კვალიფიკაციას და გარდაქმნიან მას ე. წ. ლოლიკურ მესხიერებად. ეს პროცესი ხორციელდება ე. წ. მნემოტექნიკური, შუალობითი გზით. ბავშვს ეს გზა ეძლევა მხოლოდ სასკოლო ასაკში, 11—12 წლებში. მანამდე მას ახასიათებს მხოლოდ ნატურალური მექანიკური მესხიერება. ლოლიკური მესხიერება გულისხმობს მიღებული შთაბეჭდილებების ანალიზს, სისტემატიზაციას, შეგნებას და მთელ ფსიქიკასთან დაკავშირებას. მნემოტექნიკა არის ამის საშუალება, იარაღი. ამის პრიმიტიულ ნიშნებს წარმოადგენს დამახსოვრების მიზნით რაიმე ნიშნის დადება მაგ. ცხვირსახოცის ყურის გამონასკვა. ბავშვის კულტურულ განვითარებასთან ერთად ვითარდება ის ხერხებიც, რომლებიც მას მიმღებლობასთან ერთად უადვილებს მესხიერების პროცესებს. ეს ვიგოტსკის სკოლის მასალებით აღინიშნება. მაგ., „სურვილს“ ბავშვი უკავშირებს აეროპლანის სურათს. მოგონებისას ის იტყვის: მე მსურს აეროპლანით ფრენა“.

აღნიშნავენ, რომ ლოლიკური დამახსოვრება მექანიკურთან შედარებით 22-ჯერ უფრო ადვილია (კურტენკოვი). მნემოტექნიკური დამახსოვრების პროცენტი ბავშვის ასაკობრივი განვითარებასთან ერთად მატულობს 12—15 წლამდე, ვიდრე ნატურალური მესხიერება სავსებით არ შეიცვლება ლოლიკურ მექანიკურებად. ამ დროს სიმძიმის წერტილი უკვე არა გარეშე ხერხებში მდგომარეობს, არამედ შთაბეჭდილების აზრიან შეფასებაში. ვიგოტსკის სკოლის მასალები ამ მხრივ გვიხატავენ შემდეგ სურათს. მნემოტექნიკაში მესხიერების კოეფიციენტი 4-დან 5 წლამდე — 0,33%, 5-დან 7 წლამდე — 0,81%, 7-12 წლამდე — 93%, 12-დან 15 წლამდე — 0,66%, სტუდენტი — 0,42%.

ბავშვის მესხიერების თავისებურება, გარდა აღნიშნული მექანიკური და შემდეგ მნემოტექნიკური სახეობისა, გამოიხატება კიდევ მესხიერების ემოციურ გაქლენთილობაში. ბავშვი თავის მოგონებებს ცვლის და აფერადებს თავისი სურვილების მიხედვით. ხშირად მას მოგონებებში ფანტასტიკა შეაქვს; ნაწილობრივ ამით აიხსნება ბავშვის სიტყუე. სტანოვსკის დღიურში

აწერილია, თუ როგორ მოუთხრო ძიძას ღამე ქურდების ბინაში შესვლის ამბავი 4,3 წლის მასიკმა. ქურდები მართლაც შესულან, მაგრამ შეამჩნიეს და ისინი დაუყონებლივ გაქცეულან. მასიკა კი ძიძას მოუთხრობს: „მამა წამოხტა, აიღო გასაღები და ქურდებს იმდენი სცემა შუბლში, რომ ყველანი დახოცა“-ო (კორნილოვიდან).

### ე ი დ ე ტ ი ზ მ ი

ურბანჩიჩმა 1907 წელს აღნიშნა, ხოლო შემდეგ იენშმა და მისმა სკოლამ (კრო, ბიუსე) დეტალურად შეისწავლეს თავისებური ფსიქოლოგიური მოვლენა, რომელსაც შუა ადგილი უჭირავს ალქმისა და მეხსიერების პროცესებს შორის. სახელად ამ მოვლენას ეწოდება ეიდეტიზმი (ბერძნულად: „ეიდოს“ ნიშნავს სახეს, ინძავ (ეს მოვლენა გამოიხატება იმაში, რომ ზოგ პირს მიღებული ალქმა ენარჩუნება გამაღიზიანებელი საგნის მოშორების შემდეგაც რამდენიმე ხნის განმავლობაში ალქმის მთელი სიცხოველით, ასეთი მოვლენა ურბანჩიჩს მიაჩნდა შემთხვევით და პატოლოგიურ მოვლენად. იენში კი მას სთვლის ნორმალურ და სისტემატიურ მოვლენად გარკვეულ ასაკში. ასეთის საშუალო პროცენტად მკვლევარები სთვლიან 50—80%-ს, ხოლო სათანადო ასაკად—10—15 წლებს. სხვა მკვლევარები გარდა მხედველობითი ეიდეტიზმისა აღნიშნავენ სმენის, ყნოსვისა და გემოვნების ეიდეტიზმსაც (გენინგი, კომანი). ეიდეტიზმის მოვლენებს, როგორც ფსიქიური აქტის განსაზღვრულ თავისებურებას, დიდი მნიშვნელობა ეძლევა ბავშვის ფსიქიურ განვითარებაში. ზოგი მას მეხსიერების პირველყოფილ სახედ სთვლის (ვიგოტსკი), ზოგი — ალქმის თავისებურებად (იენში), ზოგი აზროვნებადაც. ყოველ შემთხვევაში ეიდეტიზმის მოვლენები გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის ინტელექტუალური ფუნქციების განვითარებაში — მეხსიერების, აზროვნების, ალქმის პროცესებში, სინკრეტიზმის, ილუზონიზმის და სხვა მოვლენებში.

### ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა

აღამიანის უმაღლესი ფუნქცია — აზროვნება ბავშვის განვითარებაში ასრულებს იმავე უმაღლეს როლს როგორც სხვა ფუნქციები; ბავშვის აზროვნებაც მოზრდილის აზროვნებასთან შედარებით, წარმოადგენს კარდინალურ სხვაობას — „სხვა სტრუქტურას, სხვა კათეგორიას“ (ეფრუსი). მისი განვითარება მჭიდროდ არის გადაჭიდობილი ბავშვის ენის მეტყველების პროცესებთან, რომლებთანაც ის განიხილება როგორც განუყრელი ერთეული. ეს რთული პროცესები მოითხოვენ ცალკე გადმოცემას, რასაც ვიმედოვნებთ, ჩვენ სპეციალურად შევასრულებთ.

ამით ვამთავრებთ ბავშვის განვითარების ცალკეული მხარეების განხილვას და ეხლა — ასევე საეთო სახით — შევეხებით ბავშვის მთლიანი განვითარების საკითხებს.

როგორც ზევით ვთქვით, ბავშობის განვითარებაში აღინიშნება რამდენიმე გარკვეული პერიოდი, რომელთაც ახასიათებს გარკვეული პროცესები. ამის საფუძველზე აგებულია ასაკობრივი პერიოდების სქემები. ცნობილია შტრაკის, ლანგშტეინის, შტუმპკის, შტერნის, ნეიმანის, საბჭოთა პედოლოგების და სხვათ პერიოდიზაცია. ავტორები სხვადასხვანაირებზე აგებენ თავიანთ პერიოდიზაციას.

**შტრაკი**, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ პერიოდიზაციას საფუძველად უდევს სქესობრივ განვითარებას. **ლანგშტეინი და მასთან რუსი პედოლოგი ბლონსკი** საფუძველად ღებულობს კბილების ზრდას. მისი სქემა ასეთია (ვილიესკიდან): 1. ჩვილი ბავშვი (0-1); 2. სარძევე კბილების პერიოდი (2-7 წლ.); 3. მუდმივი კბილების პერიოდი (8-20 წლ.). **შტუმპფი, შტერნი და შეიმანი** თავიანთ პერიოდიზაციას აგებენ ფსიქიკის განვითარებაზე. **შტუმფის** პერიოდიზაცია: 1. დაბადებიდან მეტყველების განვითარებამდე; 2. მეტყველებიდან სკოლამდე; 3. სკოლიდან სქესობრივ მომწიფებამდე; 4. სქესობრივი მომწიფების პერიოდი. **შტერნის** სქემა: 1. ნაადრევი ბავშობა — 0-6 წლამდე; 2. შეგნებული სწავლის პერიოდი (სკოლა); 3. ყრმის მომწიფების ხანა (14—18—20 წლამდე). **შეიმანის** სქემა: 1. ახლად დაბადებული (პირველი კვირეები); 2. ჩვილობიდან 8-9 წლამდე; 3. შემდგომი ბავშვობა 13-14 წლამდე; 4. 18 წლამდე; 5. შრომა — სრულ ასაკოვანობამდე.

ზემომოყვანილი ასაკობრივი კლასიფიკაციები ემყარებიან განვითარების ერთ რაიმე ნიშანს. ამის გამო ეს კლასიფიკაციები წარმოგვიდგება განყენებულ სქემად, რომელშიაც ვერ ვხედავთ ცოცხალი ბავშვის ცხოვრების გამოხატულებას. საბჭოთა პედოლოგიამ უარყო ასეთი მიდგომა. მან თავის პერიოდიზაციას საფუძველად დაუდო არა რაიმე ცალკეული ნიშანი, არამედ **განვითარების მთლიანი სტრუქტურა**. ეს არის ერთი მთავარი ცვლილება ამ საკითხში. მეორე არის ის, რომ ბავშვი აღებულია არა თავის თავად („perse“), არამედ მისი რეალური ცხოვრების ქრილში, გარემოსთან კავშირში. „ბავშვის გარემოსთან ურთიერთშეგავლენის ხასიათი, ბავშვის პიროვნებისა და ცნობიერების ჩამოყალიბება არის ის ძირითადი, რაც ახასიათებს ბავშვის განვითარებას, და ის ძირითადი ხაზი, რომლითაც მიდის განვითარება“, — ამბობს ვიგოტსკის სკოლის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი ლ. ზანკოვი. ვიგოტსკის სკოლა იძლევა შემდეგ კლასიფიკაციას, რომელიც ემყარება ბავშვის სოციალურ კავშირებს. 1. ჩვილი ბავშვი (0-1 წ.); 2. ნაადრევი ბავშობა (1-3 წ.); 3. სკოლის წინარე ასაკი (3-7 წ.); 4. პირველი სასკოლო ასაკი (7-12 წ.);

5. მეორე სასკოლო ასაკი — მოზარდი (13-16); 6. სიყრმის ასაკი — შვი-  
დეგი ასაკი 18-20 წლამდე. ეს პერიოდები თავის მხრივ იყოფა ცალ-  
კეულ ფაზებად. პერიოდები ერთმანეთში გადადიან ე. წ. კრიტიკული  
სტადიებით, რომელნიც, ამავე ზანკოვის თქმით „წარმოადგენენ გარდა-  
ტეხის პუნქტებს, სადაც იმსხვრევა ძველი ფორმები და ისახება ახალი  
ფორმები“. ცალკეულ პერიოდებს ახასიათებს განვითარების გარკვეული  
მონაცემები, რომელთაც ჩვენ საერთო სახით მოვიყვანთ.

„მშობიარობის კატასტროფით“ (ვიგოტსკი) იწყება ბავშვის განვი-  
თარების პირველი პერიოდი — ჩვილი ასაკი (0-1 წ.) მისთვის უპირველეს  
ყოვლისა დამახასიათებელია საარსებო იარაღის, გარეშე შთაბეჭდილების  
მისაღები ე. წ. სენსორული აპარატის გამომუშავება.

გარე გავლენებისა და შთაბეჭდილებების გარეშე შეუძლებელია  
ადამიანის უმაღლესი ფუნქციების განვითარება. როგორც ეფრუსი ამბობს  
„გარეშე გავლენიანება იძლევა“ საღმრთებლო მასალას „ფსიქო-ფიზი-  
კური ფუნქციების განვითარებისათვის“. მეორეს მხრით, მხოლოდ თავის  
ტენის ქალა არის ის ხელოსანი, ოსტატი, რომელსაც შეუძლია გამოიყუ-  
ნოს ეს მასალა. ამის მაჩვენებელია სხვათა შორის, ბავშვის სენსორუ-  
ლი ფუნქციების განვითარება. თავის ქალის განუვითარებლობასთან  
დაკავშირებულია ახლად დაბადებული ბავშვის სენსორული უმწეობა. და-  
ბადებამდე თავის ქალა საერთოდ არ მოქმედობს. დაბადებისას ანალიზა-  
ტორები საერთოდ განწყობილი არიან ფუნქციულობისადმი, მაგრამ მათი  
რეალური შესაძლებლობა ვითარდება მხოლოდ თანდათანობით, სოციოგე-  
ნური და ბიოლოგიური ურთიერთზე გავლენით. ჩახლად დაბადებული ბავ-  
შვი პირველ დღის განმავლობაში წარმოადგენს ბრმა ყრუ ავტომატს, რო-  
მელსაც არა აქვს ისეთი პირიმიტიული სენსორული ფუნქციებიც კი, რო-  
გორიც არის ყნოსვა და გემოვნება. პირველ დღეებში იგი სწრაფად  
ვითარდება. უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს მხედველობისა და სმე-  
ნის ანალიზატორების განვითარება. ანალიზატორი უნდა წარმოვიდგინოთ  
როგორც გარეშე გრძნობის ორგანო (რეცეპტორული ნაწილი), ნერვული  
გზა (რეცეპტორიდან მიმღები ცენტრამდე) და თვით ცენტრი. მაგ. მხე-  
დველობა პირველ დღეებში მიმდინარეობს, როგორც უპირობო რეფლექსი  
(გუბების სინათლეზე გაფართოება და სხვა); 2 თვეზე გვაძლევს ბრჭყვი-  
ალა საგნებზე ფიქსაციას და მხოლოდ წლის ბოლოს აღენიშნავთ მხედვე-  
ლობის ნორმალურ ფუნქციულობას.

ბავშვი ამ პერიოდში მხოლოდ ფიზიკურად არის დაშორებული დე-  
დას, ბიოლოგიურად კი ისევ განუყრელია მისგან. მისი კვება და სივრცის  
ასპარეზი დედაზეა დამოკიდებული, ბავშვის მთელი საარსებო კავშირები  
ხორციელდება მხოლოდ დედის მეშვეობით. ეს არის ის ძირითადი „შინა-  
წინააღმდეგობა“, რომელიც მოითხოვს შემდეგი განვითარების აუცილე-  
ბლობას (ბავშვის სოციალური სიტუაცია და ამავე დროს უშუალო სოცია-  
ლური კავშირის შეუძლებლობა) აუცილებლად უნდა აღმოცენდეს სიარუ-

ლისა და მეტყველების უნარი. ჩვილ ასაკში ამის წინასახეობაა: ლულუნი, ტიტინი და ფოფხვა.

შემდგომი პერიოდი — ნაადრევი ბავშვობა (1-3 წ.) სოციალური კავშირის მიხედვით ჩვენ მას **საბავშვო ასაკს** დავარქმევდით რაც ძირითადი ცვლილებების ხანაა. ვითარდება დამოუკიდებელი ყოფაქცევის პირველი ატრიბუტები: სიარული და მეტყველება. იწყება გარემო შთაბეჭდილებათა უფრო დიფერენციალური შეთვისება (ჩვილი ბავშვის მიმღებლობა დიფუზიურია: სენსორული, მოტორული და აფექტიური ფუნქციებია შერეული). მხოლოდ ბავშვის მთელი ყოფაქცევა განსაზღვრულია მისი სიტუაციური ველის ინტერესებით. ყოფაქცევის ამორჩევითი, ნებითი მიმართულება მისთვის ჯერ კიდევ მიუწოდებელია. ნების სფეროს რადიკალური ცვლილება იწყება ე. წ. სამწლიანი ბავშვის კრიზისით („Кризис трехлетки“). გამოიხატება იგი ე. წ. **ჯიუტობის** ფაზაში. მისი ფსიქოლოგიური სარჩული შემდეგია: ბავშვი, რომელიც უკვე სარგებლობს მეტყველებით და სიარულით, თავს გრძნობს დამოუკიდებლად გარშემომყოფებისაგან. მას უვითარდება ერთგვარი სურვილები. მისი ნება მოსწყდა პრიმიტიულ აფექტებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დასახულა გარკვეულ მიზნები აქედან გამომდინარეობს ბავშვის მძაფრი, მაგრამ გაურკვეველი, უობიექტო მისწრაფებანი (ზანკოვით).

სკოლის წინარე ასაკს (3-7 წლები — ჩვენ მას **საბავშვო ასაკს** ვუწოდებდით) ახასიათებს ამ კრიზისის გადალახვა და ბავშვის ელემენტარული ფუნქციების განვითარება (ყურადღება, მეხსიერება და სხ.). ეს პერიოდი ითვლება თამაშის ასაკად. ამ დროს იშლება იგი მთელი თავისი დადებითი მნიშვნელობით. თამაში არის საბავშვო ხანის მთავარი შინაარსი. შემდეგ აღინიშნება ე. წ. „შვიდწლიანის კრიზისი“ („Кризис семилетки“). აქაც ადგილი აქვს განვითარების ელემენტების კრიტიკულ გარდატეხას გართულებისა და ამალღების სახით. თავისი როლს თამაშობს ამ ფაზაში გამტკიცებული შინაგანი სეტრეცია (thymus). ორგანიზმში საერთოდ ხდება ღრმა ცვლილებები (კბილების ცვლა და სხვა.)

პირველი სასკოლო პერიოდი (7-12 წ.) წარმოადგენს ბავშვის ფუნქციონალური მომწიფების ხანას. ამ დროს შეჩერებულია გარეგანი ზრდა, სამაგიეროდ „გაძლიერებულია შიგნითი განვითარების, ფუნქციონალური მომწიფებისა და პიროვნების გაფორმების პროცესები“ (ვიგოტსკი). მანამდე გარე ზრდაზე დახარჯული ენერგია ეხლა ფუნქციების ამალღება-მომწიფებისაკენ არის მიმართული. ამ დროს ბავშვი უაღრესად ენერგიული და აქტიურია. 7 წლის ბავშვის ენერგიის თავისუფალი მარაგი უდრის 150 კალორიას. ხოლო 12 წლის ბავშვისა — 400-ს, გადმოგვცემს ვიგოტსკი. ბლონსკი მოწაფეზე ამბობს: იგი ავანტურისტია, მას ყველაფერში პირველობა უნდა: გაქცევაში, ჭიდაობაში, გადახტომაში. პიროვნების ყველა ეს ხაზი განსაკუთრებით უმახვილდება ბავშვს.

მეორე სასკოლო ასაკის (13-16 წ.) ბავშვს მოზარდი ეწოდება. მისი განვითარების მთავარ ფაქტს წარმოადგენს სასქესო მომწიფების პროცესები. ეს დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ მონაცემებზე. საერთოდ ეს პერიოდი მეტად რთულია და მკვეთრი. როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური მონაცემები განიცდიან კრიტიკულ განვითარებას. განვითარების სხვადასხვა მხარე (ფიზიკური, ემოციური, ინტელექტუალური) ხშირად შესამჩნევ დისპროპორციას განიცდის; ამის გამო ეს პერიოდი ხშირად მიჩნეულია განვითარების „ძნელ“ პერიოდად. ეს უმთავრესად ეხება მოზარდის წინა ფაზას, რომელიც უშუალოდ მოსდევს პირველ სასკოლო ასაკს. აქ ჩვენ ვვაქვს მოზარდის ე. წ. ნეგატიური ფაზა. ამ დროის მოზარდს ახასიათებს ნერვული აღგზნებულება, გუნებაგანწყობის ხშირი ცვლებადობა, სოციალური სულისკვეთების მკვეთრი ცვლა და სხვა. ხშირად იგი თავს ანებებს სწავლას, იწყებს სხვადასხვა კონფლიქტს გარშემოცოფებთან. ამ პერიოდის ფსიქოლოგიური ანალიზიც კრიზისზე მიგვივითითებს. ამ ფაზაში ერთდროულად მოჩანს პირველი სასკოლო პერიოდის მონაცემების გადალახვა და მომავალი ხანის ახალი მისწრაფებისა და ინტერესების დაუმთავრებლობა. ასეთი შინაწინააღმდეგობათა ბრძოლის ნიადაგზე შენდება მოზარდის შემდგომი განვითარება და თანდათან მყარდება პიროვნების ფუნქციების ჰარმონიული შეთანაბრება ახალი მონაცემების საფუძველზე. ბავშვი გადადის ყრმობის მშვიდ პერიოდში. ეს პროცესები მიმდინარეობენ სექსუალური მომწიფების პროცესებთან ერთად; მოზარდის დამახასიათებელი თვისება — თვით ცნობიერების ფუნქცია თავის მხრივ სტიმული და საფუძველია შემდგომი საერთო სოციალური განვითარებისათვის (ვიგოტსკი).

მოზარდი ხდება მოზრდილად. უკვე დიფერენცირებულია შრომისა და თამაშის პროცესები. შრომა გამოდის ავანსცენაზე. სრულსაკოვანი ადამიანი პოულობს თავის სტიქიას და თავის ადგილს იჭერს საზოგადოებაში.

## გო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ზ ა

ასეთია განვითარების გზები, რომლებიც უნდა განვლოს ადამიანმა თავის ბავშობის ხანაში. როგორც დავინახეთ, ეს გზები ფრიად რთული და თავისებურია — არა თუ სხვადასხვა პირის, არამედ ერთდამიმავე პიროვნების ფუნქციებისათვისაც. ერთი ავტორისა არ იყოს, „ყოველ უჯრედს აქვს თავისი ბედი“. აღმზრდელმა უნდა მიიღოს ზომები, რათა ეს ბედი, რაც შეიძლება კარგი იყოს. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური პედაგოგიკა ცდილობს ამას. პედოლოგიამ უნდა გააშუქოს პედაგოგიკის ღონისძიებები ბავშვის განვითარების კანონზომიერების ცოდნით. ეს ცოდნა უნდა შეითვისოს ყოველმა აღმზრდელმა. ბავშვობა პასუხსაგები მოვლენაა. „გაღუნავ ღეროს, ხე მრუდე გაიზრდება“ — ამბობს ჩინური ანდაზა (გეზელიდან). სწორია ეს დებულება, რადგან განვითარების ბედი ცხოვრების პირობებზეა დამოკიდებული. მომავალ თაობას უნდა შევუქმნათ სათანადო პირობები. ამისათვის საჭიროა ბავშობის ფუნქციების შეგნება და ბავშვის განვითარების კანონზომიერების ცოდნა.

ამ გზით „აღვზრდით ჯანმრთელ და სიცოცხლით სავსე მუშათა ახალ თაობას“.

შრომები, რომლებიც ნახსენებია ტექსტში

1. ლენინი — Сборник т. IX. 1932 г.
2. ენგელსი — Диалектика природы
3. " — Исторический материализм
4. მ. ბასოვი — Общие основы педологии
5. გ. კარამარენკო — Развитие Б. М. Э. № 28.
6. ლ. ს. ვიგოტსკი — Педология школьного возраста.
7. " — Педология подростка 1929 г.
8. " — Проблема речи и мышления в учении Гиаже 1932 г.
9. " — Проблема развития в структурной Психологии 1934 г.
10. " — Проблема развития ребенка в исследовании Гезеля — 1932 г.
11. ბლონსკი — Основы педологии.
12. ზაგოროვსკი — Особенности поведения ребенка дошкольного возраста.
13. ა. ზალკინდი — Основные вопросы педологии.
14. " — Вопросы Советской педагогики.
15. " — Психо-неврологические науки.
16. ე. არკინი — Ребенок от года до 4-х лет.
17. " — О некоторых вопросах воспитания детей.
18. ვ. შტერნი — Психология ребенка от 3 до 6-ти лет.
19. ეფრუსი — Психология раннего детства 1931 г.
20. პრ. თ. სიკორსკი — Душа ребенка 1914 г.
21. პრ. თ. კორნილოვი — Очерк развития ребенка раннего возраста.
22. აკადემიკი პავლოვი — 20 летн опыт. 1932
23. " — Последние сообщения по физ. и пат. ц. н. с. 1933 г.
24. ლ. ზანკოვი, მ. პეგზნერი, ვ. შმიდტი — Трудные дети 1933 г.
25. ა. პეიპერ — Функции мозга грудн. ребенка.
26. ა. ვიხელ — Педология раннего возраста 1932.
27. ჟ. პიაჟე — Речь и мышление ребенка 1932 г.
28. კ. კოტკა — Основы психического развития 1934 г.
29. ა. გაცირიძე — პედოლოგია, როგორც მეცნიერება 1933 წ.
30. " — ლექციები (ხელთნაწერი)
31. Учебник педологии под редакцией А. Залкинда 1934 г.



## შინაარსი

1. ავტორისაგან . . . . .	3
2. განვითარების პრობლემა პედოლოგიაში . . . . .	5
3. განვითარების ფაქტორები: მემკვიდრეობა და გარემო . . . . .	20
4. ბავშვის ფიზიკური განვითარება . . . . .	30
5. ბავშვის მატორული განვითარება . . . . .	35
6. ბოლოსიტყვაობა . . . . .	61

---

